# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 20 დეკემბერი, 2008 წელი.
№ 238 (6095)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika
ფასი 50 თეთრი.




# ამერიკანოფილიისა და ნატომანიის შედეგები საქართველოსთვის

სულ ახლახან საზოგადოებამ იხილა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ყოფილი ელჩის ეროსი კიწმარიშვილის მამხილებელი გამოსვლა ე. წ. პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე, წინამდებარე წერილის დაწერის მომენტისათვის კი ნატომ საბოლოო უარი „სტკიცა“ საქართველოს ხელისუფლებას ამ ორგანიზაციაში სწრაფ გაწევრებასთან დაკავშირებით.

3-4

ყოველ შემთხვევაში, ბენდუქიძის საზომით, რომელმაც სხვა ყველაფერთან ერთად, როგორც ჩანს, სინდის-ნამუსიც გაყიდა თუ გაგვიყიდა, ასე გამოდის...

# ბაღაფში ფაფისტიც ყოფილა!



2

თუ უწინ თავისი შავი თვალების მზერით წვავდა ადამიანს, ახლა ეს გამოხედვა ქვლებამდე ატანს



16

# „ქართველები მოსკოვში შესარიგებლად ჩამოვიდნენ“



2

# საინფორმაციო თავმოყვარეობის შელახვა

10

PROJECT SYNDICATE

აზბუკი წმინდა ნინოს სასწავლებელში

8

გივი თოიძე:

„შემოდგომა ჩემი სულის ფერია“



13



3

გია თორთლაძე: „საქართველო ისეთ ქვეყნად უნდა გადაიქცეს, სადაც ყველა მოქალაქეს სამართლიანობის განცდა ექნება“

ესეც ასე!

# ბალაფში ფაშისტიც ყოფილა!

**ყოველ შემთხვევაში, ბენდუქიძის საზომით, რომელმაც სხვა ყველაფერთან ერთად, როგორც ჩანს, სინდის-ნამუსიც გაყიდა თუ გაგვიყიდა, ასე გამოდის...**

**— რომელი არსენა ეგა გვყავს, ეს ბენდუქიძე, რომ ახლა მისეული არშინით გვაზომვინებ ხალხსა თუ მოვლენებსო, — შეიძლება შემომიტიოს მავანმა.**

**— არა, ბატონო, ღმერთმა დამიფაროს ასეთი შედარებისგან! მით უფრო, რომ ბენდუქიძე, ამას ბევრი ფიცი-მტკიცი არ სჭირდება, არსენას აშკარა ანტიპოდია — მდიდრებს ჩუქნის ან ჩალის ფასად აძლევს ღარიბთა კუთვნილს თუ მათთვის წაგლეჯილს.**

**თანაც ქართველებს მაინც რომ ჩუქნიდეს თუ აძლევდეს, კიდევ რა უჭირს: გავარდნილი ლუკმა, არა თუ ისე, მაინც ჯამში ჩავარდება.**

**უბედურება ის არის, რომ უცხოელებს უგდებს ხელში ჩვენს აუზომავ-აუწონავ სიმდიდრეს — მარჩენალ მიწას.**

ჰოდა, როდესაც ამ 3-4 წლის წინათ გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ ამაზე განგაში ატეხა, წერილების სერიალი გამოაქვეყნა ქართული მიწის გასხვისების უცხოტომელთათვის მისი მიყიდვის დაუშვებლობის შესახებ, უფალმა ბენდუქიძემ არ დაახანა და ჩვენს გაზეთს, არც მეტი, არც ნაკლები, ფაშისტური გამოცემა უწოდა.

არადა, ხომ კარგად გვახსოვს: **რომ არა ის, ლამის საუკუნის წინანდელი ავადსახსენებელი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც მიწაც, ტყეც, მდინარეც, ფაბრიკა-ქარხნებიც და, საერთოდ, მაშინ მავანთა კერძო საკუთრებაში არსებული მთელი სიმდიდრე სახელმწიფოს, ხალხს დაუბრუნა, ფაქტობრივად საქართველოს ქონების დიდი ნაწილი ხომ უცხოტომელებისა იყო?**

**ახლა რომელი რევოლუციის იმედი უნდა გვქონდეს?**

რად მივყიდეთ უცხოტომელებს ქართული მიწა და კვლავაც რად განვაგრძობთ ამ დამღუპველ პოლიტიკას?

**ვინმე ოდესმე წაართმევს ან გამოისყიდის მათგან ამ მიწებს?**

პრივატიზაციის წინააღმდეგი არ ვარ და ვერც ვიქნები. ოღონდ გონივრული, საქართველოს ინტერესების შესატყვისი და სასარგებლო პრივატიზაციისა: **გავასხვისოთ ნებისმიერი ობიექტი (გარდა ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ცალკეული ობიექტებისაძ, მაგრამ კი ნუ გავყიდით, მხოლოდ იჯარით გავცეთ ის მიწა, რომელზეც ეს ობიექტი დგას.**

**დაე, ააგონ უცხოელმა ინვესტორებმა იჯარით აღებულ ქართულ მიწაზე ნებისმიერი დანიშნულების ობიექტი, დაასაქმონ ადგილობრივი მოსახლეობა, თავადაც იხეირონ და სახელმწიფოსაც მისცენ კუთვნილი წილი!**

რომელი ჭკუათმყოფელი იქნება ამის წინააღმდეგი!

**მაგრამ მიწა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივყიდოთ! ეს დაღუპვის ტოლფასია!**

განა ჩვენზე გონებაჩლუნგები არიან, ვთქვათ, შვეიცარიელები, რომლებიც ლამის სასათბურე პირობებს უქმნიან უცხოელ ინვესტორებს, მაგრამ მიწის გაყიდვა კანონით აქვთ აკრძალული?

აი, სწორედ ეს რომ შევახსენეთ უფალ ბენდუქიძეს, — ფაშისტური გამოცემააო თქვენი გაზეთი, — დააბრეხვა.

ბალაფშის „ფაშისტობა“ კი აი, რამ გამახსენა:

გუშინ ტელევიზიით მოვისმინე, აფხაზი სეპარატისტები სტალინის აგარაკის გაყიდვას აპირებენო.

**— ობიექტი გასაყიდად მზად არისო, — თქვა სერგეი ბაღაფშმა, — ოღონდ მარტო შენობას გავყიდითო, მიწას კი მხოლოდ იჯარით გავცემთო!**

ესეც ასე!

**ხომ ყოფილა ბალაფში ფაშისტი? ბენდუქიძის საზომით, ცხადია!**

ახლა კი ასე დავსვათ კითხვა: **რომელი უფრო პატრიოტია თავისი ქვეყნისა — ბალაფში თუ ბენდუქიძე?**

ამას, ალბათ, უჩემოდაც განსაზღვრავთ, მკითხველო.

მე კი ჩვენი პრეზიდენტის მიერ ამ რამდენიმე თვის წინათ ნათქვამი უნდა გავიხსენო:

იგი სავსებით სამართლიანად აფრთხილებდა აფხაზებს — თუ საქართველოს შემადგენლობაში არ დარჩებით, სხვა ერი შთანგთქამთ, ყველაფერს უცხოელები იყიდიან და აფხაზი უკვე სხვის კუთვნილ ზღვის სანაპიროზეც ვერ შეძლებს გასვლასო.



ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ დავუშვათ, რომ ასე მოხდეს.

ეს მაინც ნაკლებ ბოროტებად მიმაჩნია, რადგან ღრმად მწამს, რომ, ადრე თუ გვიან, აფხაზეთს დავიბრუნებთ. დავიბრუნებთ და **იმ მიწებსაც, როგორც უკანონოდ გასხვისებულს, მათს მეპატრონეებს კანონის ძალით ჩამოვართმევთ.**

**ეს ასე იქნება, მაგრამ დანარჩენ საქართველოში ბენდუქიძისა და მისნაირთა მიერ გაყიდულ მიწებს ვინ დაგვიბრუნებს** (ეჰ, ჩვენც რომ მოგვცა მიწის გასხვისებასთან დაკავშირებით ბალაფშის დარად მოაზროვნე მალალჩინოსნები!ძ?

**ამიტომ, ბატონო პრეზიდენტო, იქნებ ჯობდეს, რომ ამ ეტაპზე აფხაზებზე მეტად ბენდუქიძისნაირებს მიაქციოთ ჯეროვანი ყურადღება?**

**თორემ პოეტისა არ იყოს „გვეცლება ქართული თვალ და ხელს შუა“.**

**რუსლან რუსია**

სხვა გაზეთებიდან

## პუტინის პორტრეტის ქვეშ

**„კომსომოლსკაია პრავდას“ რედაქციაში გაიმართა პრესკონფერენცია ქართული დელეგაციისა, რომელიც რუსეთში ჩამოვიდა რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის მიწვევით. ეგრეთ წოდებული სახალხო დიპლომატიის (სახელმწიფო დიპლომატია, შეგახსენებთ, გაწყდა სამხრეთ ოსეთში საქართველოს აგრესიის შემდეგძ ქართველებმა ვიზები მიიღეს ბელორუსიის საელჩოში, აქამდე კი სომხეთის გავლით ჩამოვიდნენ.**

საუბარი საზოგადოებრივ პალატასა და ბრიფინგზე „კომსომოლსკაიაში“ ძალზე ფრთხილი იყო. დავას „აგვისტოში ვინაა მართალი და ვინ დამნაშავე“ ძალზე ერიდებოდნენ: „კავკასიური პოლიტიკის დანაღმულ ველზე აკურატულად უნდა ვიაროთ“ — ამბობდნენ შეხვედრის მონაწილენი.

„კპ-ს“ დარბაზში ქართული დელეგაცია ერთბაშად დაჯდა პუტინის პორტრეტის ქვეშ. „;კარგი ფონია“, — გულკეთილად იცინოდნენ ქართველები.

# „ქართველები მოსკოვში შესარიგებლად ჩამოვიდნენ“

## თუ რა გამოვიდა აქედან, ამაზე თვითონ მოუთხრეს „კომსომოლკას“

ურთიერთობის მოგვარებას დასაწყისი დაუდო პრეზიდენტ მედვედევის ამასწინანდელმა შეხვედრამ საქართველოს პატრიარქთან ილია II-სთან უწმინდესი პატრიარქის ალექსი II-ისთვის წესის აგების შემდეგ.

საზოგადოებრივ პალატაში შეხვედრა, როგორც ყვებოდნენ დიალოგის მონაწილენი, დაიწყო სტავროპოლისა და ვლადიკავკაზის არქიეპისკოპოსის ფეოფანის და ქართული მხრიდან მიტროპოლიტ პეტრეს ლოცვით.

## გამოვიხსნათ ტყვეები

**საზოგადოებრივი პალატის წევრმა, პირველი არხის წამყვანმა მაქსიმ შევჩენკომ მადლობა გადაუხადა „კომსომოლსკაიას“, რომელიც „მუდამ უთმობს მოედანს არც თუ უბრალო დიალოგისთვის“ და მოყვა იმაზე, თუ რაზე მოილაპარაკეს ქართველებთან საზოგადოებრივ პალატაში.**



- **ჰუმანიტარული საკითხების გადასაწყვეტად შეიქმნას შერეული კომისია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარეების ჩართვით.**
- **ქართული მხარის ინიციატივით, ეთხოვოს რუსეთის პრეზიდენტსა და მთავრობას საქართველოსთან პირდაპირი სატრანსპორტო კავშირის აღდგენაზე.**
- **დავეხმაროთ მთაგორიანი ახალგორის რაიონის მოსახლეობას, რომელთაც ომის გამო ვერ შეძლეს ზამთრისთვის პროდუქტებისა და შეშის დამზადება და ახლა განწირულნი არიან მშიერი და გაყინული სიკვდილისთვის.**
- **ხელი მოვკიდოთ სამხედრო ტყვეების, მძევლების (კომისიამ ამჯობინა მათთვის ფრთხილად ეწოდებინა „კონფლიქტში ჩართული ყოველი მხარის მიერ სხვადასხვა მიზეზით დაკავებული პირების“) გამოსახსნელად.**
- **გავაგრძელოთ დიალოგი კულტურის ხაზით, განვიხილოთ ისტორიის სადავო საკითხები.**

## „ჩვენ, შეიძლება, კრემლის აგენტები დაგვიძახონ“

**ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა მალხაზ გულაშვილმა, ჰოლდინგის „ჯორჯია ტაიმსის“ მფლობელმა, თქვა: „საქართველოში ბევრს უნდა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება“.**

— მთავრობები მიდიან და მოდიან, ხალხი კი რჩება, — პრაქტიკულად სადღეგრძელო წარმოთქვა მან.

ქართველებმა მოსკოვში ჩამოიტანეს წმინდა პანტელეიმონის ხატი, „რომელიც, როგორც გულაშვილმა შენიშნა, „დაგვიცავს ჩვენ და განკურნავს ჩვენს შორის არსებულ დაავადებებს“.

— ვიომეთ, უნდა ვაშენოთ სხვა ურთიერთობანი, — აღნიშნა საქართველოს სტრატეგიული კვლევის ცენტრის თავკაცმა მამუკა არეშიძემ, — შეიძლება ომმა ვიღაც-ვიღაცებს თვალი აუხილოს. თუმცა თბილისში ზოგ-ზოგნი შესაძლოა, არცთუ სიყვარულით დაგვხვდნენ.

მალხაზ გულაშვილმა გვიამბო, რომ აეროპორტში, როდესაც უნდა გამოფრენილიყვნენ, შეხვდნენ კიდევ ერთ ქართულ დელეგაციას, რომელიც მიემგზავრებოდა ვაშინგტონში სამხრეთელ ოსებთან მოსალაპარაკებლად. — თბილისში, შესაძლოა, ჩვენ კრემლის აგენტები დაგვიძახონ, მაგრამ ვაშინგტონში წასვლა რად გვინდა, მოლაპარაკებები ხომ ჩვენც შეგვიძლია — შენიშნა ქართული დელეგაციის თავკაცმა.

საქართველოს სახალხო არტისტმა გოგი ქავთარაძემ გვიამბო, რომ თვით ომის დროსაც კი ქართულ სოფლებში რუს ჯარისკაცებს მტრებად არ თვლიდნენ. როდესაც ერთი ჯარისკაცი არყის საყიდლად მივიდა, ადგილობრივებმა ფული არ აიღეს, მაგიდასთან დასვეს, დაუსხეს და სასაუბროდ დასხდნენ. გოგი ქავთარაძემ გაიხსენა ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ — მონადირემ გზა დაკარგა და მთიელის სახლში მოხვდა, მაგრამ როცა მასში მასპინძლის ძმის მკვლელი ამოიცნეს, მასპინძელმა ნება არ მისცა მასთან ანგარიშის გასწორებისა, ის ხომ სტუმარი იყო.

„ჩვენმა სულიერმა მამებმა ერთმანეთის სიყვარული გვიანდერძეს“, — შეგვახსენა გოგი ქავთარაძემ.

— პოლიტიკოსები და მესამე ძალა არიან დამნაშავენი, რომ ჩვენ აღმოვჩნდით მაგიდასთან, რომელზეც ქინძმარაული და ხაჭაპურია, — შენიშნა ფონდის „რუსკი მირ“-ის დირექტორმა, პოლიტოლოგმა ვიაჩესლავ ნიკონოვმა, — ერთმანეთს კი „კალაშნიკოვის “ და უკრაინული ტანკების სამიზნეებით დავუწყეთ ყურება“.

## „ჩვენი წინაპრებისა იყოს!“

**ნიკონოვმა გვიამბო, რომ ამ 15 წლის განმავლობაში საქართველოსა და რუსეთს შორის გაუგებრობის პირობებში მრავალჯერ ცდილობდნენ კონტაქტების მოგვარებას. ეს შესაძლებელი იყო გამსახურდიას დროს, შევარდნაძესთან კი „მრგვალი მაგიდები“ სკანდალით მთავრდებოდა. ახლანდელი დიალოგი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება „ტონის აუწევლად“ ლაპარაკი.**

საქართველოსა და რუსეთის დიალოგი მნიშვნელოვანია, ნიკონოვის აზრით, თვით საქართველოსა და მილიონი ქართველისთვის რუსეთში, შეიძლება, სასარგებლო იყოს ისტორიკოსების საუბარიც.

— მაგალითად, თემაზე, იყვნენ თუ არა სტალინი და ბერია საქართველოს ოკუპანტები, — ხუმრობით შენიშნა შევჩენკომ.

...თუ მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, როგორ გაებედნიერებინათ რუსი ხალხი — მხარი დაუჭირა ნიკონოვმა, — სერიოზულად კი დაამატა, — საქართველოსთან საუკუნეების მანძილზე ჩვენ გვქონდა არა უბრალოდ მეზობლური, არამედ ძმური ურთიერთობა და თამასა უნდა დავაყენოთ იმ ურთიერთობისთვის, იქნებ დაძაბულობისაც კი, რომელსაც, ალბათ ოდესმე ძმურს ვუწოდებთ .

„კომსომოლსკაიაში“ პრესკონფერენციის შემდეგ გაშლილ მაგიდასთან მალხაზ გულაშვილმა შემოგვთავაზა სადღეგრძელო:

— ჩვენი წინაპრებისა იყოს, რომლებმაც ჩვენთვის შექმნეს ძმური ურთიერთობანი. გავიხსენოთ ეს მაგალითი და ყველა კარგად ვიქნებით.

**ლარისა ვიქტოროვა**

**„კპ“ 19-25 დეკემბერი, 2008 წ.**

**სურათზე: საქართველოს დელეგაცია „კომსომოლსკაიაში“ პუტინის ფონზე — სოსო ჯაჭვლიანი, მალხაზ გულაშვილი, გოგი ქავთარაძე.**

გზად მომავლისკენ



# ამერიკანოფილიისა და ნატომანიის შედეგები საქართველოსთვის

## მოწოდება ქართული პოლიტოლოგიური სპექტრისადმი

**სულ ახლახან საზოგადოებამ იხილა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ყოფილი ელჩის ეროსი კიწმარიშვილის მამხილებელი გამოსვლა ე. წ. პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე, წინამდებარე წერილის დაწერის მომენტისათვის კი, ნატომ საბოლოო უარი „სტკიცა“ საქართველოს ხელისუფლებას ამ ორგანიზაციაში სწრაფ გაწევრებასთან დაკავშირებით.**

ძნელია, დადებითად შეაფასო ეროსი კიწმარიშვილის ნამოღვაწარი ან თუნდაც მისი უტიფრობა, რომელიც გამოავლინა „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში – თურმე, ნუ იტყვით, ბატონი ეროსი 5 იანვარს იქ მდგარა, სადაც უნდა მდგარიყო (ანუ მ. სააკაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელადძ და სააკაშვილსაც რეალურად მოუპოვებია ამომრჩეველთა ხმების 52 პროცენტი. განა გასაკვირია ეს, როდესაც ბადრი პატარკაციშვილი თურმე „უცხო ძალების“ თამაშს თამაშობდა და, კიწმარიშვილისვე სიტყვები რომ გავიმეოროთ – მას „ფულს უგროვებდნენ რუსეთში მცხოვრები ქართველი კრიმინალები“ (!ძ. მაგრამ ყველაზე კომიკური (უფრო ტრაგიკულიძ ის გახლავთ, რომ დღევანდელი ხელისუფლების ფონზე კიწმარიშვილიც კი „მართალ კაცად“ ჩანს და ნაწილობრივ სიმართლეს მაინც ამბობს. ძალიან გაჭირდება, კიწმარიშვილს დასწამო ანტიამერიკანიზმი, მაშინ, როდესაც იგი წლების მანძილზე შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა, ბიზნესმენობდა, მანამდე კი თავისი აწ უკვე ყოფილი ტელევიზიის საშუალებით ამ ქვეყნის პროპაგანდას ეწეოდა დაუღალავად, თითქმის ოცდაოთხი საათის განმავლობაში. და სწორედ ეს კიწმარიშვილი ააშკარავებს ნორმალურად მოაზროვნე ადამიანებისათვის ისედაც ნათელ ფაქტს, რომ აგვისტოს ავანტიურა საქართველოს ხელისუფლებას მხოლოდ თავისი ნებით არ წამოუწყია, არამედ მას ზურგს უმაგრებდა აშშ ხელისუფლების მდუმარე თანხმობა.

ვინც მეტ-ნაკლებად ჩახედულია ამერიკული საგარეო პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების მექანიზმებში (ამ თემასთან დაკავშირებით მკითხველს შეუძლია იხილოს ჩემს მიერ შედგენილი კრებული „აშშ საგარეო პოლიტიკის საფუძვლები ამერიკელი და ევროპელი ავტორების მიხედვით – დასკვნები საქართველოსთვის“ძ, მას არ გაუკვირდება, რომ საქართველო ვაშინგტონის მიერ პაიკად იქნა გამოყენებული საკუთარი სტრატეგიის ფარგლებში. თუკი ყურადღებით დავაკვირდებით განვითარებულ მოვლენებს, წაგებული, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, დარჩა საქართველო, მაგრამ ამასთანავე რუსეთს, რომელიც ფაქტობრივად, ჩვენვე გავხადეთ იძულებული (თუნდაც დსთ-დან ჩვენი გასვლითძ, ეღიარებინა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“, რეალურად არაფერი შემატებია. პირიქით, რუსეთი ახლა იძულებულია, დიდი მატერიალური, პოლიტიკური, სამხედრო და მორალური რესურსები მოახმაროს ამ ორ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, რომელიც მის სტრატეგიულ ინტერესებს კავკასიაში ნაწილობრივადაც ვერ დააკმაყოფილებს.

რუსეთის ინტერესშია საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობა და არა კონფრონტაცია (მართალია, ამას რუსეთის პოლიტოლოგიურ წრეებში ბევრი ვერ ხვდება, მაგრამ ბოლო პერიოდში სულ უფრო მკაფიოდ გაისმის პროგრესულად მოაზროვნე სპეციალისტების ხმაც, როგორებიც არიან, მაგალითად, სერგეი მიხეევი, გრიგორი ტროფიმჩუკი, ნიკოლაი სილაევი, სერგეი მარკედონოვი და სხვები, რომელთა აზრი ერთობლიობაში სულაც არ არის კრემლისათვის უმნიშვნელოძ. თუმცა რუსეთის შეცდომები განსახილველად რუსებსვე მივანდოთ, ჩვენ კი ჩვენი ვიკითხოთ – როდემდე შეიძლება, რომ ვიყოთ წამოგებული ამერიკელების მიერ გადმოგდებულ ანკესზე, რომელსაც ნატო ჰქვია და როდემდე უნდა ვამღვრიოთ წყალი ჩვენს დიდ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობებში? ახლა მაინც ხომ უნდა იყოს გასაგები, რომ რუსულ-ქართული კონფრონტაცია, რომელიც ხელს არ აძლევს არც რუსეთს და არც საქართველოს, ამერიკულ ინტერესებში შედის? ნუთუ ვეღარ უნდა მივხვდეთ იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, რომ ნატოში საქართველოს მიღება მჭიდრო ვადებში არც არასოდეს იგეგმებოდა, მაგრამ ამ თემის მუსირება რუსულ საზოგადოებრივ აზრზე (გნებავთ პოლიტიკოსთა წრეებში, გნებავთ მთლიანად რუსეთის მოსახლეობაში) მეტად გამაღიზიანებლად მოქმედებდა და მოქმედებს? და რომ სწორედ ჩვენ გავაღიზიანეთ რუსეთი ასე უაზროდ, მთელი ამ წლების განმავლობაში, რაც ნატოსკენ სწრაფვა გამოვაცხადეთ (არ დაგვავიწყდეს, რომ პირველობა ამ საქმეში არა სააკაშვილს და მის დღევანდელ გარემოცვას, არამედ მის ყოფილ ბოსს – ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნისძ?

იხ. 4 გვ.

რეალური თუ გამყინვარების დემოკრატია?

# გია თორთლაძე: „საქართველო ისეთ ქვეყნად უნდა გადაიქცეს, სადაც ყველა მოქალაქეს სამართლიანობის განცდა ექნება“

**თოვლსა და ყინვას შეჩვეულმა გია თორთლაძემ სიურპრიზი მოუმზადა ახლად დაფუძნებული პარტიის წევრებს და საქართველოს დემოკრატიული პარტიის პირველი ყრილობა კულტურის სასახლეში ჩაატარა. ძნელი ამოსაცნობი როდია, რაზე იფიქრებდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული 1060 შემცივნული დელეგატი – პარტიის მომავალ მიზნებზე თუ სიცივისგან თავის დაღწევაზე...**

ასეა თუ ისე, საქართველოს ჰიმნის ფონზე, 16-წლიანი ისტორიის მქონე დემოკრატიული პარტიის ბაზაზე აღმოცენებულმა ახალმა პარტიამ პირველი დამფუძნებელი ყრილობა ჩაატარა, რომელმაც პარტიის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია გია თორთლაძე, გენერალურ მდივნად – გია ცაგარეიშვილი, პარტიის პოლიტიკურ მდივნად კი – აკაკი ფანჩულიძე.




დარბაზს გადმოჰყურებდა პარტიის სიმბოლო – ფრთებგაშლილი წითელზოლებიანი ფრინველი, რომელიც, ეტყობა, პარტიის მესვეურებმა თავისუფალი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის იმედად დაისახეს. ვერ გეტყვით, ეს მტრედისმაგვარი ფრინველი მოუტანს თუ არა ორ გიას ზეთისხილის რტოს, მაგრამ ყრილობას მაღალფარდოვანი გამოსვლები და დაპირებები უთუოდ გამოარჩევდა. ყველაზე ხშირად დარბაზში „ხალხის რეალური მმართველობა“ და „რეალური დემოკრატია“ გაისმა.

– დღეს არსებითია დემოკრატიული პროცესების დაჩქარება და ახალი დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა, – განაცხადა გია თორთლაძემ, – ჩვენ უნდა შევძლოთ ქვეყანაში კანონის უზენაესობის უმაღლეს საფეხურზე აყვანა, თითოეული ჩვენი მოქალაქისათვის უნდა შევქმნათ მყარი გარანტიები, რათა ერთხელ და სამუდამოდ საქართველო გადაიქცეს ქვეყნად, სადაც ყველა მოქალაქეს სამართლიანობის განცდა ექნება.

ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციის შექმნა, კერძო საკუთრების დაცვა, თავისუფალი არჩევნები და ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გზები საქართველოს დემოკრატიული პარტიის პრიორიტეტებად გამოცხადდა. პარტიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ეროვნული და დასავლური ღირებულებების ურთიერთშერწყმაზე, საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

„სახელმწიფო უნდა იდგეს ხალხის სამსახურში, და არა პირიქით – ხალხი ემსახურებოდეს ხელისუფლებას“, – განაცხადა თორთლაძემ.

პარტიის გენერალურმა მდივანმა გიორგი ცაგარეიშვილმა ხალხის მმართველობის აუცილებლობაზე ილაპარაკა.

– ჩვენ დავამკვიდრებთ ხალხის მმართველობას და ეს იქნება ფუნდამენტი, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ქვეყნის მომავალი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ქვეყანას მომავალი არ ექნება. ჩვენს დროშაზე გამოსახული ფრინველი წარმატებებს მოუტანს პარტიას და საქართველოს.

გია ცაგარეიშვილი ამაყი იყო, რომ პარტიის სხვა წევრებთან ერთად ახალი პარტიის დაბადების დღეს ზეიმობდა, რომ ისინი ერთად გაივლიან ეკლიან გზას და არ შედრკებიან. როცა სამშობლო უმძიმეს ვითარებაშია და მას შველა სჭირდება, ისინი არა შეძახილით, არამედ საქმით ამოუდგებიან მას მხარში.

– ჩვენი საქმიანობით და ყოველდღიური ცხოვრებით, რომელიც ხელის გულზე დევს, დავამტკიცეთ, რომ ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

პარტიის მესვეურები ყრილობის მონაწილეებს დაპირდნენ, რომ ისინი ხალხთან ახლოს იდგებიან, და რომ რიგით წევრებს მათთან მისასვლელად ბარიერი არ შეექმნებათ.

საქართველოს დემოკრატიული პარტია სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზეც იზრუნებს. პარტიასთან შექმნილია საზოგადოებრივი დარბაზი, რომელშიც გაერთიანებული არიან აკადემიკოსები, მეცნიერები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. დარბაზი საკანონმდებლო ინიციატივებს შეიმუშავებს და პარტიას თავის რეკომენდაციებს წარუდგენს. პარტიის მესვეურები ფიქრობენ, რომ პარლამენტში დასამტკიცებლად წარდგენილი ყველა კანონპროექტი პროფესიონალებმა უნდა მოამზადონ და არა შემთხვევითმა ადამიანებმა, ან რომელიმე დაინტერესებულმა ჯგუფმა.

თორთლაძე-ცაგარეიშვილის პარტია ძლიერ და მდიდარ ქვეყანას გვპირდება. მაგრამ შეძლებს განავარდებას სუსხსა და ყინვაში აღმოცენებული თორთლაძის სანუკვარი დემოკრატია თუ გამყინვარების დემოკრატიად დარჩება?

**თამარ შაიშმელაშვილი.**

◉ გზად მომავლისკენ

# ამერიკანოფილიისა და ნატომანიის შედეგები საქართველოსთვის

## მოწოდება ქართული პოლიტოლოგიური სპექტრისადმი

(მესამე გვერდიდან)

სწორედ ამ ჩვენს გულუბრყვილო ამერიკანოფილიაში და ამით გამოწვეულ „ნატომანიაში“ არის ძაღლის თავი დამარხული (ამჯერად არ მსურს, ჩვენი საზოგადოების ზნელეთით მოცულ მოფაშისტო ნაწილში ჩაბუდებული აღვირახსნილი ანტირუსიზმი განვიხილო, თუმცა, სამწუხაროდ, ხშირად ეს აგრესიული უმცირესობა ახდენს მეტ გავლენას ჩვენს პოლიტიკაზეძ. ჯერ კიდევ 8 წლის წინათ ვაფრთხილებდი საზოგადოებას: „მოსკოვი ბაქო-ჯეიჰანის პროექტზეც თვალს დახუჭავს, ბაზების გატანასაც შეეგუება, მაგრამ ნატოს საქართველოში შემოსვლას და აქ დასავლეთის პოზიციების გაძლიერებას არ მოითმენს! დავსვათ კითხვა: საქართველოს აქვს იმდენი დრო, რომ, ვთქვათ, 20 წელი ველოდოთ ნატოს, როდის მიგვიღებს? გამოდის, რომ მანამდე გამუდმებულ კონფრონტაციაში უნდა ვიყოთ რუსეთთან, რაც საბოლოოდ გამოგვფიტავს, ნატოს ხელში კი ვიქნებით მხოლოდ „ხურდა ფული“, და თუ ნატოს ეს დასჭირდა, ისე მოგვეპყრობა, როგორც ჩეხოსლოვაკიას მოეპყრნენ მიუნხენში 1938 წელს“ (ინტერვიუ „კვირის პალიტრასთან“, 20-26 ნოემბერი, 2000 წ.ძ. ახლა ვიკითხოთ: გამართლდა ეს პროგნოზი? სამწუხაროდ – გამართლდა! მესამე პრეზიდენტის მმართველობისას საქართველო ისევ კარგავს ახალ ტერიტორიებს, ისევ ერთა შორის შუღლი ღვივდება, ისევ უაზროდ იღუპებიან ადამიანები დანაშაულებრივ ომებში, რომელთა ავტორები ჩვენ ვართ! რუსეთმა არ მოითმინა ამერიკის მიერ შემოგდებული „ნატოობანას თამაში“, და არც ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა გადადგა სარისკო ნაბიჯები რუსეთის საპასუხო ქმედებებისაგან საქართველოს დასაცავად. საქართველოს ხელისუფლებას ბრიუსელში უკვე შეპირდნენ რამდენიმე მილიარდ ევროს და ამით დე ფაქტო მოხდა არსებული ვითარების კონსერვაცია: სამხრეთ ოსეთს დავემშვიდობეთ ახალგორის რაიონიანად, სამაჩაბლოში აღარ არსებობს ქართული სოფლები, „ზემო აფხაზეთად“ „გაპიარებული“ კოდორის ხეობა მოწინააღმდეგეს უბრძოლველად ჩაბარდა, ენგურჰესის ბედს მარტო თბილისი ვერ წყვეტს, სოხუმის თანხმობის გარეშე აი ასეთია დღევანდელი ვითარება, აი აქამდე მიგვიყვანა რადიკალურმა პროდასავლურმა კურსმა. ამ ფონზე კი ამერიკას რა პოზიცია უკავია? ყველაფერი შევწირეთ ნატოს და, ნახეთ, ქალბატონმა კონდოლიზამ განაცხადა, რომ აშშ თურმე 2 დეკემბრის მინისტერიალზე „აღარ მოითხოვს დაბეჯითებით“, უკრაინას და საქართველოს აენთოს მწვანე შუქი „მაპ“-თან დაკავშირებით (ნატოში წევრობაზე საუბარიც აღარაა, ეს მითიური „მაპ“-იც „სანატრელი“ გახდაძ.

ბატონმა კიწმარიშვილმა იქნებ ჯერ ყოველივე ზემოთქმული გაიაზროს და შემდეგ თავისი მოსკოვური „დიპლომატიაც“ გაიხსენოს, როდესაც ამბობდა: „ნატოსთან მიმართებაში ჩვენი პოზიცია ურყევია – ეს არის ქართველი ხალხის არჩევანი და ამ თემაზე კომპრომისი არ იქნება“ (გაზ. „რეზონანსი“, 13 მარტი, 2008 წ.ძ. ბატონ ეროსის, ეტყობა, ნატო, სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაში ერევა, რაც მართლა არის ქართველი ხალხის არჩევანი და არა ბატონი ეროსისნაირების მიერ გაყალბებული 5 იანვრის არჩევნების შედეგები თავის ნატოიან-„პლებისციტიანად“... ისე, სხვათა შორის, დროა, კურდღელ-ოპოზიციამაც, თუ ის მართლა მთლიანად არ არის კურდღლებით „დაკომპლექტებული“, ხმა ამოიღოს და თქვას, რომ არა მარტო არჩევნები გაყალბდა ხუთ იანვარს, არამედ პლებისციტიც, რომელსაც ჯერ ერთი, იურიდიული ძალა არ აქვს, მეორეც, საზოგადოებას ალტერნატიული აზრი ნატოსთან დაკავშირებით პრაქტიკულად არც მოუსმენია“... თორემ მახსენდება ბატონი ვალერიან ადვაძის სიტყვები: „ომის შედეგებზე საუბრისას ზოგიერთი იმაზე კი არ ლაპარაკობს, რომ დაგვეხოცა ახალგაზრდობა, დავკარგეთ ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი, მკვეთრად გაიზარდა დევნილთა რიცხოვნობა, დაინგრა ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა და ა. შ., არამედ იმაზე, რომ ნატოში საქართველოს მიღების შანსები მკვეთრად დაეცაო. საქართველოს პრეზიდენტის მიმართაც მთავარი საყვედური ეს არის. „ნატოისტები“ თანახმანი არიან თუნდაც დანარჩენი საქართველოს ნახევარიც დაიკარგოს, ოღონდ ნატოში მიგვიღონ. არადა, ამ ნატოს გამოისობით დაგვემართა, რაც დაგვემართა“. მე, ჩემის მხრივ, ვუერთდები ბატონი ვალერიანის აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ ამგვარი დამოკიდებულება ნამდვილად წარმოადგენს სხვადასხვა დარგის სპეციალისტების, მათ შორის ექიმების შესწავლის საგანს.

**დაბოლოს, მსურს, მოვუწოდო ქართველ ექსპერტებს, თუკი ისინი „გრანტებზე“ არ ყიდიან თავიანთი ქვეყნის ინტერესებს, შეეშვან ნატოს უსარგებლო ფეტიშს და რეალურ გამოსავალზე იფიქრონ, აწარმოონ პირდაპირი დიალოგი როგორც რუს, ისე სხვა კავკასიელ კოლეგებთან, შეიმუშაონ ყველა მხარისათვის მისაღები პლატფორმა. გვერჩივნოს, რომ რუსეთი დიპლომატიური ინიციატივების ენით გვესაუბროს, ვიდრე ტანკებისა და ბომბდამშენების ენით, რომელთაც ვერაფერს მოვუხერხებთ.**

**გულბაათ რცხილაძე,**
სახალხო დიპლომატიის, საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის ცენტრის ექსპერტი.

◉ ინფორმაცია

### რუსეთი ევროსაბჭოს მოთხოვნებს არ ასრულებს

**პარიზში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის სხდომაზე წინასწარი, განმარტებითი მემორანდუმის გამოქვეყნებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმება.**

**როგორც სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლებმა, ლუკ ვან დენ ბრანდემ (ბელგია) და მათიას ეორშმა (უნგრეთი) შეშფოთება გამოხატეს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ დაძაბულობისა და პროვოკაციების ესკალაციის თაობაზე, რამაც, შესაძლოა, ევროსაბჭოს ორ წევრ ქვეყანას შორის „განახლებულ დაპირისპირებამდე ან საომარ მოქმედებებამდე“ მიგვიყვანოს.**

**მათ ხაზი გაუსვეს საერთაშორისო მონიტორების სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე შეღწევის მნიშვნელობას და აღნიშნეს, რომ განახლებული სამშვიდობო ფორმატის ინტერნაციონალიზაცია მნიშვნელოვანია რეგიონში სტაბილურობის აღსადგენად.**

**მონიტორინგის კომიტეტის წარმომადგენლებმა მოუწოდეს რუსეთს, დაუყოვნებლივ აღკვეთოს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე „ძარცვის, მაროდიორობისა და ეთნიკური წმენდის“ ფაქტები, რისი გაკეთებაც აქამდე ვერ მოხერხდა.**

**როგორც ლუკ ვან დენ ბრანდემ და მათიას ეორშმა აღნიშნეს, საქართველომ ასამბლეის მიერ შემუშავებულ რეზოლუციაში: „საქართველო-რუსეთს შორის ომის შედეგები“ წაყენებული მოთხოვნებიდან „შეასრულა უმეტესი, მაგრამ არა ყველა“, ხოლო რუსეთმა, „ჯერ არ შეასრულა ასამბლეის მიერ დადგენილი მრავალი ძირითადი მოთხოვნა“.**

ინტერპრესნიუსი

◉ თავო ჩემო...

**კარგა ხანია, ასეთი ნაადრევთოვლიანი ზამთარი არ მინახავს. ფანტელების კორიანტელში ჩემი ფანჯრიდან გაჭირვებით ვარჩევ სამების ტაძრის დიდებულ კონტურებს. გარეთ კი თოვს და თოვს...**

**კარგი რამეა გარეთ თოვა და სახლში ბუხრის ტკაცუნი. ცეცხლი და თოვლი ის სტიქიებია, რომლებიც ფიქრისკენ გიბიძგებენ უნებურად. ბუხრისა რა მოგახსენოთ – იგი, სამწუხაროდ, დღეს ლაწირაკ ძლიერთა ამა ქვეყნისათა ფუფუნების საგანია, რომელთა უწიგნურ თავებში ბუხრის საამო ტკაცატკუცი კი არა, მარტენის ღუმელის გუგუნიც ვერ აღძრავს ფიქრებს. თვითკრიტიკულის, სინანულისას, თორემ უკეთურ ფიქრებს რა გამოულევთ?**

თოვლი კი თანაბრად გვათოვს ლაწირაკებსაც და ჩემსავით „ბებრებსაც“, ჩინოსნებსაც და უჩინოთაც. ჰოდა, თოვს, თოვს და ფიქრებიც ფანტელებივით მერევა. რომელი ერთიდან დავიწყო? თუ ყველაფერზე ცოტა-ცოტა მოგითხროთ? მაგრამ ასე ხომ ჩვენი პრეზიდენტივით გამომივა – ყველაფერზე ვილაპარაკო და ვერავინ ვერაფერი გაიგოს.

რა თქმა უნდა, საფიქრალის, თავში საცემის მეტი რა გვაქვს, ჩემო მკითხველო. თანაც ამ საახალწლოდ! აფსუს, საზიზღარი კომუნისტების – ჩემი ტკბილი ბავშვობის, სიჭაბუკის დრო. რა საახალწლო სამზადისი, რა საბაზრო ფაციფუცი იყო! გოჭი ვიყიდოთ თუ ინდაური, თუ ორივე ერთად? ცენტრალური გათბობაც თავისით ირთვებოდა. ახლა გაზი გვაქვს, მაგრამ ჩართე, თუ ბიჭი ხარ, გამათბობელი. მრიცხველის ტრიალი რომ გაგახსენდება, სული ისე გაგეყინება, რა „კარმა“ გაგათბობს!

გოჭი და საცივი კი არა, ცოლმა ლამის ღამურას დამამსგავსოს: სინათლეს პრაქტიკულად არ ვანთებთ – ტელევიზორის შუქიც გვეყოფაო!



### თოვლი მოდის, არემარე ფანტელებით იფარება...

### ფიქრები საქართველოზე ვირტუალურ ბუხართან

ვერც გაამტყუნებ. აქეთ გაზიო, იქით შუქიო, წყალიო, ნაგვის, ლიფტის და ათასი ოხრობის გადასახადი. მიშას რომ ჰკითხო, 24-საათიანი ელექტრომომარაგება ხომ გაქვთო, გვამადლის. ეჰ! ჩემო იმანო, ასეთ ქონას, იქნება არქონა სჯობდეს?

ისევ ის დრო უნდა გავიხსენო, „რუსების მონები“ რომ ვიყავით, ანუ სსრკ, სადაც, მართალია, ჩვენი თავი ჩვენადვე არ გვეყუდნოდა, მაგრამ სამაგიეროდ დღეში 24 კი არა, იქნებ 25-საათიანი ლამის უფასო ელექტრო-გაზ-წყალმომარაგებაც კი გვქონდა. ჰოდა, თუ მოხდებოდა სასწაული და ერთი საათით დენს გაგითიშავდნენ წელიწადში ერთხელ, ცხონებული ბაბუაჩემი ტელეფონს ეცემოდა – ომის ვეტერანი, ჟურნალისტი ალიოშა კოკაია ვარ, ეს როგორ გაბედეთო, და... მაშინდელი „თელასის“ ხელმძღვანელობა დაზაფრული გარბოდა „რუბილნიკის“ ჩასართავად. დიდი „ინტრიგანი იყო“ ცხონებული ბაბუაჩემი. ახლა მიდი და, დაჰყვლიპე თვალები ტელევიზორის შუქზე.

ვიცი, პატრიოტთა ბანაკებში ნაცების რისხვას დავიმსახურებ – რა გოჭი და ინდაური აგიტყდა, სამშობლო საფრთხეშია, დაიღუპე შენი სსრ კავშირიანადო. ამისთანა ნაციონალურების გასაგონად ვიტყვი, რომ კარგ მთქმელს, კარგი გამგონე უნდა. თქვენ სად იყავით თქვენი მიშებით, ბოკერიებით, გოკა-გიგებით, როცა სწოედ სსრკ-ს დროს ვოცნებობდით დამოუკიდებელ საქართველოზე, მაგრამ არ გვეგონა, თუ თავისუფლება შიმშილს, სიცივეს ნიშნავდა. ვფიქრობთ დღესაც.

ის, რა დღეშიც ახლა ჩვენი გამათხოვრებული საქართველოა, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესგან“ ისე შორს არის, როგორც სხვის კარზე აყუდებული ხელგაწვდილი მათხოვარი სიამაყისა თუ ღირსებისგან. თანაც უხერხულია, უნამუსობაა მაღალი იდეალების და ჭირთათმენისკენ მოგვიწოდებდეს ის, ვისაც არც სცივა, არც წყურია და არც შია. ვისაც აგვისტოს ომის დროს ნაკაწრიც არ დასტყობია. და რამდენი ასეთი, ვისაც, ვისაც, ვისაც შეიძლება ითქვას! ეეჰ!

### „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“?

რითი და იმითი, რომ ახლა ის უნდა ვარკვიოთ, რას გადაწყვეტენ თუ უკვე გადაწყვიტეს იქ, პოტომაკის ნაპირებზე, რა იქნება ხვალ? გადადგება თუ გადააყენებენ სააკაშვილს? ან თუ შეიცვლება ხელისუფლება, მოიტანს კი ეს რეალურ სასიკეთო ცვლილებებს თუ ისევ გატეხილი ვარცლის წინ აღმოვჩნდებით დამსხვრეულ იმედებთან ერთად?

ერთადერთი, რაც უეჭველად, ან თითქმის უეჭველად შეგვიძლია ვთქვათ და ვივარაუდოთ, ის არის, რომ ეს წელიწადიც, ვარდების რევოლუციის შემდგომი ყოველი წელიწადის დარად, კვლავაც საქართველოს „არნახული გამარჯვების“ წელიწადი, ისტორიის კუთვნილება გახდება და ახალი, კვლავაც „არნახული გამარჯვებების“ მომტან მომავალ წელიწადს ისევ ჩვენი „მაგარი მიშა“ მოგვილოცავს!

ჩვენ, უბრალო ხალხი კი, დათრგუნულები, ხვალინდელი დღის შიშით მომლოდინენი ვეგებებით ახალ, 2009 წელს.

ღმერთო, შენ უშველე საქართველოს...

დავით მხეიძე

პირველად ქართულად

# ბარაკ ობამა

# „იმედის შემართება“

## რამდენიმე ამონარიდი იმ კაცის წიგნიდან, რომელსაც შეუძლია ამერიკისა და მთელი მსოფლიოს შეცვლა

და ახლა, სამი წლის შემდეგ, როდესაც დაღუპულ ამერიკელთა რიცხვმა გადააჭარბა ორი ათასს, ხოლო დაჭრილთა რაოდენობამ თექვსმეტი ათასს; ორას ორმოცდაათი მილიარდი დახარჯული დოლარის და კიდევ ასეული მილიარდის შემდეგ, რაც საჭირო იქნება მომავალ წლებში საზოგადოებრივი ვალის დასაფარავად და ომის ინვალიდების მოვლისათვის; ერაყში ორი საყოველთაო არჩევნების და ერთი საკონსტიტუციო რეფერენდუმის და იმის შემდეგ, რაც დაიღუპა ათეულობით ათასი ერაყელი; მას შემდეგ, რაც რეკორდულად გაიზარდა ანტიამერიკული განწყობილება მთელ მსოფლიოში, ავღანეთმა კვლავ დაიწყო ქაოსისკენ დაქანება, — მე მივფრინავდი ბაღდადში როგორც სენატის წევრი, ნაწილობრივ პასუხისმგებელი იმისათვის, რომ შევეცადო გავიგო, თუ როგორ უნდა გავართვათ თავი ყოველივე ამას.

ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტში დაჯდომა არ აღმოჩნდა ისეთი ცუდი — თუმცა მიხარია, რომ ვერ ვიყურებოდით ილუმინატორში, როცა ძირს დაშვების დროს ს-130 აკეთებდა პირუეტებს. ჩვენ შეგვხვდა გამცილებელი სახელმწიფო დეპარტამენტიდან, აგრეთვე სამხედროები შაშხანებით მხრებზე. უსაფრთხოების შესახებ ინსტრუქტაჟის, სისხლის ჯგუფის ჩაწერის, ჩაჩქნებისა და კევლარის ჯავშანჟილეტების შემოწმების შემდეგ ჩვენ ჩავსხედით ორ შვეულმფრენში „შავი ქორი“ და გავემგზავრეთ მწვანე ზონაში დაბალ სიმაღლეზე, უკან ჩამოვიტოვეთ მიტოვებული ველ-მინდვრები, დაბალი ბეტონის საფარები — ბევრი მათგანი ცარიელი ჩანდა, ზოგიერთი იყო გადათხრილი ბულდოზერებით. დაბოლოს, გამოჩნდა ბაღდადი, ქვიშის ფერი დედაქალაქი, აგებული წრისებრი გეგმით, რომელსაც შუაში კვეთდა მდინარე ტიგროსი. ჰაერიდანაც ჩანდა, რომ ქალაქი გაძუცულია, მოძრაობა ქუჩებში იშვიათია — თუმცა ყველა სახლის სახურავზეა თანამგზავრული თეფშები, რასაც ქსელური სატელეფონო კავშირგაბმულობის სამსახურიდან ერთად დიდად აქებდნენ ამერიკელი ჩინოვნიკები, როგორც აღდგენის წარმატებას.

ერაყში მხოლოდ დღე-ნახევარი ვიყავი, ძირითადად მწვანე ზონაში — მონაკვეთი ბაღდადის ცენტრში (მისი ფართობია ათი მილი², იგი ერთხანს ეკუთვნოდა სადამ ჰუსეინს, ახლა კი ამერიკის შეერთებული შტატების კონტროლს ექვემდებარება, გარს აკრავს ფეთქებადგამძლე კედელი და მავთულხლართები. აღდგენითი სამუშაოების რაზმებმა გვიამბეს ელექტროენერგიის წარმოებისა და ნავთობის მოპოვების სირთულეების შესახებ მოამბოხეთა დივერსიების გამო; დაზვერვის ოფიცრები აღწერდნენ მზარდ საფრთხეს, რომელიც მოდის შეიარაღებული ფანატიკოსებისაგან მათი ერაყის უშიშროების ძალებში შეღწევის დროს. მოგვიანებით ჩვენ შევხვდით ერაყის საარჩევნო კომისიის წევრს, რომელიც ენთუზიაზმით ლაპარაკობდა ამომრჩეველთა კარგ მოსვლაზე უკანასკნელი არჩევნების დროს და ერთი საათი ვუსმენდით, თუ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს, გონიერ ელეგანტურ მამაკაცს დაღლილი სახით ხალილზადს, რომელიც გვიხსნიდა მაქოს დიპლომატის დეტალებს, რათა შიიტური, სუნიტური და ქურთული ფრაქციებისაგან შეიქმნას რაღაც გაერთიანებული მთავრობის მაგვარი ორგანო.

დღის მეორე ნახევარში შესაძლებლობა მოგვეცა გვესადილა ჯარისკაცებთან ერთად უზარმაზარ სასადილოში სადამის ყოფილი საპრეზიდენტო სასახლის საცურაო აუზის გვერდით. ეს იყო ეროვნული გვარდიის რეგულარული ძალების, რეზერვისტებისა და ქვედანაყოფების ნარევი დიდი და მცირე ქალაქებიდან, თეთრკანიანები და ლათინოამერიკელები, ბევრი მათგანი აქ მეორე და მესამე ვადით იყო. ისინი სიამაყით გვიამბობდნენ, თუ რისი გაკეთება შეძლეს მათმა ქვედანაყოფებმა: ააშენეს სკოლები, დაიცვეს ელექტროტექნიკური ნაგებობები, გაჰყავდათ ახლად მომზადებული ერაყელი ჯარისკაცები დაზვერვაში, არემონტებდნენ კვების ხაზებს. და კვლავ და კვლავ სვამდნენ ერთსა და იმავე შეკითხვას: რატომ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრესა მხოლოდ ბომბების აფეთქებებზე, მკვლელობებზე იტყობინება? არის პროგრესიც, გვარწმუნებდნენ ისინი, საჭიროა ვუამბოთ ადამიანებს, რომ ისინი აქ უქმად კი არ არიან, არამედ შრომობენ.




ადვილი იყო ამ ადამიანებთან საუბარი, მათი გაწბილების გაგებაც, ყველა ამერიკელი, ვისაც მე შევხვდი ერაყში, სამხედროებიც, მოქალაქეებიც, მაოცებდნენ თავიანთი ერთგულებით, ოსტატობით და გულღია აღიარებით არა მხოლოდ დაშვებული შეცდომებისა, არამედ მომავალი სირთულეებისაც. მართლაც, ყველა საწარმო ერაყში მოწმობდა ამერიკელთა გამომგონებლობაზე, სიმდიდრესა და ტექნოლოგიებზე. როდესაც იდექი მწვანე ზონის შიგნით, ან რომელიმე სხვა ოპერატიულ ბაზარში ერაყსა და კუვეიტში, გაოცებდა მთავრობის უნარი ეშენებინა მთელი ქალაქები მტრის ტერიტორიაზე, ავტონომიური დასახლებანი საკუთარი ენერგომომარაგებითა და კანალიზაციით, კომპიუტერებითა და უმავთულო ქსელებით, კალათბურთის მოედნებითა და ნაყინის ჯიხურებითაც კი. უფრო მეტიც, ყველაფერი გახსენდება ამერიკული ოპტიმიზმის განუმეორებელ თვისებაზე, რაც ყველაფერში შეინიშნებოდა — ცინიზმის უქონლობა, მიუხედავად საშიშროებისა, მხსვერპლისა, თითქოსდა გაუთავებელი წარუმატებლობისა, მტკიცე რწმენა იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენი მოქმედება გამოიღებს ნაყოფს — ხალხს მიეცემა უკეთესი ცხოვრება, ხეირიანად რომ არც კი ვიცით.

და მაინც, ზოგიერთი შეხვედრა ჩემი ვიზიტის დროს შემახსენებს იმას, თუ რამდენად დონკიხოტური იყო ჩვენი ძალისხმევა ერაყში, რომ, მიუხედავად ამერიკული სისხლისა, ყველა სიმდიდრისა და საუკეთესო განზრახვებისა, შენობა, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ, დგას ქვიშაზე.

პირველი შეხვედრა გაიმართა იმ საღამოს, როდესაც ჩვენი დელეგაცია მართავდა პრესკონფერენციას უცხოელ კორესპონდენტთა ჯგუფთან, რომლებიც აკრედიტებული იყვნენ ბაღდადში. კითხვებისა და პასუხების ნაწილის შემდეგ, კორესპონდენტებს შევეკითხე, ხომ არ დარჩებოდნენ ისინი არაოფიციალურ საუბარზე. მაინტერესებდა, გამეგო ზოგი რამ იმის შესახებ, რაც ხდებოდა მწვანე ზონის ფარგლებს გარეთ. ისინი სიხარულით დამთანხმდნენ, თუმცა გამაფრთხილეს, რომ მხოლოდ ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში შეუძლიათ დარჩენა (უკვე გვიანი იყო და, როგორც ბაღდადის მოსახლეობის უმეტესობა, ისინი ერიდებოდნენ გადაადგილებას მზის ჩასვლის შემდეგ.

ესენი იყვნენ ოცი-ოცდაათი წლის ადამიანები, ყველა უზრალოდ იყო ჩაცმული და შეიძლებოდა კოლეჯების სტუდენტებად ჩაგეთვალა. მაგრამ მათ სახეზე ეტყობოდათ დაძაბულობა — ამ დროისთვის ერაყში დაიღუპა სამოცი ჟურნალისტი. მართლაც, ჩვენი საუბრის დასაწყისში მათ ბოდიში მოიხადეს იმისათვის, რომ ცოტა დაბნეულები იყვნენ; მათ მხოლოდ ახლა აცნობეს, რომ მათი კოლეგა, გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის“ კორესპონდენტი სახელად ჯილ კეროლი მოიტაცეს, მისი მძღოლი კი მოკლული ნახეს გზის პირას. მათ მიიღეს ყველა ზომა, გამოიყენეს თავიანთი კავშირები და ცდილობენ გაიგონ, თუ სად არის ახლა ის გოგონა. ასეთი ფაქტები ახლა ბაღდადში შემთხვევით როდია, თუმცა ძირითად დარტყმებს აყენებენ ერაყელებს, გვითხრეს მათ. ბრძოლები შიიტებსა და სუნიტებს შორის არ წყდება. არცერთი ჟურნალისტი არ მიიჩნევდა, რომ არჩევნების შემდეგ მდგომარეობა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით გაუმჯობესდება. მათ შევეკითხე, ხომ არ ფიქრობენ ისინი, რომ ამერიკის ჯარების გაყვანას შეუძლია ვითარების განმუხტვა და ველოდი დადებით პასუხს, მაგრამ ყველამ თავი გაიქნია.

— ვფიქრობ, რამდენიმე კვირის შემდეგ ქვეყანას მოიცავს სამოქალაქო ომი, — მითხრა ერთ-ერთმა კორესპონდენტმა. — შეიძლება დაიღუპოს ასი, შეიძლება ორასი ათასი. მხოლოდ ჩვენს გამო არ ინგრევა აქ ყველაფერი.

იმავე საღამოს ჩვენი დელეგაცია თან ახლდა ელჩ ხალილზადეს სადილზე ერაყის პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის ჯალილ ტალაბანის სახლში. უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყო მთელი გზის მანძილზე მწვანე ზონის ფარგლებს გარეთ. კვარტალების საზღვრებზე იდგნენ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარისკაცები, ისინი გვარიგებდნენ, არ მოგვეხადა ჩაჩქნები, არ გაგვეხადა ჯავშანჟილეტები.

ათი წუთის შემდეგ ჩვენ მივედით დიდ ვილაში, სადაც მოგვესალმნენ პრეზიდენტი და ერაყის დროებითი მთავრობის რამდენიმე წევრი. ისინი იყვნენ ჩასკვნილი მამაკაცები, ძირითადად, ორმოცდაათ-სამოც წელს გადაცილებულები, ღიმილიანი სახეებით, თუმცა მათი იერი არავითარ ემოციას არ გამოხატავდა. მე მხოლოდ ერთი მინისტრი ვიცანი — ბატონი ახმად ჩალაბი, შიიტი, რომელმაც განათლება დასავლეთში მიიღო. ის, როგორც დევნილობაში ერაყის ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელი, ამარაგებდა ამერიკის დაზვერვის სამსახურს და მაღალი თანამდებობის პირებს ბუშის გარემოცვაში ინფორმაციით, რის საფუძველზეც მიღებული იქნა გადაწყვეტილება შეჭრის შესახებ, ინფორმაციით, რისთვისაც ჩალაბის ჯგუფმა მიიღო მილიონობით დოლარი და რომელიც ცრუ აღმოჩნდა. ამის შემდეგ ჩალაბის პატივს აღარ მიაგებდნენ მისი ამერიკელი მფარველები. იყო ცნობები იმის შესახებ, რომ მან გადასცა საიდუმლო ინფორმაცია ირანს და რომ იორდანიაში გამოწერილია ორდერი მისი დაპატიმრების შესახებ მას შემდეგ, რაც იგი დაუსწრებლად გაასამართლეს სახსრების გაფლანგვისთვის, საბანკო თაღლითობისა და სავალუტო სპეკულაციისათვის, მაგრამ ის მაინც არ დაცემულა — იყო შესანიშნავად ჩაცმული, თან ახლდა თავისი ქალიშვილი და ასრულებდა ნავთობის მრეწველობის მინისტრის მოვალეობას.

სადილობის დროს მე ბევრჯერ ვესაუბრე ჩალაბის. ვიჯექი ფინანსთა ყოფილი დროებითი მინისტრის გვერდით. ის ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა, ლაპარაკობდა საქმის ცოდნით ერაყის ეკონომიკაზე, მისი გამჭვირვალების ამაღლების აუცილებლობასა და სამართლებრივი ჩარჩოების გამაგრებაზე, რათა მიიზიდონ უცხოელი ინვესტორები. საღამოს ბოლოს საელჩოს შტატის ერთ თანამშრომელთან საუბრის შესახებ ვთქვი ჩემი შთაბეჭდილების შესახებ.

— დიახ, ის ნიჭიერია, ეჭვი არ არის, — მითხრა საელჩოს თანამშრომელმა. — რასაკვირველია, ის არის აგრეთვე პარტია „ერაყის უმაღლესი ისლამური საბჭოს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ისინი აკონტროლებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც, თავის მხრივ, აკონტროლებს პოლიციას. პოლიცია კი... იქ იყო პრობლემები მის რიგებში ბოევიკების შეღწევის პრობლემებთან დაკავშირებით. ბრალდება, რომ იგი იჭერს სუნიტების ლიდერებს, მეორე დილით კი მათ სხეულებს პოულობენ... — ჩემი მოსაუბრე გაჩუმდა და მხრები აიჩეჩა. — ჩვენ ვმუშაობთ იმით, რაც გვაქვს.

იმ ღამეს დაძინება გამიჭირდა. ვუყურებდი „ვაშინგტონ რედსკინზის“ თამაშს, რომელსაც თანამგზავრის მეშვეობით გადმოსცემდნენ აუზიან სახლში, რომელიც ოდესღაც სადამს და მის სტუმრებს ემსახურებოდა. რამდენჯერმე გამოვრთე ხმა და მესმოდა, როგორ არღვევდა მყუდროებას ნაღმსატყორცნების სროლები. მეორე დღეს „შავი ქორით“ გავემგზავრეთ ფალუჯაში საზღვაო ქვეითი ჯარებთან, ანბარის პროვინციის დასავლეთის გვალვიან ნაწილში. მეამბოხეებთან ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ბრძოლები სწორედ ანბარში ხდებოდა, სადაც ჭარბობენ სუნიტები. ატმოსფერო ბანაკში გაცილებით პირქუში იყო, ვიდრე მწვანე ზონაში. სწორედ წუხელ ხუთი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი შეეწირა გზის მადლობლად ჩადებულ ნაღმს. ისინი პატრულირებას ახორციელებდნენ. ჯარისკაცები აქ გამოიყურებოდნენ უფრო „მწვანედ“. ჯარისკაცების უმეტესობა ოც წელს ახალი გადაცილებული იყო, სახეზე ჯერ კიდევ საყმაწვილო მუწუკები ჰქონდათ და ჩამოუყალიბებელ მოზარდებს გვანდნენ.

ბანაკის მეთაურმა გენერალმა მოაწყო ბრიფინგი და ჩვენ ვუსმენდით, უფროსი ოფიცრები როგორ უხსნიდნენ ხელქვეითებს ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე დასახულ დილემას: შესაძლებლობის ზრდასთან ერთად ისინი ყოველდღე აპატიმრებდნენ მეამბოხეთა სულ უფრო მეტ ლიდერებს, მაგრამ ისევე, როგორც ჩიკაგოს ქუჩის ბანდებთან დაკავშირებით, თითოეული დაპატიმრებული მეამბოხის ადგილი მზად იყო, დაეკავებინა ორ ახალს. თითქოსდა, ამბოხი იკვებება ეკონომიკით და არა პოლიტიკით — ცენტრალური მთავრობა ყურადღებას არ აქცევს ანბარს, და უმუშევრობა მოზრდილ მოსახლეობას შორის შეადგენს დაახლოებით სამოცდაათ პროცენტს.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 218, 220, 227.

იუბილე

# ბატონი ბორის პატონი – წელთა სიმდიდრის პატრონი



**უკრაინამ და, რასაკვირველია, დედაქალაქმა კიევმა სულ ახლახან ღირსეული პატივი მიაგო ერის მართლა სასიქადულო შვილსა და იმავდროულად ერის ერთ-ერთ ყველაზე დასაფასებელ მამას, 90 წლის ჯანმრთელად მყოფ მეცნიერების პატრიარქს, აკადემიკოს ბორის პატონს.**

მკითხველს ვთხოვ მოთმინებით ჩაიკითხოს ეს ჩამონათვალი, რათა უმალვე დაინახოს, თუ რა უნიკალურ პიროვნებასთან გვექნება საქმე წინამდებარე წერილში.

გამოჩენილი მეცნიერი შედუღების, მეტალურგიისა და მასალათა ტექნოლოგიის, მასალათმცოდნეობის დარგებში, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერების საუცხოო ორგანიზატორი; უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; უკრაინის სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, სსრ კავშირისა და უკრაინის სახელმწიფო პრემიების, ლენინური პრემიის ლაურეატი; სსრ კავშირის სოციალისტური შრომის ორგზის გმირი, უკრაინის გმირი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის ლიკვიდატორი.

აქ უთუოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ახლა ერთგვარად საქილიკოდ ქცეული ცნებები „სსრ კავშირის სოციალისტური შრომის გმირი“, „ლენინური პრემიის ლაურეატი“ თუ სხვა ამნაირი თავის დროზე ფრიად საპატიო გახლდათ და მაღალი საზოგადოებრივი წარჩინების ნიშნებად ითვლებოდა. ამიტომაც თამამად უნდა გავაცოცხლოთ „ძველი წელთაღრიცხვიდან“ გადმოსულ ისეთ კაცზე, უკვე ლეგენდარულზე, საუბრისას, როგორიც ბორის პატონია.

მას მსოფლიო ავტორიტეტი მოუხვეჭა მრავალმხრივმა და არაჩვეულებრივად ნაყოფიერმა, მარტო მეცნიერულმა კი არა, საინჟინრო მოღვაწეობამაც, საზოგადოების პრობლემების გადაწყვეტაზე მეცნიერული გამოკვლევების მიმართვისკენ გამუდმებულმა სწრაფვამ. პროფესორ მამასთან, უბადლო ხიდთმშენებელ ევგენი პატონთან ერთად მან შექმნა საყოველთაოდ ცნობილი პატონის მეცნიერული სკოლა (თუ არ ვცდები, თბილისშიც იყო ევგენი პატონის სახელთან დაკავშირებული ხიდი).

რასაკვირველია, უიშვიათეს ფაქტებად უნდა მივიჩნიოთ, რომ ბორის ევგენის ძე 55 წელზე მეტია, რაც კიევში ხელმძღვანელობს მსოფლიოში აღიარებულ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ცენტრს – მამის სახელობის ელექტროშედულების ინსტიტუტს, ხოლო 1962 წლიდან უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის, აწ უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცვლელი პრეზიდენტია!

... უკრაინის დედაქალაქში აკადემიკოს ბორის პატონის 90 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმობაზე უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი. ამ თარიღს დაემთხვა უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აგრეთვე 90 წლისთავისა და საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიების ასოციაციის (სმააძ შექმნის 15 წლისთავის აღნიშვნა (აქვე სათქმელად, ბორის პატონი სმაა-ის პრეზიდენტიც გახლავთ!ძ.

კიევში ჩავიდნენ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიების, სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენლები. საქართველოდან იყვნენ სმეა-ის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე და სმეა-ის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე. რუსეთს წარმოადგენდნენ რმა-ის პრეზიდენტი, აკადემიკოსი იური ოსიპოვი, რმა-ის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი, ნობელიანტი ჟორეს ალფიოროვი, აკადემიკოსები რენად საგდეევი, ალექსი სისაკიანი(დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის დირექტორიძ, გური მარჩუკი, ვიქტორ სადოვნიჩი (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორიძ და სხვანი (ცალკე აღვნიშნავთ, რომ ყველაზე მრავალრიცხოვან რუსეთის დელეგაციაში შედიოდა ჩვენი თანამემამულეც, რმა-ის გეოფიზიკური ცენტრის დირექტორი, რმა-ის წევრ-კორესპონდენტი ალექსი ჯერმენის ძე გვიშიანიძ.

კიევური შთაბეჭდილებების გაზიარება ბატონ ჯუმბერს ვთხოვეთ.

– მგონი პირველად ვიყავი ერთდროულად სამი ასეთი ღირსშესანიშნავი იუბილეს მონაწილე... ძალიან კარგად დაგვხვდნენ, ყველანი კომფორტულად დაგვაბინავეს სასტუმრო „უკრაინაში“ და იქ ყოფნის ორივე დღეს ყურადღება და მზრუნველობა არ მოუკლიათ.

ბორის პატონის 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს დაესწრნენ და ვრცელი სიტყვებით გამოვიდნენ უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო და პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო. გამომსვლელთა შორის იყვნენ აკადემიკოსები იური ოსიპოვი, ჟორეს ალფიოროვი და, რა თქმა უნდა, ჩვენი აკადემიის პრეზიდენტი თამაზ გამყრელიძე, რომელმაც მხურვალედ მიულოცა საყოველთაო პატივით მოსილ იუბილარს სახელოვანი 90 წლისთავი (აქვე შევნიშნავ, რომ შემდგომ ბატონმა თამაზმა, როგორც ქართული დელეგაციის მეთაურმა, სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის იუბილისადმი და სმაა-ის შექმნის 15 წლისთავისადმი მიძღვნილ სმააის საბჭოს სხდომაზე, რომლის წევრიც გახლავთძ.

**– თვითონ იუბილარმა როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე?**

– გასაოცარია, რომ ასეთ სოლიდურ ასაკში ასე მხნედ გამოიყურება, როგორც ეს ჩვენთან ერთად გადაღებული სურათიდანაც ჩანს. ისიც გასაოცარია, რომ კვლავ წარმატებით არსულებს ინსტიტუტის დირექტორისა და ორმაგი პრეზიდენტობის ფუნქციებს... საზეიმო სხდომაზე ჩინებული სამადლობელი სიტყვით გამოვიდა, მერე შესანიშნავი მოხსენება წაიკითხა სმააის საბჭოს სხდომაზე 1993-2008 წლებში ასოციაციის მოღვაწეობის ძირითადი შედეგების შესახებ.

მითხრეს, რომ კვირაში ორჯერ საცურაო აუზზე დადის, დიდხანს წყლის თხილამურებით სრიალებდა, სანამ ორიოდე წლის წინათ მცირე მარცხი შეემთხვეოდა სწორედ სრიალისას. საუცხოო მეხსიერებაც შემორჩენია.

**– როგორც ვიცი, თბილისში, საქართველოში რამდენჯერმეა ნამყოფი...**

– ბოლოს ჩვენი აკადემიის 55 წლისთავზე ჩამობრძანდა 1996 წელს, მაშინ ალეკო თავხელიძე იყო აკადემიის პრეზიდენტი... ახლა ეს თბილად გაიხსენა თელავში სტუმრობასთან ერთად, სადაც ჩინებულად უმასპინძლა და კახეთი მოატარა მაშინდელმა გუბერნატორმა, ცნობილმა მათემატიკოსმა გია არსენიშვილმა...

ბორის ევგენის ძეს უზარმაზარი ავტორიტეტი და გავლენა აქვს, სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ სფეროებში არაფერი უმაგისოდ არ წყდება და ეს დიდი ხანია ასეა. კიევსა და ხარკოვში არაერთი მეგობარი მყავს (ხარკოვში შევასრულე ჩემი ორივე დისერტაციის ძირითადი ნაწილიძ და ბევრი მსმენია ამის თაობაზე. ერთი გაგონილი ამბავი უნდა გიამბოთ.

თავის დროზე ბორის პატონი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი გახლდათ, მსტისლავ კელდიშის პრეზიდენტობის დროს. პრეზიდიუმის სხდომებზე დასასწრებად სისტემატურად უწევდა კიევიდან მოსკოვში ჩასვლა, მით უფრო, რომ მსტისლავ ვსევოლოდის ძე ძალიან აფასებდა და ანგარიშს უწევდა. ერთხელაც ურეკავს თურმე და მნიშვნელოვან სხდომაზე საგანგებოდ იწვევს. ბორის ევგენის ძე კი ბოდიშს უხდის და ეუბნება, სამწუხაროდ, არ შემიძლია ჩამოსვლაო. რატომო? ხვალ აქ კიევის „დინამო“ თამაშობსო (სპორტი ყოველთვის გამორჩევით უყვარდა და უყვარსძ. თქვენ წარმოიდგინეთ, სიმკაცრითაც ცნობილი დიდი აკადემიის პრეზიდენტი „გაგებით“ მოკიდებია ამას და პრეზიდიუმის სხდომა ორი დღით გადაუდვია... აი, ასეთი განუზომელი იყო და არის ამ განსაცვიფრებელი კაცის ავტორიტეტი. ახლა არ იკითხავთ, როგორი ნაკითხაობის, როგორი ინტელექტუალობის შთაბეჭდილებას ახდენს ყოველი შეხვედრის შემდეგ?..

... ვიკითხავ, ბატონო ჯუმბერ, როგორ არ ვიკითხავ და მეც ვგრძნობ, ალბათ თქვენთან ერთად, სიამაყეს ადამიანის გამო, რომელიც ბუნებამ ისეთიც შეიძლება გამოიყვანოს, როგორიც ეს ჭეშმარიტად უნიკალური პიროვნებაა.

... ორი ქვეყნის, საქართველოსა და უკრაინის მეგობრობა, რა თქმა უნდა, სასიკეთოდ აისახება ორი აკადემიის მჭიდრო ურთიერთობაზეც. ეს ჩვენი ორი აკადემიკოსის ახლახანდელმა კიევურმა ვიზიტმაც დაადასტურა...

**თამაზ ებანოიძე**

**(მარცხნიდან) თამაზ გამყრელიძე, ბორის პატონი, ჯუმბერ ლომინაძე.**



ყოფა

# დასაქმება, დასაქმება და კიდევ... დასაქმება

**არ გამართლდა პროგნოზი, ზოგიერთი პარლამენტში რომ ფიქრობდა, ჩაძუჩის ერთჯერადი დარტყმით მოვაგვარებთო გარევაჭრობის საკითხს. ამჯერად უნდა ითქვას, რომ თბილისში სავაჭრო ურიკების ბუნტი არ შედგება. დროებით? ეს არავინ იცის.**

მაინც რა მოხდა? ხელისუფლებას გარემოვაჭრეთა ბუნტისა შეეშინდა თუ ახალი დაპირისპირებისა. ალბათ, ერთიც არის და მეორეც. ჩემი აზრით, კი ეს ის არის, როცა მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა.

ასეა თუ ისე, „საქართველოს რესპუბლიკა“ რამდენიმე დღის წინათ წერდა, რომ პარლამენტში მზადდებოდა კანონპროექტი გარევაჭრობის მოწესრიგების შესახებ. პარლამენტარებმა იგი ორი მოსმენით მიიღეს, მესამე მოსმენისათვის კი მასში „გარევაჭრობა“ გაქრა და „გარერეკლამა“ გაჩნდა.

შეგახსენებთ, რომ ამ კანონპროექტის თანახმად მოვაჭრეებს ბორბლებიანი ურიკებით ქუჩა-ქუჩა უნდა ევლოთ, თან სოლიდური გადასახადებიც უნდა ეხადათ, რაც მოვაჭრეთა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

ხელისუფლებას პრობლემები ისედაც არ აკლია და როგორც ჩანს, ხალხთან ახალ დაპირისპირებას ალბათ, მოერიდა. ეს ცუდი ნამდვილად არ არის, მაგრამ ერთი მაინც მაკვირვებს, ასეთი მოუფიქრებელი და მოუზომელი კანონპროექტი თავად პარლამენტში როგორ შეიქმნა, არ იცოდნენ, რომ მას რეალურად ვერ განახორციელებდნენ?

არავინ დავოს იმაზე, რომ გარევაჭრობამ ცივილური სახე უნდა მიიღოს, რომ ყოვლად შეუძლებელია მტვერში, მზის გულზე ხშირად მიწაზე დაფენილი გაზეთის ფურცლებზე იყიდებოდეს ხორცი, ზღვის პროდუქტები, ქათამი და სხვა, რასაც თავად მოვაჭრეებმაც უნდა შეუწყონ ხელი.

მართალია, პარლამენტმა გადაწყვიტა, ამჯერად, „ხალხზე ზრუნვის“ საბაბით ეს კანონპროექტი, თუნდაც დროებით არ მიეღო, მაგრამ თუ ისინი ნამდვილად არიან მზად იმისთვის, რომ დედაქალაქში გარევაჭრობა და მისი მსგავსი საქმიანობა ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს, აუცილებელია რეალურად იფიქრონ სამუშაო ადგილების შექმნაზე და არა მხოლოდ პიარზე. დღეს, და არა მარტო დღეს, ასეა უკვე რამდენი ხანია, სამუშაოს მაძიებელთა რიცხვი სულ უფრო მატულობს. ხომ ბევრი მშენებლობა მიმდინარეობდა თბილისში, დღეს კრიზისია და გასაგებია, მაგრამ ადრეც ძნელი იყო თუნდაც დამხმარე მუშად მუშაობის დაწყება, თუ ნაცნობი და ახლობელი არავინ გყავდა.

ერთმა ჩემმა ახლობელმა „კოკაკოლას“ მიაკითხა, პირადად დახვდა სამსახურთან თემურ ჭყონიას, მივიდა განთქმულ სამშენებლო ფირმაში „ცენტრპოინტში“ და შვილის მუშად მიღება ითხოვა, რომელსაც უმაღლესი განათლებაც ჰქონდა, მაგრამ ყველამ უარი უთხრა.

არ მინდა ახლა იმ დეპუტატის გვარის დასახელება, მაგრამ არ შემიძლია ფაქტი არ აღვნიშნო, როცა დეპუტატად ირჩევდნენ, ამბობდა, პრიორიტეტი ჩემს მუშაობაში სამუშაოზე ხალხის მიღება-დასაქმება იქნებაო. ახლა დააწინაურეს, იგივეს იმეორებს, მაგრამ ჩააბარა ანგარიში თავის ამომრჩეველს, რამდენი ადგილი შეიქმნა დღემდე, რამდენი დაასაქმა? რასაკვირველია, არა. დიდი საწარმოები არ შენდება, მცირეში კი უცნობს რატომ მიიღებენ, როცა თავიანთი ნათესავებიც დაუსაქმებელნი ჰყავთ?

ასე შემცირდება უმუშევრობა? არა, ნამდვილად! ის კი არა, ორი დღის წინათ ერთი მაღალჩინოსანი გვაიმედებდა, თბილისში თებერვალ-მარტში უმუშევართა რაოდენობა გაიზრდებაო. რა ქნას უმუშევარმა, სამსახურიდან დათხოვნილმა ათასობით ადამიანმა, რომელთათვისაც ქუჩა და ბაზარი გამხდარა ერთადერთი მარჩენალი?

რეალურად იფიქრეთ, ხელისუფალნო, სამუშაო ადგილებზე, ხალხის დასაქმებაზე, თუ გინდათ რომ ბუნტი მართლა არ იყოს.

**ნაზი იმნაიშვილი**

# მთაში მცოცავი ლოდები



დედამიწის ზოგიერთ ადგილას ოდითგანვე პოულობდნენ უზარმაზარ ლოდებს, რომლებიც მოულოდნელად ტოვებენ ადგილსამყოფელს და თავისით მოძრაობას იწყებენ.

ტიბეტში, უძველესი ჩრდილოეთ მონასტრის ბერები ბოლო ათას ხუთასი წლის მანძილზე აღწერენ ეგრეთ წოდებულ „ბუდას ლოდს“, რომელზეც, გადმოცემით, მისი ხელისგულებია აღბეჭდილი. ეს წმინდა ლოდი 1100 კილოგრამს იწონის და, ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე... 2565 მეტრის სიმაღლის მთაში „ადის“, შემდეგ კი სპირალური გზით, ქვემოთ ეშვება. მთელი ეს პროცესი 16 წელიწადს გრძელდება.

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მოხეტიალე ლოდების ადგილი კალიფორნიაშია, სადაც მცირე ზომის ქვებიც და ნახევარტონიანი ლოდებიც ეროვნული პარკის „სიკვდილის ველის“ დამშრალი ტბის რესტრეიკის ფსკერზე მოგზაურობენ. ქვები ნელა, კლაკნილად მოძრაობენ და ზედაპირზე მკვეთრ კვალს ტოვებენ. მთავარი კი ის არის, რომ ისინი არ მიგორავენ, არც ბრუნავენ, არამედ მიხოხავენ, თითქოს ვილაც უხილავი ექაჩება. ყველაზე გასაოცარი მაინც ის არის, რომ მეცნიერებმა არაერთგზის სცადეს მოძრაობის ფირზე აღბეჭდვა, მაგრამ უშედეგოდ.

ფრანგი ბიოლოგების არნოლდ რეშარისა და პიერ ესკოლიეს ექსტრავაგანტური თეორიით მოხეტიალე ლოდები — სიცოცხლის ზეშენელებული პროცესის მქონე ცოცხალი არსებებია. ისინი სუნთქავენ (მგრძნობიარე ხელსაწყოებმა დააფიქსირეს სუსტი, მაგრამ რეგულარული პულსაცია) და ნელა მოძრაობენ: კვირაში ერთ „ამოსუნთქვას“ აკეთებენ და რამდენიმე დღეში ერთი მილიმეტრით გადაადგილდებიან. გარდა ამისა, მეცნიერები ასევე აღნიშნავენ, რომ ლოდები სტრუქტურულადაც იცვლებიან — ისინი ახალგაზრდებიც არიან და მოხუცებიც.

# „დღე მუდამ იყოს მზე“

გერმანელმა მეცნიერებმა კვირის მანძილზე ტემპერატურის ცვალებადობის რიტმების, მისი მინიმუმებისა და მაქსიმუმების, მზიანი და ღრუბლიანი დღეების, ნალექების სიხშირისა და ა.შ. 70 ათასზე მეტი ჩანაწერი შეისწავლეს, რომელიც ბოლო 15 წელს მოიცავს და დაადგინეს, რომ კარგი ამინდი, როგორც წესი, კვირის დამდეგს არის ხოლმე და მისი ბოლოსთვის ფუჭდება.

როგორც წესი, ორშაბათ- ხუთშაბათობით დარია, შემდეგ ამინდი იცვლება ხოლმე და გამოდარებას კვირადღის მეორე ნახევარში იწყებს. ეს პროცესი განსაკუთრებით ზაფხულში მძაფრდება, რის მიზეზად დომენიკ ბოილერი და ბერნჰარდ ფოგელი ადამიანის კლიმატზე ზემოქმედებას ასახელებენ.

— როგორც ჩანს, ქალაქის ცხოვრების რიტმია იმის მიზეზი, რომ მთელი კვირის განმავლობაში ატმოსფეროს ქვედა ფენებში წვრილი მტვერი გროვდება, რომლის ნაწილაკები აქტიურად ირეკლავენ და განაბნევენ მზის სხივებს. ამასთან ისინი კონდენსაციის ცენტრებად გადაიქცევიან და ეს ხელს უწყობს ღრუბლების წარმოქმნას, რომლებიც შემდეგ წვიმად იღვრება, — აცხადებენ მეცნიერები. — გარდა ამისა, კვირის მანძილზე ქალაქები სითბოს კუნძულები არიან, რომლებიც წვრილი მტვრით დანაგვიანებულ ჰაერის ნაკადებს ზემოთ მიმართავენ. უქმე დღეებში კი ქალაქებში ტრანსპორტის მოძრაობა და სამუშაო აქტივობა კლებულობს და მტვერიც ნაკლებად წარმოიშვება. აი, ეს არის იმის მიზეზი, რომ, როგორც წესი, ორშაბათობით ისევ გამოიდარებს ხოლმე.



## „პირველ იყო სიტყვა...“

იაპონიაში უმაღლესი განათლების მქონე ერთ იურისტზე ათი ინჟინერი მოდის. ამერიკის შეერთებულ შტატებში ვითარება



სულ სხვანაირია: მსოფლიოში ყოველი სამი ადვოკატიდან ორი ამერიკელია.

ჟურნალ „ნიუსუიკის“ მონაცემებით, ეს გარემოება ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრებას უკავშირდება. იაპონიის საქმიან სამყაროში უფრო მეტი ნდობაა თუნდაც ტელეფონით ნათქვამი პატიოსანი სიტყვისადმი, ამერიკელები კი უფრო მეტად ადვოკატებისა და ნოტარიუსების მიერ დამოწმებულ დოკუმენტებს ენდობიან.

## „ცხვიროსანთა“ შეჯიბრი



შვეიცარიაში გამართული შეჯიბრის დროს მონაწილეებს ყველაზე მეტად... ცხვირები დაეღალათ: ზოგი მათგანი ფეხბურთის ბურთით ბალანსირდება, ზოგი ბეისბოლის კეტით, ხოლო 62 წუთის განმავლობაში (!) ტენისის ჩოგანის ცხვირზე გამჩერებელმა, როგორც ორგანიზატორებმა განაცხადეს, მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

## პატარა და მსუბუქი



„გედი“ — ამ სახელს დაარქმევენ ევროპული კონსორციუმის „ერბისის“ მიერ დაპროექტებულ ახალ თვითმფრინავს, რომელსაც ფუზელიაჟი, ფაქტობრივად, არა აქვს, ძრავები კი კუდში აქვს განთავსებული. ახალი თვითმფრინავი თანამედროვე საფრენ აპარატებზე გაცილებით მცირე ზომისაა და მათზე ბევრად ნაკლებ საწვავს მოიხმარს.

## „მოლაპარაკე ხელთათმანი“



მოწყალების დიდებული მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ შექმნილი „მოლაპარაკე ხელთათმანი“. იგი ყრუ-მუნჯებს „დალაპარაკების“ შესაძლებლობას მისცემს: მგრძნობიარე სენსორები აფიქსირებენ და მინიკომპიუტერს გადასცემს მარჯვენა ხელის თითების მდგომარეობას, რომელიც სიტყვებს ადგენს და მეტყველებად გარდაქმნის.

## რას „ებუბუნება“ მზე დედამიწას?

კოსმოსური აპარატის „ულისეს“ მიერ ახლახან გადმოცემული მონაცემებით, ყოველკვირეული რხევები, რომლებიც მზის წიაღში დიდ სიღრმეზე წარმოიშვება, უნისონში



დედამიწის გეოლოგიური სტრუქტურებისა და მაგნიტური ველის რხევებს იწვევს. ეს ცნობა ევროპის კოსმოსურმა სააგენტომ გაავრცელა. ასევე მზის რხევებთან თანხვედრილად ირხევა ატმოსფეროც, რომელშიც მნათობის „ბუბუნი“ ხმოვანი ტალღების ფორმას იღებს.

# ახალი წელი, ვითარცა კიმონო

ახალი წლის წინა დღეებში თითოეულ იაპონელზე, ჩვილ ბავშვთა ჩათვლით, საშუალოდ... სამიოთხი ათეული საახალწლო მილოცვა მოდის (!), რომლებსაც ადამიანურ ურთიერთობათა სიმბოლიკაში იაპონელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამას თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ საახალწლო მილოცვების დაწერის ცერემონია ყველა ოჯახში ახალ წლამდე ორი კვირით ადრე იწყება და ნაახალწლევს ერთი კვირის შემდეგ სრულდება.



საახალწლო მილოცვების ადრესატებთან მიტანა 1 იანვარს იწყება, რადგან მოკითხვის ამ დღეს მიღებას ყურადღების განსაკუთრებულ ნიშნად მიიჩნევენ. საგულისხმოა, რომ 7-10 იანვრის შემდეგ მილოცვის მიღებამ შეიძლება მიმღების წყენა გამოიწვიოს, ამდენად, ტრადიციის გათვალისწინებით, იაპონიის საფოსტო სამსახური მის ადგილზე 1 იანვარს მიტანის გარანტიას მხოლოდ იმათ აძლევს, ვინც მოკითხვის ბარათს 15-20 დეკემბრის შუალედში გაგზავნის.

პირველ საახალწლო მილოცვებს ცხოვრებაში იაპონელი ჯერ კიდევ მშობლების დახმარებით წერს, ხოლო შემდეგ მათ ეპისტოლარული ჟანრის მრავალრიცხოვან სახელმძღვანელოთა მიხედვით სწავლობს, რომლებიც საქმიანი და მეგობრული ბარათების, თანაგრძნობის გამოხატვისა და მილოცვის ნიმუშებს შეიცავენ. საახალწლო მილოცვებს, გარდა ნათესავებისა და ახლობელ-მეგობრებისა, იაპონელები ყველას უგზავნიან, ვისთანაც საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ამან შეიძლება კაცს დიდად ეწყინოს. თუმცა არის გამონაკლისებიც: მილოცვებს არ უგზავნიან ოჯახებს, რომლებსაც გასულ წელში უბედურება დაატყდა თავს, რითაც იაპონელები ხაზს უსვამენ იმას, რომ ახსოვთ სხვისი უბედურება და თანაგრძნობას ამ ფორმით გამოხატავენ.

დიდ ყურადღებას აქცევენ ასევე საახალწლო ღია ბარათების არჩევასაც, რომლებიც გაფორმებითა და ფასით დიდად განსხვავდებიან. არის სიურპრიზიანი ღია ბარათები — საახალწლო მელოდიებით, ნაძვისხით ან მინისათამაშოებით დამშვენებული, თუმცა ყველაზე ფასეულად საკუთარი ხელით დამზადებულებს მიიჩნევენ.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია საახალწლო მილოცვის შინაარსი, რომელიც ევროპელს, შესაძლოა, უცნაურიც კი მოეჩვენოს, ვინაიდან ძალიან ჰგავს მილოცვას... შვილის დაბადებასთან დაკავშირებით!

# დაუჯერებელია, მაგრამ მაინც ასეა...

ვუდუ — ესაა დასავლეთ აფრიკის ტომთა მისტიკური კულტი, რომელიც ჰაიტიზე შავკანიანმა მონებმა ჩაიტანეს. დროთა განმავლობაში ის ინდიელთა სარწმუნოებებსაც და კათოლიციზმს შეერია, ასევე მაგიური რიტუალები და ჯადოსნობის ზოგიერთი თვისება მიიღო.

შედეგად ძნელად წარმოსადგენი ნარევი გამოვიდა — მარტო ბაზრობებზე გასაყიდად გამოტანილი შავი ჯვრები, ჯვარცმული ჩვილების გამოსახულებები და მოჭრილი თავები რად ღირს! ვუდუს თაყვანისმცემლები ეთაყვანებიან „კეთილ ღმერთს“ — ბონ დიესა და „მიცვალებულთა მბრძანებელს“ — ბარონ შაბათს, რომელსაც შავსათვალიან, ცილინდრიან თავის ქალად გამოსახავენ. ვუდუს ქურუმები ვალდებულნი არიან მას მთელი სიცოცხლის მანძილზე ემსახურონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბარონი შაბათი მათ პირადად გაუსწორდება. ცალკე არიან ბოკორები, შავი მაგიის ჯადოსნები, რომლებსაც ავი სულის გამოძახება და კაცისთვის სნეულების შეყრა, ანდა, უბრალოდ „შენ სამ დღეში მოკვდები“ თქმა შეუძლიათ, რის შემდეგ მსხვერპლი — ისეთია ჯადოსნების ძალის რწმენა, მართლაც კვდება. ჯადოსნურ რიტუალებში ბოკორები ნაჭრის თოჯინებს იყენებენ: საკმარისია თოჯინას თმის კულული ანდა ფრჩხილი მიამაგრონ, რომ მის ენერგეტიკულ ველთან კავშირი დამყარდება, შემდეგ კი მის თვალებსა და მუცელში ნემსებს არჭობენ, რათა „ობიექტის“ მძიმე ავადმყოფობა გამოიწვიონ.



დასავლური ფილმები სისხლისმსმელი ზომბების შესახებ ბავშვური თამაშია იმასთან შედარებით, თუ რის ხილვა შეიძლება ჰაიტიზე. ჭეშმარიტი ვუდუ ჰოლივუდურზე გაცილებით საშინელია, ვინაიდან თვითმხილველები ამბობენ, რომ ასეთი რამ, უბრალოდ, არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ... ასეა თუ ისე, მაინც არსებობს.

მსოფლიო პრესის მიხედვით მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძემ**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №137

*ჩვენს წინაშეა ძველი, გაცრეცილი რვეული, გაყვითლებული ფურცლებით. ამ მოგონებათა ავტორი მის პუბლიკაციას ვერ მოესწრო.*

*ხელნაწერები ქალბატონ ბაბო დადიანის არქივში ინახებოდა, საქართველოს ისტორიის სხვა რელიკვიებთან ერთად. ქალბატონმა ბაბომ ავტორის – სოფიო ავალაშვილ-წერეთლის სხვა მოგონებების ნაწილი ჟურნალ „ცისკრის" 1973 წ. VI ნომერში თავისი წინასიტყვაობით გამოაქვეყნა, ხოლო ეს რვეული, სათაურით „გაფიცვა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელში 1912 წელს" საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია.*

*რა მოხდა 1912 წლის გაზაფხულზე ქუთაისში, ქალთა პანსიონში მცხოვრებ მე-7, მე-8 კლასის მოსწავლეთა თაოსნობით და მონაწილეობით, რომელთა შორის იყვნენ: სოფიო წერეთელი, ისია ნაზარიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, ნუცა ჯაყელი და სხვები...*

*(გთავაზობთ შემოკლებით. სტილი დაცულია)*

# ამბოხი წმინდა ნინოს სასწავლებელში

ჩვენი გაფიცვის მიზეზი გახლდათ სასწავლებლის უფროსის დამოკიდებულება საქართველოსთან და საერთოდ, ქართველებთან. იგი სიძულვილს გამოხატავდა უპირველესად, პანსიონერების მიმართ.

ჩვენს ამბოხს დიდხანს და უსიტყვოდ ვამზადებდით. საინტერესოა, რომ ანტიქართულობის წინააღმდეგ ჩვენს გაფიცვას არაქართველი ადამიანი, ჩვენი მეგობარი და კლასელი კლავდია მნატკევიჩი ედგა სათავეში, ელისაბედ ტატიშვილთან და მანია წერეთელთან ერთად, ხოლო დანარჩენები მათი დამხმარენი ვიყავით.

ეს არის ისტორიული ფაქტი – გაფიცვა წმინდა ნინოს სასწავლებელში და არავინ არ უნდა დაამახინჯოს ის სინამდვილე და მისი გამომწვევი მიზეზები.

ჩვენი სასწავლებლის უფროსის უხეშობას, უტაქტობას, გაუნათლებლობას, ერთა მოძულეობას ვერ ვეგუებოდით. მაშინაც რუსის თვითმპყრობელობას ჰყავდა ასეთები დაწესებულებების სათავეში, რომელთაც სხვა ერები სძულდათ. კერძოდ, ქართველი ერი და მედიდურად ზემოდან უყურებდნენ. ყოველთვის ეძებდნენ საბაბს დაჩაგვრისა და უწესო მიმართვისათვის.

იმაზე უარესი არაფერია, როცა ყოველდღიური კონტაქტის დამყარება გჭირდება ადამიანთან, რომელსაც სძულხარ და არამცთუ მარტო შენ, არამედ შენს გვერდით მყოფნიც: ამხანაგი, მეგობარი და რაც მთავარია, მთელი ერი.

ჩვენი სასწავლებლის უფროსი მუდამ გამოხატავდა მტრულ განწყობილებას ქართველი პიროვნებების მიმართ. ეს იყო მთელი ერის ავადმყოფური სიძულვილი, ზიზღი. მისი ეპითეტებიც: „ძაღლებო", „ღორებო", „ველურებო" და სხვა ამას მოწმობდა.

ამიტომაც ჩვენ, ახალგაზრდები სიხარულით და ბედნიერების იმედით ვდგამდით ნაბიჯებს, ეს შავრაზმელი მოგვეშორებოდა, რომელმაც იმ ზომამდე მიგვიყვანა, რომ მოვახდინეთ გაფიცვა მაშინ, როცა არსად არ ხდებოდა ამგვარი რამ.

სასწავლებელში თავმოყრილნი ვიყავით: ქართველები, რუსები, სომხები, თათრები, ებრაელები და სხვ. აზრადაც არასდროს მოგვსვლია ეროვნების მიხედვით გაგვემიჯნა ისინი.

შავრაზმელის მოქმედებამ ცხადყო, რომ ასეთი რამ ხდება ცხოვრებაში და არ გვინდოდა სასწავლებელშიც გავრცელებულიყო ეს იყო ჩვენი ბავშვური პროტესტი, მაგრამ დიდი რეზონანსი გამოიწვია.

მოსწავლეების ინიციატივით და ხელმძღვანელობით დავიწყეთ ბრძოლა ჩვენი „ნაჩალნიცას" – მარიამ ტიმჩენკო-იასენჩენკოს წინააღმდეგ.

იგი გახლდათ ხანშიშესული გაუთხოვარი ქალი უხეში, უცხვირპირო, გაუღიმებელი. ბავშვები არ უყვარდა. ვერ დაამყარა დამოკიდებულება ვერც ბავშვებთან, ვერც მასწავლებლებთან, ვერც მშობლებთან. არ უყვარდა ხალხი, განსაკუთრებით ქართველები. სასწავლებელში თავისი ჯაშუშები ჰყავდა, რომლებიც დაძვრებოდნენ და საკბილოს ეძებდნენ, მაგრამ ვერ პოულობდნენ, ვინაიდან ადვილი ამოსაცნობი იყვნენ და ჩვენც ვფრთხილობდით.

* * *

უფროსის მოადგილედ (სასწავლო დარგში) მუშაობდა ინსპექტორი კონსტანტინე ალექსის ძე ღოღობერიძე – უკვე ხანში შესული გადათეთრებული თმით და გრძელი, თეთრი წვერ-ულვაშით, რაც მის გარეგნობას სასიამოვნო შუქს ჰფენდა და პატივისცემით განგაწყობდა. ის იყო იმ ფონზე მართლაც, იშვიათი ადამიანი: სამართლიანი, თავაზიანი, ზრდილობიანი ყველას მიმართ, იქნებოდა ეს ბავშვი, მასწავლებელი, თანამშრომელი თუ მშობელი. ღოღობერიძე მათემატიკოსი იყო, თავისი საქმის კარგი სპეციალისტი და გადმოცემის არაჩვეულებრივი უნარი ჰქონდა. ამავე დროს გახლდაო თავისი მრავალშვილიანი ოჯახის კარგი, ერთგული მამა და მეუღლე.

მეორე მოადგილე (სამნეო დარგში) ფედოსი როსტომის ას კორძაია ერთი შეხედვით, მკაცრი და მიუდგომელი იყო, მაგრამ




ვინც მას ახლოს გაიცნობდა, პირველი შთაბეჭდილება უქრებოდა და ხედავდა, როგორც ბავშვების მოყვარულს, სამართლიანს, მომთხოვნს... მისი სიმკაცრე მოჩვენებითი იყო. გული კეთილი ჰქონდა.

მათი დახმარებით და გახსენებით მინდა ის ვთქვა, რომ ბავშვები ყველაფერს ვხედავდით და ვგრძნობდით.

სასწავლებლის პანსიონში, რა თქმა უნდა, ყველას არ იღებდნენ. წლიური გადასახადი 300 მანეთს უდრიდა, ხოლო სახელმწიფო ხარჯზე იზრდებოდნენ სამხედრო პირებისა და თავადაზნაურების შვილები. ამდენად, უზრუნველყოფილი ვიყავით ბინით, ტანისამოსით, სასწავლო წიგნებით, დღეში ოთხჯერ კვებით...

სასწავლებლის განრიგი: დილის 8 საათზე ლოგინიდან ადგომა, ლოგინების გასწორება, ხელ-პირის დაბანა, დილის ლოცვა, 9 საათზე ჩაი, მერე კარადებიდან ჩანთების აღება, დერეფნებში, კლასების მიხედვით, წყვილ-წყვილად, მწყობრად დადგომა... „დილის ლოცვის" შემდეგ დამრიგებლებს თავიანთი ბავშვები კლასებში, გაკვეთილებზე მიჰყავდათ...

ეს მასწავლებლები ჩვენთან კარგ განწყობილებაში იყვნენ, დედობრივ მზრუნველობას არ გვაკლებდნენ.

სასწავლებლის „შავრაზმელი" უფროსი ამას გრძნობდა და მათი მადლიერი მაინცდამაინც არ იყო, მაგრამ ისინი თავიანთ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებდნენ და ამიტომ ვერ ახერხებდა მათ თავიდან მოშორებას. სასწავლებლის უფროსის შექმნილი ატმოსფერო, მისი თავგასულობა ადამიანებში უკმაყოფილების განცდას იწვევდა...

ქართველების მიმართ რას არ კადრულობდა, რა და რა სიტყვებით გვლანძღავდა: მხეცები, ღორები, ბრიყვები, ველურები...

* * *

იყო ერთი შემთხვევა, რამაც ყველა ააღელვა და აღაშფოთა. იმ დროს ქუთაისის თეატრის სცენაზე გამოდიოდნენ ისეთი გამოჩენილი მსახიობები, როგორებიც იყვნენ ლადო მესხიშვილი, ნუცა ჩხეიძე, ანეტა ქიქოძე, ცოლ-ქმარი შალიკაშვილები, იმედაშვილი, ზარდალიშვლი, ქორელი და სხვები. ნუცა ჩხეიძე მთელი ქუთაისის სათაყვანო ადამიანი იყო. დიდს და პატარას ენაზე ნუცას სახელი ეკერა. ნუცა ხომ ქორელის მეუღლე იყო და ამავე დროს, ყველა ქართველისთვის მისაბაძი პიროვნება. მასზე ამბობდნენ, რომ ის დაბადებულია სცენისთვის, დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი ნიჭით, მისი ნარნარი და მკაფიო ხმა მსმენელს ატკბობს, ნუცა კი არ თამაშობს, სცენაზე ცოცხლობს.

მოსწავლე ვიყავი, როდესაც ნუცას ნათესავმა წამიყვანა მასთან და მეგონა, რომ ტაძარში შევდიოდი. სამწუხაროდ, შინ არ დამხვდა, მაგრამ მისი ოთახები (უბრალო და სუფთა) დავათვალიერე და გამიკვირდა ნუცა ჩხეიძის ბინის ღარიბული მოწყობილობა. სწორედ ნუცა ჩხეიძის ბენეფისი უნდა ყოფილიყო რამდენიმე დღის შემდეგ და ჩვენც ვითხოვეთ, უფროსს ნება დაერთო, რომ ერთად დავსწრებოდით ამ წარმოდგენას.

მან ასეთი პასუხი გაგვცა: რად გინდათ ვიღაც ჩხეიძის ქალის მანჭვა-გრეხვის ყურება. ის არ სჯობს – მალე რუსული ტრუპა ჩამოვა და რამდენჯერაც მოისურვებთ, იმდენჯერ წაგიყვანთო". ასე რომ, არ გაგვიშვა.

* * *

სასწავლებელში მეცადინეობა რუსულად სწარმოებდა, ხოლო ქართული ენის და ლიტერატურის გაკვეთილები მიმდინარეობდა ისე, როგორც ფრანგულის და გერმანულის. იმ მოსწავლეებს, რომლებიც თავიანთ სახლებში და არა ამ სასწავლებელში ცხოვრობდნენ, საშუალება ჰქონდათ მშობლიურ ენაზე ელაპარაკათ.

ჩვენი მდგომარეობა კი ძნელი იყო. დღედაღამ მხოლოდ რუსული გვესმოდა. თუ ერთმანეთში ქართულად დავილაპარაკებდით და მორიგე მასწავლებელი მოჰკრავდა ყურს, გვეხვეწებოდა: ნუ ლაპარაკობთ, ხომ იცით, აკრძალულია, „ის" გაიგებს და როგორც თქვენ, ისე მეც მოგვხვდება, შავ დღეს დაგვაყრისო...

* * *

ჩვენს ბიბლიოთეკაში რომ ქართული წიგნები არ იყო ეს ყოველთვის ცნობილი გახლდათ და ამიტომაც ჩემმა დედობილმა, რომელმაც დაობლების მერე, იკისრა ჩემივე აღზრდა, მიმართა თავის რძალს ნინო ნაკაშიძეს ეგზავნა ჩემთვის ჟურნალ „ნაკადულის" ყოველი ნომერი. ჩემი დედობილი ელისებად გიორგი წულუკიძის ასული წერეთელი იყო ილიკო ნაკაშიძის ბიძაშვილი. (ცნობილი საზოგადო მოღვაწის ილიკო ნაკაშიძის მეუღლე – ნინო ნაკაშიძე გახლდათ). მაშინ მართალია, მეექვსე კლასში ვიყავი, მაგრამ ჟურნალმა „ნაკადული" ბევრი სარგებლობა მომიტანა. მოვასწარი რამდენიმე ეგზემპლარის მიღება. ჩვენს უფროსს გაუგია, რომ მე ქართულ ჟურნალებს ვღებულობ და გაბრაზებულმა გამომიძახა თავის ოთახში... მისაყვედურა:

„Ты что грузинскими журналами увлеклась? Может быть не нравятся Пушкин, Лермонтов, Толстои, Гоголь, Тургенев?.. Как оценить твой поступок?"

მე ვუპასუხე, რომ ძალიან მიყვარს რუსი მწერლები, რომელთა ნაწარმოებებს ჩვენ არსებული პროგრამით გვასწავლიან. სიამოვნებით და გატაცებით ვკითხულობ მათ, მაგრამ სურვილი მაქვს, ვიცოდე მშობლიური ენაც...

არაფერმა გასჭრა. შეწყდა ჩემი შეხვედრა „ნაკადულთან"... ეს ფაქტი კიდევ ერთი მაგალითი იყო, რამაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა ჩვენი განხეთქილება სასწავლებლის უფროსთან.

ამხანაგები ერთმანეთს გულისწყრომას ვუზიარებდით... მაგრამ გამოსავალს ვერ ვპოულობდით...

...გადავწყვიტეთ სასწავლებლის უფროსის წინააღმდეგ გამოვიყენოთ პროტესტის ის ფორმა, როგორიც გამოთქვეს მოსწავლეებმა 1905 წლის რევოლუციის დროს.

ჩვენი თაობა იმ პერიოდში ახლადდაუფლებული იყო წერა-კითხვას. პატარები ვიყავით, მაგრამ კარგად გვახსოვდა ახალგაზრდობის გამოსვლები... და ჩვენ მათ მივბაძეთ.

ჩვენს სახელდახელოდ შედგენილ რევოლუციურ ჯგუფში შედიოდნენ: მანია წერეთელი, კლავდია მნატკევიჩი, აგრაფინა ქავთარაძე, ტატიშვილი, პოლინა მიქელაძე, ამ სტრიქონების დამწერი, ისია ნაზარიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, ლენა და ზინა გიორგობიანები, ბაბუცა კოკოჩაშვილი, ნუცა ჯაყელი, ლიდა ჟორჟოლიანი, ზინა კვიტაშვილი...

გეგმა ერთად შევიმუშავეთ.

***(გაგრძელება „კვირაძალს საკითხავის" შემდეგ ნომერში).***



ნინო გველესიანი

# შეცვალე ფიქრები და შეიცვლება ცხოვრება

ათი წელია საქართველოში არ ყოფილა... ძველი თბილისის უბანში, რეტროგაწყობილებებით, კაფეში ვსხედვართ და **ნინო გველესიანი** – ამერიკის მოქალაქე აგვისტოს დღეებზე მესაუბრება: როგორ გამოხატავდნენ პროტესტს რუსული აგრესიის წინააღმდეგ ქართველები ლოს-ანჟელესში... ქალაქის ცენტრში შეკრებილ ორმოცდაათიოდე ადამიანს, როგორ დაუდგა გვერდში რამდენიმე ამერიკელი, დროშებით, ფირნიშებით: „გადავარჩინოთ საქართველო!"... როგორ შეუერთდნენ მათ ჩვენი ქვეყნიდან წასული ებრაელები, გულშიჩამწვდომი სიტყვებით: „ჩვენც ხომ ქართველები ვართ!"... და იდგნენ ებრაელები ქართული დროშებით და ებრაული ვარსკვლავებით, ტიროდნენ და ამბობდნენ: „არასოდეს დაგვავიწყდება ჩვენი მეორე სამშობლო საქართველო!"...

როგორ გამორბოდა და დიდი დროშის ტარს ძლივს მიათრევდა, 6 წლის მიქაელი (ნინოს შვილიშვილი, დაბადებული ამერიკაში).

ეკითხებოდნენ: – „სად მიდიხარ, მიქაილ?"



ლოს-ანჟელესი, ქართველი ბავშვები საპროტესტო აქციაზე

პასუხობდა: „ჯორჯიაში მივდივარ!"...

ეს პატარა ქართველი, რომელსაც თავისი გენეტიკური სამშობლო ჯერ არ უნახავს, პიკეტის წინ გავლილ მანქანებს აჩერებდა და წერილობით ინფორმაციას აწვდიდა.

პატარა პატრიოტის თხოვნაზე მანქანიდან კეთილად იღიმებოდნენ ამერიკელები და როცა ვინმე ჰკითხავდა: – რა ხდებაო? ბიჭუნა პასუხობდა: „სერ, რუსები ქართველებს კლავენ!"...

* * *

ბასაბეზ მიზეზთა გამო ნინო გველესიანი საქართველოში სამუდამოდ დაბრუნებაზე ფიქრობს, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკამ შანსი მისცა ახალი ცხოვრება დაეწყო, ახალ პროფესიას დაუფლებოდა და საკუთარი ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობისთვის აღიარება მიეღო...

იმ გაუსაძლისი სულიერი ტრავმის შემდეგ, როცა ნინო გველესიანი საქართველოდან გაემგზავრა (ტრაგიკულად დაეღუპნენ უსაყვარელესი და – შორენა შამათავა და პატარა დისშვილები). სულიერი რეაბილიტაცია დიდხანს ვერ შესძლო, მაგრამ ღვთის რწმენით და შინაგანი ძალების მობილიზაციით მრავალთათვის მიუღწეველ შედეგებს მიაღწია.

მიიღო სამედიცნო განათლება. დაამთავრა ჰიპნოთერაპიის ინსტიტუტი და 2006 წლიდან აქვს წარმატებული პრაქტიკა, როგორც კლინიკურ ჰიპნოთერაპევტს.

ვთხოვე, საკუთარ სამუშაოზე უფრო დაწვრილებით მოეთხრო...

***– ძირითადად ვმუშაობ მილტონ ერიქსონის მეთოდების გამოყენებით. ჰიპნოთერაპიის ინსტიტუტში შევისწავლე NLP ნირო-ლინგვისტური პროგრამა, რომელიც ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს კლინიკურ ჰიპნოთერაპიაში. შემდეგ გავაგრძელე სწავლა ცნობილ მეცნიერ რიჩარდ ბენდელერთან, რომელიც გახლავთ ნირო ლიგვისტური პროგრამების (NLP) ერთ-ერთი დამფუძნებელი.***

– ნინო, რას ნიშნავს ჰიპნოთერაპია?

***– ეს არის მიმართულება, რომელიც ფართოდ გამოიყენება ამერიკაში და დიდი შედეგები იქნა მიღწეული ნარკოტიკების და ალკოჰოლიზმის, აგრეთვე თამბაქოს წევის მავნე ჩვევების აღმოფხვრის წინააღმდეგ. ჰიპნოთერაპიას იყენებენ მედიცინაშიც. მაგალითად, სტომატოლოგიაში, გინეკოლოგიაში... თუნდაც მაშინ, როდესაც პიროვნება ალერგიულია და შეუძლებელია მედიკამენტოზური გამაყუჩებლის გამოყენება.***

***არაჩვეულებრივი შედეგებია მიღწეული სხვადასხვა ფობიების აღმოსაფხვრელად. მაგალითად, როგორიცაა სიმაღლის შიში, კლასტროფობია, ღელვა და ნერვიულობა სცენაზე გამოსვლის წინ, გამოცდების ან რაიმე სხვა საპასუხისმგებლო მომენტების დროს, როცა დიდი თუ მცირე აუდიტორიის წინაშე უხდებათ დგომა.***

***ტექნიკის გარეშე თუ საჭიროების შემთხვევაში, კლინიკური ჰიპნოთერაპიის მრავალფეროვანი ტექნიკის გამოყენებით ჰიპნოთერაპევტს შეუძლია დაეხმაროს ადამიანს, რათა მან სრულყოფილად გამოიყენოს თავისი გონების ძალა, ცნობიერი თუ ქვეცნობიერი ბუნება, აღმოაჩინოს ქვეცნობიერში ღრმად მიმალული ზღვრები... შესაბამისად მზად იყოს ძირეული ცვლილებებისთვის და ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებში წარმატებას მიაღწიოს.***

– არაჩვეულებრივი პერსპექტივაა, თუკი მართლაც შეუძლია ადამიანს ამ გზით დაძლიოს საკუთარი ცხოვრების სირთულეები.

***– ზოგიერთ ადამიანს აქვს ღრმად ფესვგამჯდარი ჩვევა-მიეძალოს დეპრესიულ და დამთრგუნველ ფიქრებს, რისაც ხშირად სავალალო შედეგამდე მივყავართ. როგორც ჩანს, ადამიანები ამ შემთხვევაში არ აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მათ ფიქრებსა თუ აზრებს ახლავს უზარმაზარი ფარული ენერგია. ადამიანები თავად ქმნიან საკუთარ სამყაროს, სხვადასხვა ენერგიებით შემოსაზღვრულს... დაკვირვებებმა უჩვენეს, რომ პიროვნებს ფიქრების, გნებავთ, აზრების შეცვლით, შეუძლია შეცვალოს საკუთარი გარემო, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლია შეცვალოს თავისი ცხოვრება.***

***არსებობს ასეთი გამოთქმა: „შეცვალე ფიქრები – შეცვალე ცხოვრება".***

– მშვენიერი სლოგანია. ალბათ ასედაც შეიძლება წავიკითხოთ: „შეცვალე შენი ფიქრები და შეიცვლება შენი ცხოვრება!"...

* * *

მათ, ვისაც ცხოვრებაში, საუკეთესო თვალსაზრისით, ცვლილებები სჭირდებათ, ქალბატონ ნინო გველესიანის დამაიმედებელ გეგმებს თავაზობს:

***– პირველ ეტაპზე, განსაზღვრული გვაქვს გავხსნათ საქართველოში კლინიკური ჰიპნოთერაპიის ცენტრი, სადაც მოვაწყობთ კონფერენციებს, სასწავლო სემინარებს, მოვიწვევთ ჰიპნოთერაპიის წამყვან სპეციალისტებს, რა თქმა უნდა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. უკანასკნელ მიღწევებს გავუზიარებთ ქართველ კოლეგებს, განვიხილავთ დღევანდელ ჰიპნოთერაპიაში არსებულ საინტერესო თემებს.***

***ჩემმა ამერიკელმა კოლეგებმა, რომელთაც კლინიკური ჰიპნოთერაპიის სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, დიდი ენთუზიაზმით გამოთქვეს ჩვენი დახმარების სურვილი. ისინი მზად არიან ჩამოვიდნენ საქართველოში და დაწყებით ეტაპზე დაგვეხმარონ კადრების მომზადებაში.***

***აგრეთვე დიდი სურვილი მაქვს საქართველოში გავხსნა რეაბილიტაციის ცენტრი – ნარკომანიით და ალკოჰოლიზმის სენით დაავადებულთათვის.***

***არსებობს ამგვარი ცენტრისთვის შექმნილი რამდენიმე პროგრამა, რის მიხედვითაც წარვმართავ მუშაობას. ამ ტიპის მომსახურება ძირითადად მათთვის იქნება გამიზნული, ვისაც მცირე შემოსავალი აქვს, ანუ გვსურს უსასყიდლოდ მოვემსახუროთ ადამიანებს.***

– იმისათვის, რომ თქვენს კლინიკაში იმუშაოს, რა განათლების მიღება დასჭირდება ადამიანს.

***– სულ ცოტა მას უნდა ჰქონდეს დიპლომი კლინიკურ ჰიპნოთერაპიაში, სპეციალიზაციით ჰიპნოთერაპევტი.***

– ე. ი. აითვისოს თქვენი სპეციალობა.

***– გარდა ამისა, მე ნირო-ლინგვისტური პროგრამების სპეციალისტიც გახლავართ.***

* * *

თუ რას ნიშნავს, ნირო-ლინგვისტური პროგრამები" ამ თემის განხილვა-გავრცობა პირადად ჩვენს შესაძლებლობებს სცილდება და ამიტომ უკეთესი მომავლისთვის გადავდეთ, რადგან გადავწყვიტეთ, რომ ტერმინოლოგიის შესწავლა კი არა, ალბათ, უფრო ამ ტიპის სპეციალისტების დახმარება გვჭირდება ქართველ ჟურნალისტებს და არა მარტო ჟურნალისტებს...

– ნინო, სად გინდათ გახსნათ თბილისში ჰიპნოთერაპიის ცენტრი?

***– საკუთარ თბილისურ სახლში, რომელიც ჩემს აქ არყოფნის დროს სამწუხაროდ, მიუთვისებია რომელიღაც ოჯახს. სწორედ ამის გამო ჩამოვედი... იმედია, სამართლიანად გადაწყდება ყველაფერი და მე, ამერიკაში ჩასული, დადებითი ენერგიით შევუდგები საქართველოში ახალი ცხოვრებისთვის მზადებას.***

ვნახოთ, რას იტყვის მშობლიური მართლმსაჯულება. მისცემს თუ არა ნინო გველესიანს, ამჯერად საკუთარი გენეტიკური სამშობლო, შანსს ახალი ცხოვრების დასაწყებად.

ცნობილი ლოგიკით – „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი" უკეთესი დროების იმედად ვრჩებით...

**იაკობ ნიკოლაძის შვილიშვილი გურამ ნიკოლაძე საკუთარი ბებიის ფოტოსთანაა გადაღებული.**

**ბატონი გურამი ვარაუდობს, რომ იაკობ ნიკოლაძე, როდესაც ილიას საფლავის ძეგლს „მწუხარე საქართველო" ქმნიდა, ნატურად დედის სახე გამოიყენა.**

**– ამ ძეგლს ხომ ნიკოლაძე პარიზში, როდენის სახელოსნოში ქმნიდა – ვეკითხებით ბატონ გურამს დედა კი ქუთაისში ცხოვრობდა... ნატურად როგორ ეყოლებოდა?..**

**– ვინც გენატრება, იმას ხატავ – პასუხობს დიდი მოქანდაკის შვილიშვილი.**

**ეს მასალა – ტელეგადაცემა ილიას საფლავის ძეგლის ისტორიაზე მალე გადაიცემა საპატრიარქოს ტელევიზიის ეთერით.**



**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**



## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საინფორმაციო თავმოყვარეობის შელახვა

**2008 წელს რუსეთის ჯარები შეიჭრნენ საქართველოში. მეთვალყურეები დავობენ იმის შესახებ, თუ ვინ გახსნა პირველად ცეცხლი, მაგრამ არ უთმობდნენ სათანადო ყურადღებას კონფლიქტის ერთ ასპექტს, რომელსაც მომავალში ექნება მნიშვნელოვანი შედეგები.**

კომპიუტერული ჰაკერები უტევდნენ საქართველოს მთავრობის ვებ-გვერდებს სამხედრო კონფლიქტის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე. რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი გახდა პირველი მნიშვნელოვანი კიბერშეტევა, რომელიც თან ახლდა შეიარაღებულ კონფლიქტს. კეთილი იყოს თქვენი შემოზრძანება XXI-ე საუკუნეში.

კიბერდაშინება და კიბერომების წარმოების პოტენციური საშუალებები ასახავენ გაზრდილ მოწყვლადობას (თავმოყვარეობის შელახვასძ და კონტროლის დაკარგვას თანამედროვე საზოგადოებებში. მთავრობანი უმთავრესად შეშფოთებული იყვნენ ჰაკერების შეტევებით თავიანთ ბიუროკრატიულ საინფორმაციო ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაზე, მაგრამ სამთავრობო კომპიუტერების უკან იმალება საზოგადოების მოწყვლადობაც.

2007 წლის სექტემბერში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი ღია წერილში ამერიკელი სპეციალისტები კიბერსივრცის დაცვის დარგში აფრთხილებდნენ მას იმის შესახებ, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების კრიტიკული ინფრასტრუქტურა, მათ შორის ელექტრომომარაგება, ფინანსები, ტელეკომუნიკაციები, ჯანმრთელობის დაცვა, გადაზიდვები, წყალმომარაგება და ინტერნეტი მეტად მგრძნობიარენი არიან კიბერშეტევების წინაშე. საჭიროა მივიღოთ გადამჭრელი ზომები ამ საშიშროების შესამცირებლად, რათა თავიდან ავიცილოთ ეროვნული კატასტროფები“. ინტერნეტის ბნელ სამყაროში ძნელია გაარჩიო თავდამსხმელი.

დღევანდელ ერთმანეთისადმი დამოკიდებულ სამყაროში შეუცნობადმა კიბერნეტიკამ სამთავრობო ინფრასტრუქტურაზე შეიძლება გამოიწვიოს უზარმაზარი ზარალი. მაგალითად, ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ელექტროგადამცემი ხაზები განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან ასეთი საფრთხის წინაშე, მიაჩნიათ, რომ კონტროლის სისტემები, რომლებსაც იყენებენ ელექტრონული კომპანიები, განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან იმასთან დაკავშირებით, რომ შეიძლება ელექტროენერგიის გარეშე დატოვონ მთელი ქალაქები და რეგიონები დღეებისა და კვირების განმავლობაში. კიბერშეტევებს შეუძლიათ აგრეთვე ზიანი მიაყენონ საფინანსო ბაზრების მუშაობას და გამოიწვიონ უზარმაზარი ეკონომიკური დანაკარგები კომერციული ვებ-გვერდების დახურვის შედეგად.

ზოგიერთი სცენარი, მათ შორის „ელექტრონული პერლ-ხარბორი“, გაისმის გამაფრთხილებლად, მაგრამ ისინი ასახავენ ხელისუფლების გადასვლას ცენტრალური მთავრობიდან ცალკეულ პიროვნებებზე. 1941 წელს იაპონიის ძლიერმა სამხედრო-საზღვაო ძალებმა გამოიყენეს ბევრი რესურსი, რათა ზარალი მიეყენებინათ მოწინააღმდეგისთვის ათასობით მილის დაშორებით. დღეს ცალკეულ ჰაკერს, რომელიც იყენებს საზიანო პროგრამებს, შეუძლია შექმნას ქაოსი ცალკეულ ადგილებში თავისთვის ძალიან მცირე დანახარჯებით.

ამას გარდა საინფორმაციო რევოლუციამ შექმნა ცალკეული ადამიანებისთვის შესაძლებლობა, გამოიყენონ დამაზიანებელი უპრეცედენტო მასშტაბები და სიჩქარე. ეგრეთ წოდებულმა ვირუსმა „ლავ ბაგ ვირუს“, რომელიც გაუშვეს ფილიპინებზე 2000 წელს, სავარაუდოდ გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების მილიარდობით დოლარის ზარალი. აგრეთვე ტერორისტებსაც შეუძლიათ გამოიყენონ ახალი მგრძნობიარე კიბერსივრცე პარტიზანული ომისთვის.

1998 წელს, როდესაც ამერიკამ დაიჩივლა იმაზე, რომ პენტაგონის და ნასას საიდუმლოებათა მოპარვაში ამოქმედებული იყო 7 მოსკოვური ინტერნეტ-მისამართი. ამაზე რუსეთის მთავრობამ უპასუხა, რომ სატელეფონო ნომრები, რომლის მეშვეობითაც მოხდა შეტევა, იყო ფიქტიური. ამერიკის შეერთებულ შტატებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა გაეგოთ, მიიღო თუ არა ამაში მონაწილეობა რუსეთის მთავრობამ.

2007 წელს ჩინეთის მთავრობას ბრალი დასდეს გერმანიის ფედერალური მთავრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების კერძო კომპიუტერული სისტემებისადმი განხორციელებული შეტევების სპონსორობაში, თუმცა ძნელი იყო შეტევის წყაროს დადასტურება და პენტაგონს მოუწია დაეხურა თავისი ზოგიერთი კომპიუტერული სისტემა.

2008 წლის იანვარში პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ხელი მოაწერა ორ საპრეზიდენტო დეკრეტს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ კიბერსივრცის დაცვის ყოვლისმომცველი გეგმის დამუშავებას. ამ მიზნისთვის 2009 წლის ბიუჯეტი მოითხოვდა 6 მილიარდი დოლარის დაბანდებას, რათა შეემუშავებინათ ეროვნული კიბერსივრცის დაცვის სისტემა. ალბათ, ახალი პრეზიდენტი ბარაკ ობამა გააგრძელებს ამ სამუშაოს. თავისი საარჩევნო კამპანიის დროს ობამა მოუწოდებდა შექმნილიყო კიბერსაშიშროების მკაცრი სტანდარტები და კრიტკული ინფრასტრუქტურის ფიზიკური მოქნილობა. აგრეთვე იგი ჰპირდებოდა ამომრჩევლებს, რომ დანიშნავდა ეროვნულ კიბერმრჩეველს, რომელიც პირდაპირ აგებდა პასუხს მის წინაშე ამ სისტემის მუშაობაზე. აგრეთვე პასუხისმგებელი იქნებოდა პოლიტიკის განსაზღვრაზე და ფედერალური სააგენტოების ძალისხმევის კოორდინაციაზე.

ეს არ იქნება იოლი ამოცანა, ვინაიდან შესაბამისი ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი არ იმყოფება მთავრობის პირდაპირი კონტროლის ქვეშ. ახლახან ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დაზვერვის ხელმძღვანელის მოადგილე დონალდ კერი აღნიშნავდა, რომ „ჯაშუშები პასუხს არ აგებენ ჩვენი სამთავრობო პროგრამების ინფორმაციისა და საიდუმლოებების გადინებაზე... სინამდვილეში მე უფრო მეტად მაფიქრებს ის ფაქტი, რომ ასე მრავალმხრივი შესაძლებლობანი, რაზეც ჩვენ კიდევ ვიქნებით დამოკიდებული, უკვე აღარ მუშავდება მთავრობის ლაბორატორიებში“.

თუ საერთაშორისო კანონების კრებული, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს კიბერშეტევებს, გამაფრთხილებელ ზომებთან ერთად შეძლებენ დაგვეხმარონ ამ სიტუაციაში, იარაღის გავრცელების შეჩერების მსგავსი ვარიანტები ძნელად თუ აღმოჩნდება ეფექტიანი. პრობლემებს ვერ გადაწყვეტს ისეთი დაცვითი ღონისძიებებიც, როგორიცაა ელექტრონული ბრანდმაუერებისა და მგრძნობიარე სისტემების დუბლირების არხები.

ამ პრობლემის დიდი გაურკვევლობის გათვალისწინებით, კიბერუსაფრთხოების ახალი პერსპექტივები უნდა იქნეს გათვალისწინებული განსახილველი საკითხების სიაში მთავრობის ყოველ სხდომაზე.

**ჯოზეფ ს.ნაი**

PROJECT SYNDICATE



# საქართველოში მონიტორინგის შესახებ

**ჰუმანიტარული პოლიტიკის მომავალი, უეჭველია, იქნება რეგიონული, ამიტომ ევროკავშირის სამეთვალყურეო მისია საქართველოში ერთგვარი პროტოტიპის როლს ასრულებს.**

ევროკავშირი თანდათან კისრულობს პასუხისმგებლობას პოსტკონფლიქტურ ადმინისტრაციაზე და რეკონსტრუქციაზე ბალკანეთში, ათავისუფლებს გაეროსა და ნატოს ძალებს უფრო გადაუდებელი ამოცანების შესასრულებლად სხვა რეგიონებში.

ისეთი რეგიონული გაერთიანებანი, როგორიცაა ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია, აფრიკის კავშირი და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მშვიდობიანი შეთანხმებების მონიტორინგსა და ჰუმანიტარული ინტერვენციის კოორდინაციაში მთელ მსოფლიოში, და ეს ტენდენცია, ალბათ, შენარჩუნებული იქნება. მართალია, პოლიტიკური ლოგიკა ცხადია, მაგრამ მოვლენათა ასეთი შემობრუნება ნიშნავს, რომ თითოეულმა მისიამ უნდა გაიმეოროს წინა ინტერვენციების გაკვეთილები, როდესაც არ გააჩნიათ შესაძლებლობა გამოიყენონ ერთიანი ინსტიტუციონალური მეხსიერების სიკეთე.

ევროკავშირის მეთვალყურეები განათავსეს საქართველოში ოქტომბრის დასაწყისში და ისინი წარმოადგენენ 22 ევროპულ ქვეყანას. მათი უმრავლესობა მივლინებულია იქ ეროვნული მთავრობების მიერ, ბევრი მათგანი პოლიციის ან არმიის ყოფილი ან მოქმედი ოფიცერი და სამოქალაქო მოსამსახურეა. მისია სამოქალაქოა, მაგრამ მეთვალყურეთა მუშაობის ხასიათი ისეთია, რომ უმეტესობას აქვს კონფლიქტების ზონაში მოქმედებათა გამოცდილება.

ბრიტანული კონტინგენტი ძირითადად შედგება ყოფილი და მოქმედი სამხედრო მოსამსახურეებისა და პოლიციის ოფიცრებისგან – თანაც ეს უკანასკნელი შერჩეული არიან იმ ქვედანაყოფებიდან, რომლებსაც აქვთ საბრძოლო იარაღის გამოყენების პრაქტიკა და ითვლებიან პროფესიონალებად. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ქვეყნებს – განსაკუთრებით სკანდინავიის ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ გაეროს მისიების პირადი შემადგენლობების დაკომპლექტების ტრადიციები – შეუძლიათ წარმოადგინონ უფრო მრავალმხრივი პერსონალი, მათ შორის ქალთა პერსონალიც, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ აგვისტოს კონფლიქტის დროს ბევრი განცხადება შემოვიდა გაუპატიურების შესახებ.

მეთვალყურეთა ამოცანებში შედის სტაბილიზაცია, ნორმალიზაცია და ნდობის განმტკიცების ღონისძიებანი. მათ არ გააჩნიათ აღმასრულებელი უფლებამოსილება, მაგრამ განთავსებული არიან იქ სამშვიდობო შეთანხმების პირობათა შესრულების უზრუნველსაყოფად, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს და სეპარატისტული ძალების მიერ, მათ შორის იმ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად, რომლებიც დაკავშირებულია ჯარების გამოყვანასთან და ადამიანთა თავისუფალ გადაადგილებასთან.

ამას გარდა, ისინი თვალყურს ადევნებენ საერთო სიტუაციას უსაფრთხოების სფეროში, აღნიშნავენ ადამიანთა უფლებებისა და შეიარაღებული კონფლიქტის კანონების პოტენციურ დარღვევებს.

მისიის ოფიციალური წარმომადგენლის სტივ ბერდის სიტყვებით, „მეთვალყურეთა ამოცანაა – ხელი შეუწყონ დაძაბულობის შემცირებას კონტაქტების მოწესრიგებით მხარეთა შორის. მართალია, ჩვენ კიდევ ვიმყოფებით დასაწყისში, როგორც ეტყობა, ატმოსფერო უმჯობესდება და ნაკლები ინციდენტები ხდება, რისიც ჩვენ ადრე გვეშინოდა“. მაგრამ, როგორც ერთ-ერთმა მეთვალყურემ მასიმო მორატიმ მითხრა: „მისიას არ აქვს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შესვლის საშუალება და ეს ართულებს მისიის მანდატის სრულფასოვან განხორციელებას. მათი უმეტესობა, ვინც გამოიქცა კონფლიქტის ზონიდან, იმყოფება საქართველოში და სახლები, რომლებშიც ისინი ცხოვრობდნენ კონფლიქტამდე, აღმოჩნდნენ მისიის მოქმედების ზონის გარეთ. ამასთან დაკავშირებით მეტად რთულია თვალყური გავადევნოთ მათ დაბრუნებაზე“.

მეთვალყურეებს აგრეთვე ევალებათ „ხელი შეუწყონ ევროპული პოლიტიკის ჩამოყალიბებას საქართველოსთვის მყარი პოლიტიკური გადაწყვეტილების მხარდასაჭერად“. არსებითად ეს ნიშნავს, რომ ისინი ვალდებული არიან არა მხოლოდ დააფიქსირონ რაც ხდება, არამედ გააკეთონ სიტუაციის ობიექტური ანალიზი, რაც კვლავინდებურად გართულებულია პროპაგანდისა და ურთიერთპრეტენზიების გამო.

საქართველოს იმედები ნატოში შესვლასთან დაკავშირებით ჩაიშალა, როდესაც ნატოს სამიტმა 2 დეკემბერს უარყო წინადადება ქვეყნისთვის მაპის მინიჭების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მას მხარს უჭერდა აქტიურად ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია. ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრები დაჰპირდნენ, რომ მოახდენდნენ საქართველოსთან და უკრაინასთან „კავშირურთიერთობის ინტენსიფიკაციას“, მაგრამ ეს მხოლოდ ფრაზის გამეორებაა, რომელიც გამოყენებული იქნა წინა სამიტზე, კონფლიქტის დამთავრებიდან მალე რომ გაიმართა. სამიტის განცხადებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ნატოს წევრობის კრიტერიუმების შესაბამისობისთვის ორივე ქვეყანამ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი პოლიტიკური რეფორმის თვალსაზრისით.

ევროკავშირმა ორი დღის შემდეგ პირობა დადო, რომ გაზრდიდა ხანგრძლივ დახმარებას კავკასიისთვის და წარმოადგენდა ექვსი ქვეყნისთვის – სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინისთვის „პარტნიორულ პაკეტს“. ამან შეიძლება მიგვიყვანოს ხელშეკრულების დადებამდე ასოცირებული წევრობის შესახებ და უფრო მჭიდრო ეკონომიკურ ინტეგრაციამდე, თუმცა არ არის სავალდებულო სრულუფლებიანი წევრობა.

ევროკავშირის მისიის მეთვალყურეები საქართველოში – ესაა მისი „მსუბუქი გავლენის“ პოლიტიკის დიდი გამოცდა, ამიტომ მეთვალყურეებმა განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ ამ საქმეში. ევროსაბჭო აწარმოებს ტრენინგების სერიას მათი გაცნობისთვის ევროპის ადამიანთა უფლებების კონვენციისთვის, რომელსაც ხელი მოაწერეს რუსეთმაც და საქართველომაც.

**კონორ ფოული**

Guardian

◉ გაქარწყლებული მითები

არმენ მარტიროსიანი

# ლომი იმისაა, რომ მკვდარიც ლომია...



## მითი: „მე არ ვცვლი ჯარისკაცს ფელდმარშალზე“

ლაპარაკია იმაზე, რომ სტალინმა როცა ჰიტლერის შემონათვალი შეიტყო – თქვენი შვილი იაკობი ფელდმარშალ პაულიუსზე გავცვალოთო, თითქოს წარმოსთქვა ეს ფრთიანად ქცეული ფრაზა, მასზე დაწერილ თითქმის ყველა წიგნში შესული. ახლავე უნდა აღინიშნოს, რომ მთელს ანტისტალინიანაში ეს არის ერთ-ერთი ყველაზე წესიერი მითი. ეგეც კია, რომ ამ შემთხვევაშიც ცდილობენ გულქვა კაცად, ვითომ ყოველგვარ მამობრივ გრძნობას მოკლებულ დესპოტად ბელადის წარმოდგენას. მაღალი ღმერთი იყოს იმათი მსაჯული, ვინც ასე მსჯელობს, თანაც კიდევ ამაში სხვათა დარწმუნებას ლამობს.

**უწინარესად იმიტომ, რომ უახლესი მონაცემების თანახმად, სტალინის უფროსი ვაჟი იაკობ იოსების ძე ჯუღაშვილი გერმანულ ტყვეობაში არ ყოფილა. ჰიტლერსაც არასდროს სტალინისთვის არ შეუთავაზებია იაკობის გაცვლა პაულიუსზე.**

ამ მონაცემების არსი კი ასეთია:

**ჯერ ერთი,** გერმანულ ტყვეობაში იაკობ ჯუღაშვილი-სტალინის ყველა ეგრეთ წოდებულ დაკითხვის ოქმს არა აქვს დასაკითხის ხელმოწერა, რაც ვერ ჯდება განსაკუთრებით გამორჩეული სამხედრო ტყვეების დაკითხვის გერმანული წესების ჩარჩოებში. უკვე ესეც გაფიქრებინებს, რომ ის ტყვედ არ ჩავარდნილა.

**მეორეც,** ერთსა და იმავე საკითხზე ერთდღიანი სხვაობით მოწყობილ დაკითხვების ოქმებს შორის განსხვავება სრულიად პრინციპულია. ლაპარაკია 1941 წლის 18 და 19 ივლისის ოქმებზე. პირველ შემთხვევაში დასაკითხი ეუბნება გერმანელებს დატყვევების გარემოებათა შესახებ: „...ჩვენი მებრძოლები უკანასკნელ შესაძლებლობამდე იცავდნენ თავს... ყველამ ერთად მომმართა: „მეთაურო! გაგვიძეხი შეტევაში!“ შევუტიეთ და დაიწყო ძლიერი დაბომბვა, მერე გრიგალისებური ცეცხლი გაგვიხსნეს... მარტო აღმოვჩნდი... აქ თქვენები ყველა მხრიდან შემომერტყნენ... თავს მოვიკლავდი, დროზე რომ დამენახა ჩვენებისგან სრული იზოლირება“.

მეორე დღეს კი იგივე დასაკითხი აცხადებს, რომ „ჯარისკაცთა შორის პანიკური განწყობილებები იქმნება და ისინი გარბიან“. ქვემოთ ჰყვება, რომ მებრძოლები ყრიან იარაღს, სამოქალაქო მოსახლეობას არ სურს სამხედროფორმიანი წითელარმიელების შეფარება. სწორედ ამის გამო გახდა თითქოს იძულებული დასაკითხი, რომ იაკობ ჯუღაშვილი-სტალინი ტყვედ ჩაბარებოდა.

**მესამე,** არ არის იმისი ხმის არც ერთი ჩანაწერი მაგნიტოფონზე, რაც ამ შემთხვევაში არა მხოლოდ გერმანელთათვის უპატიებელი შეცდომაა, არამედ იმის მტკიცებულებაც, რომ იაკობი ტყვედ არ ჩავარდნილა.

**მეოთხე,** ასევე არ არის არც ერთი კინოფირი, რომელზეც გადაღებული ყოფილიყოს იაკობ ჯუღაშვილი, რაც მით უფრო არა მარტო აუხსნელია პროპაგანდისტულ საქმეებში ჭიპმოჭრილი გერმანელებისათვის, არამედ ნათლად გვიდასტურებს, რომ ის გერმანელებს ტყვედ არ აუყვანიათ.

**მეხუთე,** 2002 წლის მარტ-მაისში რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს კრიმინალისტური ექსპერტიზების ცენტრმა ჩაატარა თითქოსდა გერმანელთა ტყვეობაში მოხვედრილი იაკობ ჯუღაშვილი-სტალინის ხელწერის ნიმუშების ექსპერტიზა. უწინარეს ყოვლისა ეს გაუკეთდა წერილს სტალინისადმი: „ძვირფასო მამა! ტყვეობაში მყოფი ჯანმრთელი ვარ, მალე გამაგზავნიან გერმანიაში, ერთ-ერთ ოფიცერთა ბანაკში. მოპყრობა კარგია. გისურვებ ჯანმრთელობას. მოკითხვა ყველას. იაშა“. აგრეთვე გააანალიზეს ჩანაწერი იუგოსლავი გენერლის მილუტინ სტეფანოვიჩის დღიურიდან: „...იაკობის ხელით გაკეთებული ჩანაწერი“... „იაკობ ჯუღაშვილი, უფროსი ლეიტენანტი, მოსკოვი, გრანოვსკის ქუჩა, 3, ბ. 84, 20.IX.41 წ.“.

**ექსპერტიზის დასკვნა კატეგორიულია: „მამისადმი წერილი“ ფურცლებზე შესრულებულია არა იაკობ იოსების ძე ჯუღაშვილის, არამედ სხვა პირის მიერ სტალინის უფროსი შვილის ხელწერის მიბაძვით. 1941 წლის 9 სექტემბრით დათარიღებული, ი. ი. ჯუღაშვილის სახელით გაკეთებული ჩანაწერი იაკობ იოსების ძე ჯუღაშვილს კი არ ეკუთვნის, არამედ სხვა პირს!**

**მეექვსე,** ექსპერტიზა გაუკეთდა აგრეთვე ფოტოფურცლებს, რომლებსაც გერმანელები ავრცელებდნენ საბჭოთა ჯარების მოწინავე პოზიციებზე ჯერ კიდევ 1941 წლის ზაფხულში. იმაზე ვითომდა სტალინის შვილი თავისუფალ პოზაში დგას გერმანელ ოფიცერთა შორის, ჩაფიქრებულს მხრისკენ დაუხრია თავი. სხვა ფოტოზე მაგიდას უზის გერმანელების კომპანიაში, კმაყოფილი, მხიარული, მღიმარი.

**ექსპერტიზის დასკვნა ამ შემთხვევაშიც კატეგორიული გახლდათ: ეს არის ფოტომონტაჟი ბლომად რეტუშისა და „სარკისებრი ასახვის“ გამოყენებით!**

ჰიტლერელები რატომაც წავიდნენ ასეთ პროპაგანდისტულ აქციაზე, ამის ახსნას, ცხადია, არავითარი აზრი არა აქვს, ისედაც ყველაფერი გასაგებია. იაკობ ჯუღაშვილის რეალურ ბედს რაც შეეხება, აქ სამართლიანობის უმაღლესი კანონების კარნახით უნდა ითქვას ასე – **მამაცთა სიკვდილით დაეცა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!** ეგ იმიტომ, რომ ვიტებსკის რაიონის სოფელ კოპტის მიდამოებში მომხდარ იმ უკანასკნელ შეტაკებაში გადარჩენილმა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა შემდგომ უამბო სტალინის ნაშვილებ გენერალს არტიომ სერგეევს: იაკობ იოსების ძე იმისი საარტილერიო ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად ხელჩართულ ბრძოლაში გადაეშვა გარღვევის მოსაწყობად. უფროსი ლეიტენანტი იაკობ იოსების ძე ჯუღაშვილი-სტალინი, დიდად სამწუხაროდ, ამ შეტაკებიდან ცოცხალი ვერ გამოვიდაო. გერმანელებმა რომ დაღუპულის გვამი აღმოაჩინეს, სწორედ მაშინ გადაწყვიტეს დატყვევების ფარსის გათამაშება საბჭოთა ჯარებზე მასირებული პროპაგანდისტული ზემოქმედების მიზნით...

საკუთარი ვაჟისადმი სტალინის სისასტიკეს თუ შევეხებით, მითოლოგიურ გამოხატვაშიც კი – „მე ჯარისკაცს არ ვცვლი ფელდმარშალზეო“ – უმაღლესი მთავარსარდალი მართალი გახლდათ: ასეთი გაცვლის ნებისმიერი მცდელობა ნიშნავდა ჰიტლერელებთან სეპარატულ მოლაპარაკებებს, რის თაობაზეც ისინი მთელს მსოფლიოს მოსდებდნენ ანტიჰიტლერული კოალიციის დასაშლელად. მეორეს მხრივ, ამგვარი გაცვლის ცდა ნიშნავდა სტალინის აღსასრულსაც – როგორც მთავარსარდლისაც, ისე იმ სტალინისაც, რომელზეც, ლამის ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ლოცულობდა მთელი საბჭოთა ხალხი, ეგ კი არა – მთელი მსოფლიოც...

აქამდე ცოცხალია ლეგენდაც, თითქოს სტალინმა მაღალი კლასის მზვერავ-დივერსანტთა რამდენიმე ჯგუფი გააგზავნა ტყვეობიდან შვილის დასახსნელად, მაგრამ ეს სრული სიზრიყვეა. იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებსაც ავტორი გაეცნო სტალინის პირადი დაზვერვის მაღალმდგომარეობიანი თანამშრომლის კონსტანტინე მეთოდიევიჩის მეშვეობით, შევნიშნავთ: ბელადმა უკვე 1942 წლის დასაწყისში იცოდა, რომ ვიღაც გერმანელთა ტყვედ ჩავარდნილი ვიგინდარა თავს იმის ვაჟად ასაღებს; და მართლაც ბრძანა, რადაც არ უნდა დამჯდარიყო, ეგ არამზადა მოსკოვში ჩამოეყვანათ, რომ გამოეაშკარავებინათ და აეხსნათ მთელი ხალხისთვის, რაც სინამდვილეში დაემართა იაკობს. ვაგლახ, რომ არ მოხერხდა. არც ტევტონები იყვნენ სულელები.

მერე კი „სტალინური“ ვნებები რომ შედარებით ჩაცხრა, განსაკუთრებით კი კრემლიდან ხრუშჩოვის გაგდების შემდეგ, სიტუაციის ნიველირებისა და სტალინის არაცხადი შესხმისათვის, ხალხში იმისი ავტორიტეტის აღდგენისათვის ააგორეს ლეგენდა „მე ჯარისკაცს ფელდმარშალზე არა ვცვლი“. რასაკვირველია, ლამაზი ლეგენდაა, ტრაგიკულად ლამაზი, მაგრამ აფსუს, რომ მხოლოდ ლეგენდაა.

აქვე სათქმელად, ლეგენდის გამოჩენა განსაცვიფრებელი სიზუსტით დაემთხვა დასავლელ ისტორიკოსთა მტკიცებების ავარდნას, ესაოდა 1943 წელს სტალინი ჰიტლერელებთან სეპარატისტული მოლაპარაკებების გაბმას ცდილობდაო. ყველაფრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ ტრაგიკულად ლამაზი და მყისვე მთელი ხალხისგან ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებად აღქმული ლეგენდით მოეხაზა დასავლელ ისტორიკოსთა მონაჩმახებს სტალინის არასდროს არარსებულ მცდელობებზე – ფაშისტებთან სეპარატისტულ მოლაპარაკებებში ჩაბმისა. აბა რა, ზოგჯერ ხისთავა საბჭოთა აგიტპროპსაც ჰქონდა უჩვეულო წარმატებები...

## მითი: სტალინი ფიზიკურად არ იყო განვითარებული, ფიზკულტურასა და სპორტს არ მისდევდა

სტალინი გარეგნულად მართლაც არ გახლდათ გოლიათი. ბავშვობაში ცოცხალი და მოძრავი იყო, სიამოვნებით თამაშობდა იმ დროს ბიჭუნებთან მიღებულ ყველა თამაშს. შემდგომ, როცა თავიან-ფეხებიანა გადაეშვა პოლიტიკაში, სპორტისა თუ ფიზკულტურისათვის აღარ სცხელოდა.

ფიზიკურ ნაკლოვანებებს რაც შეეხება, როგორც ცნობილია, მარცხენა ხელს ბოლომდე ვერ შლიდა, რაც ჯერ კიდევ ბავშვობისას დამართული სერიოზული ტრავმის შედეგი გახლდათ. სპორტსა და ფიზიკურ კულტურაზე თუ ვილაპარაკებთ, უპირველეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ, რომ საერთოდ ვერ იცლიდა საამისოდ, მეტადრე რეგულარულად მისახედად. პარტიისა და სახელმწიფოს სათავეში მდგარი მთელ დროს მუშაობას ანდომებდა, დღესასწაულებსა თუ თავისი დაბადების დღეებზეც კი.

და მაინც, ეს როდი ნიშნავს, რომ სულ ჩამოშორებული იყო ფიზკულტურასა და სპორტს. ძალიან უყვარდა ძველებური რუსული თამაში „ქალაქობანა“, გადასახლებებში რომ ასწავლეს. უყვარდა ბილიარდი, სიამოვნებდა მძიმე ბურთებიანი კეგლის თამაშიც.

სტალინი ჩინებულად ისროდა პისტოლეტით, რევოლვერით, შაშხანით, სანადირო თოფით. შემონახულია ფოტოები, რომლებზეც ის გამოსახულია მეგობრებთან ერთად ნადირობისას. თუმცა არც ისე ხშირად, მაგრამ ვარჯიშობდა სროლაში, საკმაოდ ზუსტადაც ისროდა: მცირეყალიბიანი შაშხანიდან აუღელვებლად ახვედრებდა ნაგანის მასრას დიდ მანძილზე.

ყველა მონაგონის საპირისპიროდ, ის ურიგოდ არ დაჯირითობდა ცხენით, ოღონდ რამდენადაც ცხენოსნობაში სისტემატური წვრთნისთვის დრო არ ყოფნიდა, როგორც წესი, ამ თავისი უნარის დემონსტრირებას არც ეწეოდა.



გარდა ამისა, სტალინს უყვარდა აქტიური დასვენება. ძალიან სიამოვნებდა ბოსტანში ტრიალი. სოჭის აგარაკზე საკუთარი ხელით დარგო ლიმონის, გარგარის, ატმის ნერგები, გულმოდგინედ უვლიდა მათ. ყვავილების მოშენება მოსწონდა. არც ექსპერიმენტული ფხა აკლდა. ცნობილია, მაგალითად, რომ მოსკოვის მახლობელ აგარაკზე საზამთროს მოყვანას ცდილობდა. სტალინს ხელით შრომაც უყვარდა – ბევრი იმ ადამიანის მოწმობით, ვინც მას კარგად იცნობდა, ეხერხებოდა ტანსაცმლის დაკერება, ფეხსაცმლის შეკეთება, აგრეთვე წიგნების მოწესრიგება, რომელთაც მუდამ კრძალვით ეპყრობოდა...

მოამზადა

**თამაზ ეზანოიძემ.**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 237.**

◉ ჩაშლილი ვიდეოხიდი: მოსკოვი-თბილისი

# „სახალხო დიპლომატია – რუსეთისა და საქართველოს ექიმების მეორე პროფესია“

**ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, თბილისის დროით 15 საათზე, საერთაშორისო პრესცენტრ „რია ნოვოსტიში“ ძალიან მნიშვნელოვანი ვიდეოხიდი უნდა გამართულიყო, მოსკოვი – თბილისი: „სახალხო დიპლომატია – რუსეთისა და საქართველოს ექიმების მეორე პროფესია“.** დაგეგმილ ვიდეოხიდში მონაწილეობა უნდა მიეღოთ თბილისიდან **ფრიდონ თოდუას,** კრემლის საავადმყოფოს ყოფილ თანამშრომელს, ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერს; პროფესორ **ლაურ მანაგაძეს,** უროლოგიის ცენტრის დირექტორს და პროფესორ რეზო გაგუას, საქართველოს ონკოლოგიური ეროვნული ცენტრის დირექტორს, ხოლო მოსკოვიდან დისკუსიაში ჩაერთვებოდნენ: აკადემიკოსი **ევგენი ჩაზოვი,** პროფესორი **ვლადიმერ ჩხიკვაძე,** რუსეთის დიაგნოსტიკისა და ქირურგიის ცენტრის დირექტორის მოადგილე, აკადემიკოსი **მიხეილ დავიდოვი,** რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და **ლეო ბოკერია,** წამყვანი კარდიოქირურგი, ცნობილი მეცნიერი.

როცა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავებულია და კვლავ საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით, ასეთი გამოჩენილი ადამიანების ვიდეოშეხვედრასა და დისკუსიას ინტერესით ველოდებოდით, სამწუხაროდ, „რია-ნოვოსტიში“ განაცხადეს, რომ შეხვედრა მოსკოვის მხრიდან ტექნიკური ხარვეზების გამო ჩაიშალა. ჩვენი აზრით, ექიმების დაწყებული დიალოგი, სახალხო დიპლომატიას ნამდვილად წაადგებოდა, თუმცა საეჭვოდ გვეჩვენება ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრის ტექნიკური უზრუნველყოფის მოუგვარებლობის მიზეზით ჩაშლა. მით უმეტეს, რომ საერთაშორისო პრესცენტრში არაერთი ვიდეოხიდი გამართულა რუსეთთან და კავკასიასთან.

ამბობენ, შეხვედრა საბოლოოდ კი არ ჩაიშალა, გადაიდოო. გადაიდო, თუმცა არა ერთი ან ორი დღით, არამედ თითქმის მთელი თვით. საქართველოსა და რუსეთს დასაკარგი დრო ნამდვილად არა აქვთ, ჩვენთვის კი ქართულ ლობთან და საქართველოსადმი კეთილგანწყობილ რუსებთან დიალოგის აღსადგენად ყოველი წუთი ძვირფასია.

**თეა მოსია**

ჩემპიონთა ლიგა

# წილი ნაყარია




**გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისტთა კენჭისყრა, რომელმაც გაისად 24-25 თებერვალსა და 10-11 მარტს მეტოქენი ასე დააწყვილა:**

**ჩელსი – იუვენტუსი,**
**ვილიარეალი – პანათინაიკოსი,**
**სპორტინგი – ბაიერნი,**
**ატლეტიკო – პორტუ,**
**ლიონი – ბარსელონა,**
**რეალი – ლივერპული,**
**არსენალი – რომა,**
**ინტერი – მანჩესტერი.**




გუშინდელ ლონისძიებას არ დასწრებია უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი, რომელიც იაპონიაში, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე იმყოფება. აღნიშნული ფორუმის ფინალში ხვალ ერთმანეთს „მანჩესტერი“ და „ლდუ კიტო“ შეხვდებიან.

ნახევარფინალში სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა მასპინძელთა „გამბა ოსაკას“ სძლია – 5:3 (ორი გოლი რუნიმ გაიტანა, თითო ვიდიჩმა, რონალდუმ და ფლეტჩერმაძ, ხოლო ეკვადორელებმა მექსიკური „პაჩუკა“ დაამარცხეს – 2:0.

დიდი მაესტრო

# ცრემლიანი გახსენება



**XX საუკუნის საუკეთესო მწვრთნელი – ასეთად აღიარეს თანამედროვეებმა ქართული ფეხბურთის ბერმუხა ნოდარ ახალკაცი, რომელსაც წლეულს 70 წელი შეუსრულდებოდა.**

**დიდი მაესტროს იუბილეს საშვილიშვილო საქმე უძღვნა ცნობილმა რეჟისორმა გოგი თორაძემ. ესაა ნახევარსაათიანი ფილმი, რომლის პრემიერაც კინოს სახლში გაიმართა.**

**„ფარსადანოვიჩის“ უახლოესი მეგობრის გოგი თოფაძის თანადგომით გადაღებული ფირი ერთგვარ რეტროსაც წარმოადგენს, რომელმაც მრავალრიცხოვან აუდიტორიას ცრემლი მოჰგვარა და იმ ეპოქაში დააბრუნა, როცა ასე ძალუმად ფასობდა პატიოსნება, პასუხისმგებლობის გრძნობა, პროფესიონალიზმი, ოჯახიშვილობა, უზნისა ამ შემთხვევაში „ნახალოვკის“ სიყვარული... სამწუხაროდ, შური და ბოლმა მაშინაც „მოდური“ გახლდათ, რამაც ნაადრევად შეწყვიტა საამაყო მამულიშვილის გულისძგერა. სწორედ ამას გაუსვა ხაზი სინანულით ბატონი ნოდარის მემატიანემ, ისტორიკოსმა დურმიშხან ცინცაძემ.**

**ბუნებრივია, ეკრანზე დინამოელთა ყველაზე ტიტულოვანი თაობის თითქმის ყველა მიღწევის ამსახველი კადრებიც გაცოცხლდა. თითქმის იმიტომ, რომ რატომღაც ვერ ვიხილეთ 1978 წლის „ოქროს შემოდგომის“ მასალები. თუმცა, რაც ვიხილეთ, იმისთვისაც დიდი მადლობა ფილმის ავტორსა და დიდ მაესტროს.**

გინესის წიგნი

# სარეკორდო ასპარეზობა

**სამშაბათს 11 საათზე საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების დიდ დარბაზში (ლადო გუდიაშვილის ქუჩა №11, ქაშუეთის ეკლესიის გვერდით) გაიმართება რიჩარდ კვიციანის პირველი მსოფლიო საგინესო-სარეკორდო ასპარეზობა ძალოსნობაში.** 38 წლის ქართველი ათლეტის მიზანია 3-კილოგრამიანი ორბირთვებით (ჰანტელებით) ბიცეფსის ვარჯიშში არსებული მიღწევის გაუმჯობესება – ორივე ხელით 3 საათის განმავლობაში შეუსვენებლად, უწყვეტად და ძირს დაუშვებლად 14 384-ზე მეტი აწევის (მოძრაობისძ შესრულება. შეგახსენებთ, რომ ეს შედეგი ჩვენს თანამემამულე შოთა ქელდიშვილს 2001 წლიდან ეკუთვნის.



ღონისძიების სპონსორია საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ხოლო ორგანიზატორები – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, ცენტრალური ათლეტური კლუბი „ამირანი“ და მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი კავშირი – კლუბი „გიორგი“.

მკლავჭიდელი, მორკინალი, მშენებელი, მხედარი – ასეთია მესტიის რაიონის სოფელ ბეჩოს მკვიდრის გატაცებათა არასრული ნუსხა. მრავალშვილიან ოჯახში აღზრდილი ვაჟკაცი სხვადასხვა დროს რაიონული ჩემპიონატის გამარჯვებული და პრიზიორი გახდა ქართულ ჭიდაობაში, ძიუდოსა და მკლავჭიდში, ხოლო მოგვიანებით ანალოგიურ წარმატებებს მიაღწია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჩემპიონატებსა და სტუდენტურ უნივერსიადებში.

რიჩარდის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა ჯარში სამსახური, ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობა, შორეულ ციმბირში – ბაიკალის მხარეში თანამემამულეთა მხარდამხარ სამრეწველო ობიექტების მშენებლობაში შრომა. შორს მყოფიც სპორტს ერთგულობდა – ერთხანს კიკბოქსინგში მეცადინეობდა.

სამშობლოში დაბრუნებულმა თავი სპორტის ხალხურ სახეობებშიც – საჯილდაო ქვის აწევასა და ცხენოსნობა-ჯირითობაშიც გამოიჩინა. ჰლიშის ტრადიციულ მარულაში კვიციანი და მისი გაწვრთნილი მერანი ერთკილომეტრიანი დისტანციის ფინიშთან ზედიზედ სამი წლის განმავლობაში მიიჭრნენ პირველნი.

დავძენთ, რომ ჩვენი წერილის გმირის ჰობია მუსიკა, ხალხური სიმღერები, განსაკუთრებით უყვარს სვანური ლილე – მზის ამოსვლის საგალობელი. რაც შეეხება პერსპექტივას, მისი ოცნებაა 5, 7 თუ 13-კილოგრამიანი ორბირთვებით ასპარეზობა, მცირე ბიზნესში – სამთო ტურიზმში წარმატებით საქმიანობა და... ქორწინება. ღმერთმა ხელი მოუმართოს!

ინტერნეტიდან

## ბოლტი – წლის საუკეთესო სპორტსმენი

**ავტორიტეტულმა ფრანგულმა გამოცემამ LEguipe წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა მსოფლიო რეკორდსმენი სპრინტერულ სირბილში, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, იამაიკელი უსეინ ბოლტი.**

ამ მაღალი ტიტულისთვის ბრძოლაში მორბენალმა გადაუსწრო ოლიმპიური ოქროს მედლებით რეკორდსმენს, ამერიკელ მოცურავეს მაიკლ ფელპსს (8 „ოქრო“ ერთ ოლიმპიადაზე, 14 – საერთოდძ, და მსოფლიო პირველ ჩოგანოსანს რაფაელ ნადალს.

აი, როგორი იყო ხმის მიცემის შედეგები:

1. უსეინ ბოლტა (იამაიკა, მძლეოსნობაძ – 832 ქულა.
2. მაიკლ ფელპსი (აშშ, ცურვაძ – 694
3. რაფაელ ნადალი (ესპანეთი, ჩოგბურთიძ – 413
4. ვალენტინო როსსი (იტალია, ველორბოლაძ – 203



5. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი – „ფორმულა -1“ძ – 162
6. ალენ ბერნარი (საფრანგეთი – ცურვაძ – 134
7. სებასტიან ლები (საფრანგეთი, რალიძ – 69
8. ნიკოლა კარბატიჩი (საფრანგეთი, ხელბურთიძ – 52
9. კრიშტიანუ როლანდუ (პორტუგალია – ფეხბურთიძ – 51
9. ვალენტინა ვეცალი (იტალია, ფარიკაობაძ – 51.

2005 წლიდან პლანეტის საუკეთესო სპორტსმენად ამ გამოცემის მკითხველები ასახელებდნენ შვეიცარიელ ჩოგბურთელ როჟე ფედერერს.

## ზღაპრულ ჰონორარებს შეუმცირებენ

**აქამდე ცნობილი იყო, რომ ავტორბოლაში „ფორმულა-1“ გამარჯვებისთვის თუ წარმატებისთვის პილოტები ზღაპრულ ჰონორარებს ღებულობდნენ. როგორც ამბობენ, ფინანსური კრიზისის თუ სხვა მისთანების გამო, მრბოლებმა ამიერიდან ქამრები უნდა მოიჭირონ, რადგან ხელფასის შემცირებას უპირებენ.**

ამიტომაც ჩემპიონატის მონაწილეებმა უნდა




იფიქრონ ყველა მუხლით ხარჯების შემცირებაზე, რადგან უახლოეს რამდენიმე თვეში ხელფასებში „სერიოზულ ცვლილებებს მოელიან“. მაგალითად, კიმი რაიკონენი ყველაზე მაღალანაზღაურებადი პილოტია „ფორმულაში“. მისი ხელფასი წელიწადში 36 მილიონი გირვანქაა (54 მილიონ დოლარზე მეტიძ.

10 მილიონ გირვანქაზე მეტს ღებულობენ ფერნანდო ალონსო და ლუის ჰემილტონი, მათ გარდა რამდენიმე მილიონს ზოგიერთი ინჟინერი ღებულობს, სარბოლ ავტომანქანებს რომ შეიმუშავებენ.

სექტემბერში რაიკონენს კონტრაქტი 2010 წლამდე გაუგრძელეს, თუმცა უკვე გასული სეზონი ფინელისთვის არც თუ წარმატებული გამოდგა.

## ბურთის დევნა მობეზრდა

**რომელი ფეხბურთელი არ ოცნებობს პორნოვარსკვლავივით პოპულარობას, რასაკვირველია, თუ თვითონ არ არის ფეხბურთის „ვარსკვლავი“?**

როგორც „რეჯინას“ მცველმა სირილო ბრუნომ თქვა, ის მუდამ ცდილობდა, თავი გამოეცადა კინოში. – ფილმებში მოზრდილებისთვის.

ამ აზრისაა A სერიის ზოგიერთი სხვა ფეხბურთელიც. თუმცა მათ ამისთვის ისეთი დიდი დაბრკოლების გადალახვა დასჭირდებათ, როგორიც გერმანელი ევა რობია.

„ნიურნბერგის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ქალბატონმა აღიარა, რომ მობეზრდა ბურთის დევნა და პორნოინდუსტრიაში „გადაბარგდა“.

„ეს გაცილებით საინტერესოა, – განაცხადა ლამაზმანმა რობიმ, მე ის უფრო მომწონს. კინო მოზრდილებისთვის ჩემი მოწოდებაა“.



◉ ბენდელას თასი

# მეჩვიდმეტე გაელვება



**მეგობრები ჰყავსო, აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ახალგაზრდა ფეხბურთელის ზაზა ბენდელიანის შესახებ შეიძლება ითქვას. ძმების ქართლოს და კახა ჭუმბურიძეების ძალისხმევით 21-26 დეკემბერს სპორტკომპლექს „ქარიშხალასა“ და არმიის სასპორტო კლუბის დარბაზში მეჩვიდმეტედ გაიმართება „ბენდელას თასის“ ტრადიციული გათამაშება, რომელიც ლამაზად დააგვირგვინებს საფეხბურთო სეზონს.**

მემორიალის ორგანიზატორები არიან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, საქართველოსა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციები, გენერალური სპონსორობა „იბერია ბიზნეს ჯგუფმა“ და „ფოლკსვაგენმა“ ითავეს, ხოლო მხარდამჭერები „ჯეოსელი“ და „ყაზბეგია“.

ალბათ, დაგაინტერესებთ, რატომ ვერ მოხერხდა ამ პოპულარული ტურნირის სპორტის სასახლეში გამართვა. მიზეზი ბანალურია — დედაქალაქის მთავარი დახურული სარბიელის გათბობა მეტისმეტად ძვირი სიამოვნებაა.

დავძენთ, რომ უფროსთა, მათ შორის ლეგიონერთა და ვეტერანთა, აგრეთვე ბავშვთა გუნდების მხარდამხარ ამჯერად პირველად ითამაშებენ გოგონები.

◉ ფეხბურთი

# მხოლოდ შედეგები

**უეფას თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის ბოლო ტური.**

**„ა“ ჯგუფი.** რასინგი — სიტი 3:1, პსჟ — ტვენტე 4:0. ისვენებდა შალკე.

სიტი — 7, ტვენტე — 6, პსჟ, რასინგი — 5-5, შალკე — 4 ქულა.



**„ბ“ ჯგუფი.** ოლიმპიაკოსი — ჰერტა 4:0, ბენფიკა-მეტალისტი 0:1. ისვენებდა გალათასარაი.

მეტალისტი — 10, გალათასარაი — 9, ოლიმპიაკოსი — 6, ჰერტა — 2, ბენფიკა — 1 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** სამპდორია — სევილია 1:0, შტუტგარტი — სტანდარდი 3:0. ისვენებდა პარტიზანი.

სტანდარდი — 9, შტუტგარტი, სამპდორია — 7-7, სევილია — 6, პარტიზანი — 0 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** ტოტენჰემი — სპარტაკი 2:2, ნაიმეგენი — უდინეზე 2:0. ისვენებდა დინამო (ზაგრები).

უდინეზე — 9, ტოტენჰემი — 7, ნაიმეგენი — 6, სპარტაკი — 4, დინამო (ზაგრები) — 3 ქულა.

**„ე“ ჯგუფი.** პორტსმუთი — ჰერენვეენი 3:0, მილანი — ვოლფსბურგი 2:2. ისვენებდა ბრაგა.

ვოლფსბურგი — 10, მილანი — 8, ბრაგა — 6, პორტსმუთი — 4, ჰერენვეენი — 0 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** ჰამბურგი — ასტონ ვილა 3:1, აიაქსი — სლავია 2:2. ისვენებდა ჟილინა.

ჰამბურგი — 9, აიაქსი — 7, ასტონ ვილა — 6, ჟილინა — 4, სლავია — 2 ქულა.

**„ზ“ ჯგუფი.** ბრიუგე — კოპენჰაგენი 0:1, სენტ ეტიენი — ვალენსია 2:2. ისვენებდა რუსენბორგი.

სენტ ეტიენი — 8, ვალენსია — 6, კოპენჰაგენი — 5, ბრიუგე — 3, რუსენბორგი — 2 ქულა.

**„თ“ ჯგუფი.** ფეიენოორდი — ლეხი 0:1, დეპორტივო — ნანსი 1:0, ისვენებდა ცსკა.

ცსკა — 12, დეპორტივო — 7, ლეხი — 5, ნანსი — 4, ფეიენოორდი — 0 ქულა.

**თითოეული ჯგუფიდან პლეი-ოფში 3-3 საუკეთესო კლუბი ითამაშებს.**

◉ კალათბურთი

# ოქმის ენით

**ევროლიგის ჯგუფური რაუნდის VIII ტური.**

**„ა“ ჯგუფი.** ოლიმპიაკოსი — ციბონა 93:64, ლე მანი — მაკაბი 73:87, უნიკახა — აველინო 72:68.

ოლიმპიაკოსი, უნიკახა — 6-6, მაკაბი, ციბონა — 5-5, აველინო — 2, ლე მანი — 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** ლე მანი — აველინო (7 იანვარიძ, ციბონა — უნიკახა, მაკაბი — ოლიმპიაკოსი (8 იანვარიძ.

**„ბ“ ჯგუფი.** ბარსელონა — სიენა 87:61, ჟალგირისი — პროკომი 79:68, პანათინაიკოსი — ნანსი 83:69.

ბარსელონა — 7, სიენა, პანათინაიკოსი — 6-6, პროკომი, ნანსი — 2-2, ჟალგირისი — 1 მოგება.

**შემდეგი ტური:** პროკომი — ბარსელონა (7 იანვარიძ, ჟალგირისი — ნანსი, სიენა — პანათინაიკოსი (8 იანვარიძ.

**„გ“ ჯგუფი.** ულქერი — ხუვენტუდი 89:63, ალბა — ტაუგრესი 68:73, რომა — ოლიმპია 74:69 (დამატებით დროშიძ.

ტაუგრესი, რომა — 6-6, ულქერი, ხუვენტუდი — 4-4, ალბა — 3, ოლიმპია — 1 მოგება.

**შემდეგი ტური:** ხუვენტუდი — ალბა, რომა — ტაუგრესი (7 იანვარიძ, ოლიმპია — ულქერი (8 იანვარიძ.

**„დ“ ჯგუფი.** ცსკა — რეალი 78:82, მილანი — პარტიზანი 73:59, პანიონიოსი — ეფესი 64:78.

ცსკა — 6, რეალი — 5, ეფესი — 4, პარტიზანი, მილანი, პანიონიოსი — 3-3 მოგება.

**შემდეგი ტური:** პარტიზანი — პანიონიოსი, ეფესი — ცსკა (7 იანვარიძ, მილანი — რეალი (8 იანვარიძ.




◉ გამოფენა

**გივი თოიძის პერსონალურმა გამოფენამ თი-ბი-სი ბანკის დარბაზში საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. გასული საუკუნის 60-იანი წლების ქართველ მხატვართა თაობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, საზოგადოება კიდევ ერთხელ დაარწმუნა, თუ რა ნაყოფიერი და განუმეორებელია მისი შემოქმედება, რა ერთგულია საკუთარი შემოქმედებითი პოზიციისა, რაც მკაფიოდ ვლინდება პროფესიული ოსტატობით შესრულებულ ფრიად საინტერესო და შთამბეჭდავ ფერწერულ ქმნილებებში.**



## გივი თოიძე:
# „შემოდგომა ჩემი სულის ფერია“

ვინც გივი თოიძის შემოქმედებას იცნობს, მან კარგად იცის, რომ მხატვარი თანაბრად მუშაობს ყველა ჟანრში და ასევე თანაბრად ფლობს ყოველნაირ მასალას. მაგრამ ამჯერად მან თავისი დიდი მემკვიდრეობიდან დამთვალიერებელს მხოლოდ პეიზაჟები და ნატურმორტები შესთავაზა.

მშობლიური ქვეყანა მუდამ იყო ხელოვანის შთაგონების წყარო, მისი მრავალფეროვანი ბუნება დღესაც აძლევს შემოქმედებით იმპულს, ამიტომაც ამყოფებს ხოლმე მნახველებს ეროვნული განცდის ტყვეობაში.

ზეთით შესრულებულ ერთ დიდ ტილოსთან ვჩერდები. „მდინარის პირას“ — ასე დაურქმევია მისთვის ავტორს. სრულიად განსხვავებული, კერძოდ თავისუფალი და ლაღი მანერით, მსუყე მონასმებით შესრულებული ნამუშევრით დაინტერესება შემამჩნია და მომიახლოვდა.

— ეს ჩემი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია, — მეუბნება იგი, — სპონტანურად შევქმენი, მაგრამ ვფიქრობ ამისთვის დიდი ხანი ვემზადებოდი. ეს ჩემი პატარძეულია, სადაც ბავშვობა გავატარე. ამ ტილოზე ჩემი ბავშვობა აღვადგინე, მეგობრებიც გავიხსენე...



დიახ, მხატვარს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს დედულეთთან, რომელთანაც ბავშვობის წლები აკავშირებს და საერთოდ კახეთთან, რომელსაც მთელი სერიები უძღვნა. პატარძეულისა და ნინოწმინდის პეიზაჟები მხატვარმა ამ ექსპოზიციაზეც გამოფინა სხვა ქართულ პეიზაჟებთან ერთად.

საგამოფენო სივრცე შეავსო ძველი თბილისის თემებზე შესრულებულმა პეიზაჟებმა. ეს თემა მხატვრის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამორჩეულია. მისი ტრფიალი ბავშვობიდან მოჰყვება და დღესაც ასაზრდოებს. რა უშუალობითა და ემოციით გადმოგვცემს მშობლიური ქალაქის ხედებს, მახვილი თვალითა და სხვადასხვა რაკურსით დანახული ქალაქის განუმეორებელ ელფერს. იგი ტილოებზე აცოცხლებს დაბახანას, ავლაბარს, ჩუღურეთს, ხარფუხს, აბანოთუბანს, ხიდებსა თუ თბილისურ სახურავებს...

რას ნიშნავს მისთვის თბილისი?

ჩუღურეთში, ორბელიანის ქუჩაზე დაიბადა და გაიზარდა, სადაც სახელოვან პაპასთან, გამოჩენილ მხატვართან მოსე თოიძესთან ერთად ცხოვრობდა. ცნობილი მხატვრები იყვნენ მისი ბიძებიც — ირაკლი და გოგი თოიძეები.

**„პაპაჩემი ძველი თბილისის მომღერალი იყო და ხშირად მეტყოდა ხოლმე, თუ გინდა ფერწერა ისწავლო ძველ თბილისში იარე, ხატე დაბახანა, დააკვირდი როგორ რეცხავენ ქალები ხალიჩებს, თანაც დასძენდა, ოღონდ იბეჯითე, უშრომლად არაფერი გამოვაო“.**

ფანატიკურად უყვარს თბილისი გივი თოიძეს და ამ სიყვარულმა მის ტილოებში გამოანათა.

**„თუ არა ხარ ფანატიკოსი და საქმის მონა, ისე არაფერი გამოდის. რასაკვირველია უფალმაც უნდა წაგაშველოს ხელი. ემოციური ვარ და ფუნჯის მოსმისას არ ვიბოჭები“.**

მწიფე შემოდგომის ფერისაა მისი ტილოები და წლის დროებს შორის ყველაზე მეტად მას სცემს პატივს.

**„ჩემი სული შემოდგომისკენ იწევს, შემოდგომა ჩემი სულის ფერია, შემოდგომა დღესასწაულია, ფერწერას უყვარს მრავალფეროვნება, რომელშიც ბევრი მარგალიტია და მათი ამოკრეფაა საჭირო“.**

შემოდგომის განწყობილებას დამაჯერებლობას მხატვრის მდიდარი ფერადოვანი პალიტრა საინტერესო ჟღერადობას სძენს.

**„მხატვრობას ეტყობა ავტორს სმენა აქვს თუ არა, ეს ფერთა ჰარმონიასა და მუსიკალურობაში ვლინდება. მუსიკის თანხლებით მიყვარს მუშაობა, კლასიკიდან მეტადრე ვივალდი მეხმარება და კიდევ ქართული ხალხური სიმღერები. მუსიკა სამყაროს გიძენს მუშაობის დროს და ლაბირინთებში შეჰყავხარ, იგი მალამოსავით არის...“**

გივი თოიძისთვის ნატურმორტი უსაყვარლესი ჟანრია. ნაირგვარი ყოფითი ნივთებისგან ადგენს მათ მხატვარი.

**„ნატურმორტში ჩანს რა დონის, რა მისწრაფებისა და გემოვნების მხატვარი ხარ. მკვდარი გააცოცხლო და როგორ შეიძლება უბრალო რაღაცით შექმნა კარგი რამ“.**

საექსპოზიციო დარბაზს ამშვენებდა „ნატურმორტი ფიროსმანის წიგნით, ნატურმორტი ბროწეულებით, ყაყაჩოებით, ლამპით, პატეფონით, ნაირფეროვანი ყვავილებით... აი რას ამბობს მის შესახებ ცნობილი ხელოვნებათმცოდნე იდა ოცხელი:

„გივი თოიძის ფერადოვანი, მსუყე თუ გრაფიკულად მკაცრი ნატურმორტები თავის ფუნქციას ერთნაირად ატარებენ — ხსნიან ყოფის კეთილშობილ სილამაზეს, მისი სილამაზე მარადიულია. იგი უნდა ახსნა და უჩვენო მაყურებელს. ეს კი რჩეულთა ხვედრია, ვისაც ნიჭი და გაბედულება აქვს...

მხატვარი სასწაულს ახდენს! ყველაფერი ცოცხლდება... გივი თოიძის შემოქმედება გამოირჩევა განსახოვნების ახალი გზების ძიებით. ამ ძიების შედეგია სწორედ „ნატურმორტი ყაყაჩოებით“, ჰაეროვნად, ნატიფად არის შექმნილი ეს ტილო. მაგრამ ისევ და ისევ ხატავს გივი თოიძე ასე ნაცნობ, ახლობელ ბროწეულებსა თუ ატმებს, ხენდროსა თუ ყაყაჩოებს, ძველებურ თუნგს თუ როდინს, ხატავს ისე, თითქოს გამუდმებით რაღაც სიახლეს ეძებს მათში, ჯერ კიდევ შეუმჩნეველს“.

საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველისა და დავით კაკაბაძის პრემიების ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, სამხატვრო აკადემიის პროფესორი გივი თოიძე მისი ხელოვნების პატივისმცემლებთან კვლავაც ახალი შეხვედრისთვის ემზადება, ახალ ნახატებს ჰპირდება.

„ძალიან ძნელია დიდი მხატვრების ოჯახიდან იყო და შენი თავი მოძებნო“, — მეუბნება.

იგი მართლაც არავის ჰგავს.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

◉ მამულიშვილის გახსენება

# „ბარბაროსი დაულეწავს ციციშვილს...“

**ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზში ცნობილი არქიტექტორის, აკადემიკოსის, საბჭოთა კავშირის გმირის ირაკლი ციციშვილის დაბადებიდან ოთხმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, შეიკრიბნენ მისი მეგობრები, ყოფილი სტუდენტები (ახლა უკვე თვითონ პროფესორები, აკადემიკოსებიძ.**

**ირაკლი ციციშვილის არქივში მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრა პროფესორმა ლენა კალანდაძემ, რომელიც ჯერ ბატონ ირაკლის სტუდენტი, მოგვიანებით კი მეგობარი და თანამშრომელი იყო.**

**შეხვედრა ერთგვარ მინორულ ხასიათს ატარებდა: ღონისძიების ორგანიზატორები (ტექნიკური უნივერსიტეტის ურბანიზაციისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებიძ თუ მონაწილენი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ დღესდღეობით ირაკლი ციციშვილი სათანადოდ არ არის დაფასებული. ერთ-ერთმა გამომსვლელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი სახელობის არა თუ ქუჩა, ჩიხიც არ არსებობს და მიუხედავად მეცნიერთა სხვადასხვა ჯგუფის შესაბამისი უწყებებისადმი თხოვნისა, არც თბილისის მერია და არც ქალაქის კეთილმოწყობის სამსახური არ დაინტერესებულა ირაკლი ციციშვილის უკვდავყოფით.**

**...ღონისძიება თითქმის სამი საათი გაგრძელდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა ირაკლი ციციშვილის სტუდენტობის, დიდ სამამულო ომში საბრძოლო შემართებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები დიდ ეკრანზე ეხილა.**

**ჯაბა ჟვანია**

## „მესას" განცხადება

მშენებლობის ექსპერტთა საქართველოს ასოციაცია აქვეყნებს რა საჯარო განხილვისათვის „მშენებლობის ექსპერტთა ეთიკური ქცევის კოდექსის" პროექტს, თხოვნით მიმართავს ჩვენს ქვეყანაში სამშენებლო კომპლექსის მუშაობით დაინტერესებულ ყველა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს და ცალკეულ პროფესიონალ სპეციალისტებს, რათა მოგვაწოდონ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს აღნიშნულ კოდექსში.

წინადადებები გთხოვთ გამოგზავნოთ 2009 წლის 15 იანვრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №16, მე-7 სართული, ოთახი №2. „მესას" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

„მესას" გამგეობა

**პროექტი**

# მშენებლობის ექსპერტთა ეთიკური ქცევის კოდექსი

## ექვემდებარება დამტკიცებას მშენებლობის ექსპერტთა საქართველოს ასოციაციის („მესას") ყრილობის მიერ

**თბილისი 2008 წ.**

მშენებლობის ექსპერტთა ეთიკური ქცევის კოდექსი განსაზღვრავს ექსპერტთა დამოკიდებულებას ექსპერტიზის პროცესის ყველა მონაწილესთან, მათთან ურთიერთობის პრინციპებს, ნორმებსა და წესებს, მიუხედავად მონაწილეთა წარმომადგენლობისა (სამთავრობო ორგანო, არასამთავრობო ორგანიზაცია, საზოგადოებრივი გაერთიანებები – პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური – კომერციული თუ არაკომერციული, საწარმო, ფირმა, კერძო პირი – ჩვენი ქვეყნის მოქალაქე – თუ უცხოელი), ამ კოდექსით დადგენილი პრინციპები ურყევია და იდენტური ყველა დამკვეთის, პარტნიორის, კოლეგის თუ ოპონენტის მიმართ.

მშენებლობის ექსპერტთა ეთიკური ქცევის კოდექსის მიზანია:

ა) რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდეს და დამკვიდრდეს ისეთი საზოგადოებრივი ატმოსფერო და პირობები, როცა საყოველთაოდ აღიარებულია მშენებლობის ექსპერტის ღირსეული პრაქტიკული მნიშვნელობა, რათა რეალურად იქნას მოქალაქეთა უპირველესი (ბევრ ქვეყანაში კონსტიტუციური) უფლება – იცხოვრონ ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო (და, რა თქმა უნდა, შესაძლოდ კომფორტულ) გარემოში.

ბ) ხელი შეუწყოს მშენებლობის ექსპერტებს, რომ მათ აღიქვან პასუხისმგებლობის სიმძიმე და შესაბამისად მაღალ დონეზე შეასრულონ მათზე საზოგადოების მიერ დაკისრებული სერიოზული პროფესიული და მორალურ-ზნეობრივი ვალდებულებები. მიაღწიონ აღიარებას, ნდობის მაღალ დონეს, შეუბღალავ რეპუტაციას, დამკვეთების და კოლეგების პატივისცემას.

### თავი I
### მშენებლობის ექსპერტის ეთიკური ქცევის პრინციპები

**მუხლი 1. ეთიკური ქცევის ძირითადი პრინციპები**

მშენებლობის ექსპერტი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი პრინციპებით:

დამოუკიდებლობა, სახელმწიფოებრივი აზროვნება, ნდობა, კონფიდენციალობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიალობა და კომუნიკაბელურობა.

**მუხლი 2. დამოუკიდებლობა**

მშენებლობის ექსპერტი, თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეშე გავლენისაგან მათ შორის: ჩინოვნიკებისა და „ავტორიტეტების" ან სხვა ზეწოლისაგან და მოქმედებს მხოლოდ საქართველოში საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელი კანონების, მოქმედ ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების, ამ კოდექსის.

საექსპერტო დასკვნის ერთადერთი საფუძველია ექსპერტიზის საგნის ხარისხი (მაგ. მშენებლობის პროექტის ხარისხი).

ექსპერტს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ დამოუკიდებლობა მხოლოდ თავისუფალი ბუნების მქონე ადამიანის ხვედრია. გამორიცხული არ არის, რა თქმა უნდა, საექსპერტო დასკვნაში სხვისი აზრის, წინადადების და პროფესიული ცხოვრების პრაქტიკით დადასტურებული დადებითი მაგალითების გამოყენება, იმ პირობით, რომ გამოყენებული მასალები არგუმენტირებული იქნას ამ მასალების ავტორებზე არანაკლები დამაჯერებლობით.

**მუხლი 3. სახელმწიფოებრივი აზროვნება**

სამშენებლო პროექტის ექსპერტიზისას მშენებლობის ექსპერტი ვალდებულია კარგად ფლობდეს ქვეყანაში მოქმედ საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობას და განუხრელად იცავდეს მათ მოთხოვნებს, რათა სრულიად იყოს დაცული საქართველოს მოქალაქეთა საზოგადოებრივი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები.

ექსპერტი უკომპრომისოა ისეთი საპროექტო გადაწყვეტილებებისადმი და დარღვევებისადმი, რომლითაც ირღვევა შენობა-ნაგებობათა სიმტკიცის, მდგრადობის და უვნებლობის პირობები, ეკოლოგიური სისტემის მდგრადობა.

საექსპერტო დასკვნა ყველა შემთხვევაში უნდა ასახავდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოთხოვნებს და ინტერესებს; მოქალაქეთა და იურიდიული პირების კანონით დაცული უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობებს.

**მუხლი 4. ნდობა**

მშენებლობის ექსპერტისადმი დამკვეთის (კლიენტის) ნდობა ეფუძნება ექსპერტის პირად ღირსებებს – კომპეტენტურობას, პატიოსნებას, შეუვალობას და მიუკერძოებლობას. ექსპერტმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები, მშენებლობის ექსპერტის პროფესიული ვალდებულებაა.

ნდობა – ისევე, როგორც ერთგულება, მეგობრობა, თანადგომა, ძმადნაფიცობა... მხოლოდ მაშინაა მტკიცე, თუ ორმხრივია. ნდობა ორივე მხარის ურთიერთპატივისცემის, ერთმანეთისადმი კეთილი განწყობის შედეგია. ნდობა საზოგადოებრივი სტაბილურობის საფუძველია. რთულად მოსაპოვებელი, მაგრამ მიღწევადი.

**მუხლი 5. კონფიდენციალობა**

ა) ინფორმაცია, რომელიც მშენებლობის ექსპერტისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია;

ბ) კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში. მშენებლობის ექსპერტი უფლებამოსილია გაამჟღავნოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია კლიენტის თანხმობით, ან გამონაკლისის შემთხვევაში, თუკი ინფორმაციის გამჟღავნება ექსპერტის მიერ, მის მიმართ წაყენებული ბრალდებისგან თავის დასაცავად ან კანონით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) მშენებლობის ექსპერტთა პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოთხოვოს იგივე ვალდებულების შესრულება.

**მუხლი 6. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა**

მშენებლობის ექსპერტს უფლება არა აქვს, განახორციელოს ექსპერტიზა იმ დავისა, რომლის მონაწილეა მისი ახლო ნათესავი (მშობელი, შვილები, და-ძმა, რძალი, სიძე) ან სამშენებლო პროექტისა, რომლის შესრულებაშიც იგი რაიმე ფორმით თვითონ ან ახლო ნათესავი მონაწილეობდა (კონსულტაცია, პროექტის რომელიმე ნაწილის შესრულება).

**მუხლი 7. კოლეგიალობა**

პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, მშენებლობის ექსპერტი ვალდებულია პატივს სცემდეს კოლეგებს, ყურადღებით ისმენდეს და სერიოზულად სწავლობდეს მათ მოსაზრებებს, წინადადებებს და არ შელახოს მათი ღირსება; იყოს კომპრომისული ისეთ საკითხებში, რაც მის დონეს სცილდება და საჭიროებს კოლეგიალურ განხილვას და დამატებით კონსულტაციებს, მიიღოს კოლეგების რჩევები და წინადადებები.

**მუხლი 8. კომუნიკაბელურობა**

პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, მშენებლობის ექსპერტი ვალდებულია, იყოს კოლეგების პატივისმცემელი, მეგობარი და რჩევის მიმცემი. იგი უნდა იყოს თავმდაბალი, კეთილმოსურნე და კონტაქტური. მშვიდად და ემოციების გარეშე ისმენდეს ინფორმაციებს პრობლემურ და სადავო საკითხებზე; ექსპერტისთვის ამბიციურობა დაუშვებელია.

### თავი II
### მშენებლობის ექსპერტის ურთიერთობა სხვა პირებთან და ინსტიტუტებთან

**მუხლი 9. ურთიერთობა მშენებლობის ექსპერტსა და დამკვეთებს (კლიენტებს) შორის**

ა). მშენებლობის ექსპერტი დამკვეთთან თავის საქმიანობას იწყებს დამკვეთის ხელმძღვანელობასთან (ან მის მიერ დოკუმენტალურად გაფორმებულ უფლებამოსილ წარმომადგენელთან) წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

ბ). მშენებლობის ექსპერტმა უნდა აწარმოოს ექსპერტიზა კლიენტის (ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის) მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მის მიერვე წარმოდგენილი საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციისა კლიენტისაგან მიღებული ოფიციალური დავალების შესაბამისად. დავების განხილვისას კი სადავო საკითხების ამსახველი სრული დოკუმენტაციის (რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს ექსპერტი) მიღების შემდეგ.

გ). მშენებლობის ექსპერტს უფლება არა აქვს კლიენტს წინასწარ მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით;

დ). მშენებლობის ექსპერტმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა ჩაატაროს ექსპერტიზა და საჭიროების შემთხვევაში მისცეს რჩევა კლიენტს საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციაში ხარვეზების აღმოსაფხვრელად;

ე). მშენებლობის ექსპერტმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით;

ვ). მშენებლობის ექსპერტის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის და გამომდინარეობდეს საქმის სირთულიდან, მოცულობიდან, საქმის შესრულების ხანგრძლივობიდან, ექსპერტის კვალიფიკაციიდან;

ზ). ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში ექსპერტი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე წინამდებარე თავის ამავე მუხლის 3. პუნქტის გათვალისწინებით. ექსპერტს არ აქვს უფლება გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს, კლიენტისათვის პირადად მისი რეკომენდირებისათვის;

თ). ნებისმიერი მასალა, რომელსაც კლიენტი მიანდობს მშენებლობის ექსპერტს, უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად. ექსპერტის პირადი მასალები ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს უცხო პირებისათვის.

**მუხლი 10. მშენებლობის ექსპერტის ურთიერთობა სასამართლოსთან**

ა). მშენებლობის ექსპერტი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან არბიტრაჟის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ არბიტრაჟში მოქმედ ქცევის წესებს;

ბ). მშენებლობის ექსპერტი არ უნდა დაუკავშირდეს ან შეხვდეს მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან შეთანხმების გარეშე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევებისა;

გ). ექსპერტმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით საეჭვო ან ყალბი მტკიცებულება;

დ). ექსპერტისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ექსპერტის ურთიერთობაზე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირებთან, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას.

**მუხლი 11. ურთიერთობა მშენებლობის ექსპერტსა და სხვა ექსპერტს შორის**

ა) მშენებლობის ექსპერტი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას. იგი უანგაროდ იღვწის კოლეგების იმიჯის ზრდაზე, ექსპერტთა ღირსების შეუბღალაობაზე; მშენებლობის ექსპერტი ვალდებულია აღიაროს სხვათა მიღწევები და ხელი შეუწყოს სიახლეების დანერგვას სამშენებლო პროექტებში.

### თავი III

**მუხლი 12. მშენებლობის პროექტების ექსპერტიზის ხარისხი**

იმის გათვალისწინებით, რომ მშენებლობის ექსპერტიზის საგანთა შორის (პროექტი, მშენებლობის, დაპროექტების, და ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში წარმოშობილი დავა; მშენებლობაში გამოყენებული მასალების, ნაკეთობათა და კონსტრუქციების საიმედოობის და უვნებლობის დასაბუთება; შენობა-ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა; მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სისწორე; მიღებული ტექნოლოგიების პროგრესულობა და სხვა) მშენებლობის პროექტის ექსპერტიზა გამონაკლისად მნიშვნელოვანია – რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი და შინაარსობრივად ყველაზე მთავარი. საერთოდ მშენებლობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ეს კოდექსი ადგენს საექსპერტო დასკვნის ხარისხის მთავარ კრიტერიუმს.

**მუხლი 13. საექსპერტო დასკვნის ხარისხის კრიტერიუმი**

მშენებლობის პროექტის ექსპერტიზა სრულყოფილია, თუ მასში აღნიშნულია არა მარტო განსახილველი პროექტის ხარვეზები და ცალსახადაა განსაზღვრული დასკვნა დადებითია თუ უარყოფითი, არამედ მაშინ თუ ამ დასკვნაში რეკომენდაციებიც არის მოცემული – თუ როგორ გასწორდეს პროექტის ყველა ნაკლი და შედეგად მივიღოთ სრულყოფილი, მაღალი ხარისხის პროექტი.

**მუხლი 14. ვალდებულებები საექსპერტო დასკვნის ხარისხზე**

მშენებლობის ყველა ექსპერტი ვალდებულია საექსპერტო დასკვნაში ჩამოაყალიბოს რეკომენდაციები თუ როგორ აღმოიფხვრას დადგენილი ხარვეზები, შეიცვალოს საპროექტო გადაწყვეტები, გასწორდეს უზუსტობები, გაძლიერდეს მიღებული საპროექტო გადაწყვეტათა არგუმენტაცია, დასაბუთდეს, რომ იგი მიზანშეწონილია და საუკეთესო სხვა ვარიანტთა შორის.

**მუხლი 15. პასუხისმგებლობა საექსპერტო დასკვნის ხარისხზე**

ა) საექსპერტო დასკვნის ხარისხზე პასუხისმგებელია ავტორი და ის უფლებამოსილი პირი (საექსპერტო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მთავარი სპეციალისტი), რომელიც ამტკიცებს ამ დასკვნას.

ბ) საექსპერტო დასკვნის ხარისხზე პასუხისმგებელია ავტორთან ერთად დამკვეთი, იმ ნაწილში, რომელიც ეხება მის მიერ ექსპერტისთვის წარდგენილი დოკუმენტების უტყუარობას და რეალური მდგომარეობის (მოვლენების) ადეკვატურობას.

### თავი IV
### დასკვნითი დებულებები

**მუხლი 16. კოდექსის მოქმედების ფარგლები**

ა) ეს კოდექსი სახელმძღვანელოა „მესას" წევრ-ექსპერტებისთვის; მშენებლობის სხვა ექსპერტებს შეუძლიათ აღიარონ და ისარგებლონ აღნიშნული კოდექსით. მშენებლობის ექსპერტი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, ვინც მოქმედებს ექსპერტის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას;

ბ) ეთიკური ქცევის კოდექსი ძალაში შედის „მესას" ყრილობის მიერ დამტკიცებისთანავე და უკუქცევითი ძალა არ გააჩნია;

გ) ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება ამ კოდექსით, უნდა გადაწყდეს შინაგანი რწმენით, ზნეობრივი და მორალური პრინციპების საინჟინრო ლოგიკისა და ეროვნული წეს-ჩვეულებების, ტრადიციების გათვალისწინებით.

**პროექტი მოწონებულია „მესას" გამგეობის 2008 წლის 11 აპრილის სხდომაზე (ოქმი №2) ასოციაციის ყრილობაზე გასატანად და დასამტკიცებლად საჯარო განსჯის შემდეგ.**

### პერიოდიკა

# გაძლება და გადარჩენა

**გამოვიდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" ახალი № 24**

**ჩვენს კულტურულ ცხოვრებას თავის გამორჩეულ ხმას მატებს ჟურნალი „ჩვენი მწერლობა" (რედაქტორი როსტომ ჩხეიძე), რომლის ახალი, 24-ე ნომერი მკითხველს მრავალფეროვან სულიერ საზრდოს სთავაზობს.**

წლევანდელმა აგვისტომ ტკივილით დაგვამახსოვრა თავი, თუმცა, როგორც **ამირან არაბულისგან** შეიტყობთ, სწორედ აგვისტოს დასაწყისში მას და ეთერ თათარაიძეს რაჭაში შესანიშნავი ექსპედიცია მოუწყვიათ. წერილში **„ფრაგმენტები ერთიანი წერილისთვის"** ავტორი ჩვეული ხატოვანებით ლად გამოხატავს თავის ნოსტალგიას გარდასული წლების მიმართ.

**ქეთი თუთბერიძის** ლექსებში კი იგრძნობა თანამედროვე პოეზიის ერთი გამოკვეთილი ტენდენცია, მაქსიმალურად გააშიშვლოს ადამიანის სხეულებრივი ლტოლვები.

**გივი ალხაზიშვილი** სითბოთი და სიყვარულით ხვდება ახალგაზრდა შემოქმედთა გამოჩენას, ჩვეული ოსტატობით, თავის პირველ შთაბეჭდილებაში **„ადამიანის თანმდევი დარდი"** ზუსტად და არსებითად გამოხატავს ამ ლექსების თავისებურებებს და მკითხველსაც და-

აცოცხლებს ზაფხულის მცხუნვარე დღეებს.

**„კალეიდოსკოპი" ანუ ფესტივალის შემდეგ"** ამ სათაურით შემოთავაზებულია **ეკა ბუჯიაშვილის** საუბარი **ზურაბ კანდელაკთან,** რომელიც ახლახან დაბრუნდა ბერლინის ფესტივალიდან. „ევროპის პრიზით" ცნობილ ტელერადიოფესტივალში მონაწილეობას 120 სპექტაკლი იღებდა. ბატონი ზურაბის საუბრიდან ვიგებთ, რომ მის სპექტაკლს „კალეიდოსკოპი, ანუ გამოცდის წინ" დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ჟურნალში თანამედროვე პროზა ახალგაზრდა ავტორის **გიორგი შერვაშიძის** მოთხრობით **„ღვთისმშობლისანი"** არის წარმოდგენილი. ავტორის თხრობას ირონიული ელფერი გადაჰკრავს, მაგრამ თემა კი ერთობ სერიოზულია: თანამედროვე ქართველთა უაზრო და უშინაარსო ცხოვრება, მყვირალა და ბუტაფორიული პატრიოტიზმი.

თანამედროვე პოეზიას კი რამდენიმე ავტორი წარმოადგენს. ყურადღებას იქცევს **ემზარ კვიტაიშვილის** ერთი ლექსი **„რვაფეხა ღრიანკალი კედელზე"** და მისივე შექმნის ესეისტური ისტორია. ავტორი მისტიკურ ერთობას ხედავს ეგზოტიკურ ღრიანკალსა და თავის სულს შორის და ამას შესანიშნავი მხატვრული ფორმით გადმოგვცემს.

**მზია ხეთაგურის** ლექსები გამოირჩევა სისადავითა და ლაკონიზმით. პოეტი გულწრფე-




ეხმარება საგანგებოდ გაბუნდოვანებული სტრიქონების აღქმაში.

ამ ნომერში სრულდება **როსტომ ჩხეიძის** შესანიშნავი მხატვრულ-დოკუმენტური ვრცელი მოთხრობა **„ქართული დუელიანა"**. მკითხველს რაინდ დუელიანტებად წარმოუდგებიან ჩვენი სახელოვანი მწერლები, რომლებიც მზად იყვნენ საკუთარი თუ სამშობლოს ღირსების დასაცავად სიცოცხლე გაეწირათ. მათ შორის იყვნენ: ნიკო ლორთქიფანიძე, დავით კლდიაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და სხვანი. ვფიქრობთ, ავტორმა შესანიშნავ ორიგინალურ იდეას, ერთად მოუყარა თავი ქართველთა მონაწილეობით გამართული დუელებისთვის, მაღალმხატვრულად შეასხა ხორცი.

როგორ ცხოვრობდა ქართული თეატრი საბჭოთა ეპოქაში? როგორ ახერხებდნენ რეჟისორები და მსახიობები უმკაცრესი ცენზურის თვალისთვის გაეპარებინათ და სცენაზე წარმოეჩინათ ადამიანის სწრაფვა თავისუფლებისკენ? ამის შესახებ ვრცლად მოგვითხრობს **ვასილ კიკნაძე** პუბლიკაციაში – **„სცენამდე"**.

**„ნათელი ცრემლით დაწერილი"** – ამ სათაური წაიკითხავთ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" სალონში **ცისანა კვინტრაძე-გოძიაშვილის** წიგნის **„დაფანტული ფურცლების"** წარდგენის ამსახველ ქეთევან მეგრელიშვილის რეპორტაჟს.

**ნესტან ფიფიას** წერილი **„გაძლებაც, გადარჩენაც, სიცოცხლეც..."** ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას ეძღვნება.

**იოსებ ჭუმბურიძე** ვრცლად მიმოიხილავს ცნობილი თეატრმცოდნის ნათელა არველაძის წიგნს **„მომავლის გადასარჩენად"**.

**თინათინ ღვინაძე** წერილში **„არც ერთი გაცვეთილი ფრაზა"** დიდი ენათმეცნიერის **არნოლდ ჩიქობავას** ცხოვრებიდან ერთ ეპიზოდს აცოცხლებს, რომელშიც კარგად ირეკლება მეცნიერის დამოკიდებულება ახალგაზრდა ნიჭიერ შემოქმედთა მიმართ, ამ შემთხვევაში, ვეცნობით, თუ როგორი აღტაცებით წაუკითხავს მას **მანანა ჩიტიშვილის** ლექსები.

როდესაც მატერიალიზმის ზეიმმა, **ანდრეი ბელის** გონებამახვილური შენიშვნით, ამქვეყნად მატერია გააუქმა, სწორედ მაშინ ეწვია საქართველოს **ბორის პასტერნაკი.** მისი ეს მოგზაურობა და მეგობრობა ქართველ პოეტებთან დაგვირგვინდა მის მიერ შესანიშნავად თარგმნილი **„ქართველი ლირიკოსების"** გამოცემით.

ამავე ნომერში მკითხველი გაეცნობა **გივი გამრეკელის** ჩვეული ექსპრესიით დაწერილ საჭადრაკო ნოველას სათაურით **„ანანდში ტალის სული ჩასახლდა"** და **ფრიდრიხ დიურენმატის** დეტექტიური რომანის **„მართლმსაჯულების"** (გერმანულიდან თარგმნა **ნინო სილაგაძემ**) გაგრძელებას.

**ლუკა სალია**

შპს „დამოუკიდებელი საარბიტრაჟო სასამართლოს" მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი შესწორებები:

**მუხლი 1.** დებულების მე-8 მუხლს მე-20 მუხლის ჩათვლით და აღნიშნული მუხლების პუნქტებს, შეეცვალოს ნუმერაცია და დაინომროს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 7, პუნქტი – 7.1, 7.2, 7.3, 7.4, 7.5, 7.6, 7.7, 7.8, 7.9, 7.10, 7.11; მუხლი 8, პუნქტი – 8.1, 8.2, 8.3; მუხლი 9, პუნქტი – 9.1, 9.2, 9.3, 9.4, 9.5, 9.6, 9.7, 9.8, 9.9, 9.10, 9.11, 9.12, 9.13, 9.14, 9.15, 9.16; მუხლი 10, პუნქტი – 10.1, 10..2, 10.3, 10.4, 10.5, 10.6, 10.7, 10.8, 10.9, 10.10, 10.11, 10.12, 10.13, 10.14, 10.15, 10.16, 10.17, 10.18, 10.19, 10.20, 10.21; მუხლი 11, პუნქტი – 10.1, 10.2, 10.3, 10.4, 10.5, 10.6, 10.7, 10.8, 10.9, 10.10, 10.11, 10.12, 10.13, 10.14, 10.15, 10.16, 10.17, 10.18, 10.19, 10.20, 10.21; მუხლი 11, პუნქტი – 11.1, 11.2; მუხლი 12, პუნქტი – 12.1, 12.2, 12.3; მუხლი 13, პუნქტი – 13.1, 13.2, 13.3, 13.4, 13.5, 13.6; მუხლი 14, პუნქტი – 14.1, 14.2, 14.3, 14.3.1, 14.3.2; მუხლი 15, პუნქტი – 15.1, 15.2, 15.3; მუხლი 16, პუნქტი – 16.1, 16.2, 16.3, 16.4; მუხლი 17, პუნქტი – 17.1; მუხლი 18, პუნქტი – 18.1, 18.2, 18.3, 18.4, 18.5, 18.6; მუხლი 19, პუნქტი – 19.1, 19.2

**მუხლი 2.** შესწორებები ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

**გაცნობებთ:**

2009 წლის 20 იანვარს 14 საათზე ტარდება სს „ალიონის" აქციონერთა კრება.

დღის წესრიგი:
სს „ალიონის" ქონების რეალიზაცია.

საკ. ტელეფონი: 95-16-13.

**შესწორება**

2008 წლის 9 დეკემბრის ნაცვლად შპს „ცხუნკერის" ქონების აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 9 იანვარს.

### ხსოვნა

# შალვა აფციაური



ქართულმა სატყეო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა – მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს დამსახურებული მეტყევე-ინჟინერი შალვა ალექსანდრეს ძე აფციაური.

პროფ. შ. აფციაური დაიბადა 1926 წელს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ღვევში. 1943 წელს დაამთავრა მანგლისის საშუალო სკოლა, ხოლო 1949 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი. 1945 წელს ჯერ კიდევ სტუდენტმა მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ტყის ინსტიტუტში, 1949 წლიდან 1951 წლის ჩათვლით იყო სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის ასპირანტი, 1951 წელს საკანდიდატო დისერტაციის დაცვისთანავე არჩეულ იქნა ჯერ ასისტენტად, ხოლო 1957 წლიდან დოცენტის თანამდებობაზე.

1965-71 წლებში იყო სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე დაუსწრებელი სწავლების დარგში, ხოლო 1971-75 წლებში დ/ს საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი. 1975 წელს სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად აირჩია დეკანის თანამდებობაზე, სადაც იმუშავა 1987 წლამდე.

1986-96 წლებში პროფ. შ. აფციაური არჩეულ იქნა ჯერ ზოგადი მეტყევეობის, დენდროლოგიისა და ტყის კულტურების, ხოლო 1996-2000 წლებში ბუნების დაცვის და მეტყევეობის კათედრის გამგედ. პარალელურად მოღვაწეობდა საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის თელავის ფილიალის პროფესორად.

2002-2004 წლებში არჩეული იყო გორის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ბორჯომის ფილიალის დეკანად.

პროფ. შ. აფციაურს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ 1984 წელს მიანიჭა პროფესორის წოდება. იგი არჩეული იყო საქართველოს ეკოლოგიური და აგროტექნოლოგიური აკადემიების ნამდვილ წევრად.

პროფ. შ. აფციაურმა ხანგრძლივი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე მრავალი სპეციალისტი აღუზარდა სატყეო დარგს, მის კალამს ეკუთვნის 100-მდე სამეცნიერო სტატია და სახელმძღვანელო.

მის მიერ მომზადებულმა ასპირანტებმა წარმატებით დაიცვეს სადისერტაციო ნაშრომები.

ბ-ნი შალვა წლების განმავლობაში მიწვეული იყო საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის შესაბამის კომისიებში სატყეო მეურნეობის განვითარების პრობლემებზე სამუშაოდ, მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შესრულდა საქართველოს ტყეების შესწავლისა და მართვის მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების დამუშავება და პრაქტიკული განხორციელება, რამაც მრავალი დადებითი შედეგი მოიტანა.

მეტად ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა საქართველოს შრომისა და ომის ვეტერანთა საზოგადოებაშიც. განსაკუთრებულად ამაყობდა საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების წევრობით, მის დახვეწილ გარეგნობასა და გამორჩეულ პიროვნულ ღირსებებს დიდებულ ელფერს მატებდა ულამაზესი ქართული სამოსელი.

დიდია დანაკლისი პროფ. შ. აფციაურის – ქართული ტყისა და საერთოდ ბუნების დიდი მესაიდუმლისა და მოამაგის გარდაცვალების გამო.

ბ-ნი შალვას ნათელი ხსოვნა სამარადჟამოდ იცოცხლებს მისი მრავალრიცხოვანი შთამომავლების, კოლექტივებისა და აღზრდილთა მეხსიერებაში.

**სსსსუ-ს სატყეო ფაკულტეტი**

დაგმარა, კომუნარ, გელა, ლაშა ჩალიგავები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

იური ჭანტურიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ნათესავებს.

---

ვენერა რუსიძე და ალექსანდრე ფოცხიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნინო ჭანტურიას და მის ოჯახს მამის

იური ჭანტურიას

გარდაცვალების გამო.

---

ირაკლი, თეიმურაზ და ნოდარ ანდრიაძეები იუწყებიან დამსახურებული პიროვნების

იური ნიკოლოზის ძე ჭანტურიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

მერი ჭანტურია, ნანული (ნანაძ გუნია, ედუარდი, გიორგი, ნინო ღრმა მწუხარებით, დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობენ ზაირა ხოშტარიას, ნანა, ნონა, ნინო, ნიკოლოზ ჭანტურიებს შესანიშნავი მეუღლისა და სასიქადულო მამის, ღირსეული მამულიშვილის

იური ნიკოლოზის ძე ჭანტურიას

გარდაცვალების გამო.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-65-87; 899 32-85-76.
კოსტავას 12

### შეხვედრა ლამაზ ქალბატონთან

# თუ უწინ თავისი შავი თვალების მზერით წვავდა ადამიანს, ახლა ეს გამოხედვა ძვლებამდე ატანს

**სამების ტაძართან არსებულ სასწავლო ცენტრში, მწერალთა კავშირის ინიციატივით, შეხვდნენ ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავს დოდო ჭიჭინაძეს.**

დოდო ჭიჭინაძე დარბაზში ჩოხოსნებთან ერთად შემოვიდა, რასაც უამრავი ტაში და ოვაცია მოჰყვა. მწერალთა კავშირის თავმჯ-



დომარემ კიდეც აღნიშნა, რომ იგი ნამდვილად იმსახურებს დედოფლურ პატივს და თაყვანისცემას.

მოწვეულ სტუმრებს, ვინც ქალბატონ დოდოს კარგად იცნობდა, ლამაზი სიტყვები არ დაუშურებიათ მისი მისამართით. ლექსებიც მრავლად წაუკითხეს. ის ხშირად ყოფილა მრავალი შემოქმედის მუზა და ბევრი პერსონაჟი გაუცოცხლებია კინოსა თუ თეატრში.

**ზურაბ ქაფიანიძე:** დოდო ჭიჭინაძე ქართველი ქალის სილამაზის ეტალონია, რომ მკითხონ, და დარწმუნებული ვარ, სხვებიც დამეთანხმებიან, ვიტყვი – ის არის მსოფლიოს ულამაზესი ქალი, რომლის მსგავსი მხოლოდ საქართველოს შეუძლია შვას. ბედნიერი ვარ, რომ დღეს მის გვერდით დგომის პატივი მერგო.

**ლეილა აბაშიძე:** დოდო განსაკუთრებით მიყვარს, ის არა მარტო ულმერთოდ ლამაზი, არამედ უკეთილშობილესი ქალბატონიცაა. იშვიათად, რომ უფალმა ყველა სიკეთე ერთად დააბერტყოს ადამიანს, დოდო ამის ნათელი მაგალითია. მას წლებმა ვერაფერი დააკლო, პირიქით, თუ უწინ თავისი შავი თვალების მზერით წვავდა ადამიანს, ახლა ეს გამოხედვა ძვლებამდე ატანს...

ასეთი თბილი, გულწრფელი სიტყვები მრავლად იყო, იყო ცრემლებიც და... კადრები ფილმებიდან, რომლებშიც დოდო ჭიჭინაძემ დაუვიწყარი სახეები შექმნა.

– ძნელია მოძებნო სიტყვები, რომლებიც სრულად წარმოგვიდგენს მას, როგორც პიროვნებას და ნამდვილ ქალს, – აღნიშნა **გივი ბერიკაშვილმა**.

ქალბატონი დოდოც არ დარჩენია ვალში მოწვეულ სტუმრებს. დიდი მადლობა გადაუხადა მათ დაფასებისთვის, სიყვარულისთვის, მაგრამ როგორც მის მსგავს ადამიანებს სჩვევიათ, თავის თავზე თითქმის არაფერი უთქვამს.

**დოდო ჭიჭინაძე:** ჩემი ტკივილი მხოლოდ საქართველოა. არ მესმის იმ ადამიანებისა, ვისაც სამშობლო არ უყვარს, მით უმეტეს ისეთი სამშობლო, როგორიც საქართველოა. შეუძლებელია არ იბრძოდე მისი კეთილდღეობისთვის. ვოცნებობ მხოლოდ იმაზე, რომ ჩემი საქართველო ძლიერი და ერთიანი იყოს. ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ ყველა ერთად დავდგეთ და ასე გავიტანოთ ლელო ჩვენი საყვარელი საქართველოსთვის...

ქალბატონმა **ქეთევან კიკნაძემ** კი აღნიშნა, დოდო ის მარგალიტია, რომელიც ვარსკვლავივით მარად იკიაფებს და იბრწყინებს ქართული ცის კაბადონზე.

**ანა წიწილაშვილი**

## ძვირფასო მკითხველო!

# ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა გაიაფდა!



## თქვენი თანადგომისა გვჯერა

**ფინანსური და ზნეობრივი პრობლემებით სავსე საქართველოში გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ შეინარჩუნა თავისი აკადემიური ტონი, პრინციპულობა და მიუკერძოებლობა, სითამამე და სიმართლე. ჩვენთვის არ არსებობს ყალბი ავტორიტეტები, ტაბუდადებული თემები, აკრძალული პრობლემები.**

მკითხველთა აღიარებით **„საქართველოს რესპუბლიკა“** ყველაზე სანდო, დახვეწილი, კარგი ქართულით გამორჩეული, ტრადიციული, ჭეშმარიტად ეროვნული გაზეთია.

წლეულს, გაგანია ომის წინა დღეებში, **„საქართველოს რესპუბლიკას“** 90 (ოთხმოცდაათი) წელი შეუსრულდა!

რედაქციამ გადახედა თავის ფინანსურ შესაძლებლობებს და მოსახლეობის შეჭირვებული ყოფა-ცხოვრების გათვალისწინებით, გაძვირების ნაცვლად 2009 წლის იანვრიდან აიაფებს გაზეთზე ხელმოწერის ფასს. ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკა“ ერთი თვით მხოლოდ 10 ლარი ეღირება!

**ჩვენო ერთგულო მკითხველო! – შეატყობინეთ ყველას გაზეთის გაიაფების ამბავი და გამოიწერეთ ყოველდღიური, ყველაზე გაწონასწორებული, ყველაზე სანდო, ყველაზე ეროვნული „საქართველოს რესპუბლიკა“!**

შეგახსენებთ იმ ორგანიზაციებს, სადაც გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ: მაცნე – 37.47.49; 25.33.88; საქპრესა – 93.30.40; ექსპრესი – 93.66.78; უწყებანი – 93.64.72; ინფოსერვისი – 95.48.82; რუბიკონი – 96.45.69.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ რედაქციაში – კოსტავას ქ. №12. დაგვიკავშირდით ტელეფონებზე – 98.65.87, 899 79.76.79; 899 56.81.86.

**ბიზნესმენებს და რეკლამის ორგანიზატორებს შევახსენებთ, რომ ჩვენთან რეკლამა ყველაზე იაფი და მომგებიანია!**

გაიაფების შემდეგ გაზეთზე ხელმოწერა სამი თვით ღირს 30 ლარი, ექვსი თვით – 60 ლარი, ერთი წლით – 120 ლარი.

ჩვენი ინდექსია – 66434

**თქვენი თანადგომა ჩვენი გაზეთის აღორძინების ერთადერთი გზაა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!**

### ინფორმაცია

## გელათის აკადემიაში უნიკალური ნივთები აღმოაჩინეს

გელათის სამონასტრო კომპლექსში არქეოლოგიური გათხრები დასრულდა, რომლის დროსაც უნიკალური ნივთები აღმოაჩინეს.

გათხრების დროს სამფუთიან ქვევრს, გელათის აკადემიის მსმენელთა ქვის მერხებსა და სამეფო მაგიდას მიაკვლიეს.

აკადემია გელათში მე-16 საუკუნემდე არსებობდა, შემდეგ კი შენობა მეფეთა სატრაპეზოდ გადაკეთდა.

არქეოლოგიური კვლევები კულტურის სამინისტრომ დააფინანსა.

გელათში სამუშაოები საპატრიარქოსთან თანამშრომლობით ტარდება.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

### ანეკდოტები

ტიპი ექიმთან მივიდა, იქნებ მიშველოთ, უძილობამ დამტანჯაო.

– თუ ასე გიჭირთ დაძინება, ერთი კათხა ღვინო დალიეთ.

– ეს თუ არ მიშველის?

– თუ არ გიშველით, კიდევ დალიეთ. ხუთი წუთის შემდეგ – კიდევ ერთი.

– და თუ არც ეს მიშველის?

– მაშინ თქვენთვის სულ ერთი იქნება, გეძინებათ თუ არა.



* * *

მოწიფულობის ასაკი – ეს ის ასაკია, როდესაც ადამიანი უკვე ვერტიკალურად კი არა, ჰორიზონტალურად იზრდება.

* * *

გუშინ პოლიციამ მცირე ხნით დააკავა ჰეროინის მსხვილი პარტია.

* * *

– ირა, თვითმფრინავი, რომელიც ავსტრალიიდან მოფრინავდა, ჩამოვარდა. იქნებ, როგორმე, რაც შეიძლება რბილად გამოაცხადო ეს.

– კი, ბატონო: მოქალაქეებს, რომლებიც ავსტრალიიდან გამოფრენილ თვითმფრინავს ელოდებიან, შეუძლიათ სახლში წავიდნენ.

### კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.